პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43

მთავარი კანტორა
თბილისი. რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ 65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს"
განცხადებები: მომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერ

კვირა, 21 დეკემბერი 1924 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კ. № 292 (1147)

დღიური

— რეველში (ესტონეთშია) ცეცხლი გაუჩნდა რკინისგზის სახელოსნოებს; ზარალი ½ მილიონ [illegible]

— ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო, უკვე ჩავიდა ლონდონში.

— ლენინგრადში არაჩვეულებრივი სითბოა.

— დაიხურა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალური ბიუროს გაფართოებული პლენუმი.

— საფრანგეთში გრძელდება კომუნისტების დევნა.

სოფლად მუშაობის მომწყობი ა. კ. საოლქო პარტიული კომისია

იწვევს ყველა თავის წევრებს, რომ 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შენობაში შესდგება

კომისიის მორიგი სხდომა

თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა კომისიის ყველა წევრებისათვის.

ამ.-კავკ. პარტ. საოლქო კომისიის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

პარლამენტის კრიზისი გერმანიაში

ის, რაც ეხლა ხდება გერმანიაში, არ არის მარტო მთავრობის კრიზისი, არამედ საერთოდ ბურჟუაზიულ პარლამენტარული რეჟიმის უძლურების, მისი გაკოტრების მაჩვენებელია.

წინანდელი რეიხსტაგი ძლივსღა არსებობდა. ე. წ. შუათანა პარტიებს არ გააჩნდათ მტკიცე უმრავლესობა, რომელიც შესძლებდა მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარებას და ბურჟუაზიული რეჟიმის გამაგრებას. მარქსის მთავრობა ყოველთვის ბეწვზე ეკიდა. მისი ბედი დამოკიდებული იყო უკიდურესი მემარჯვენე ჯგუფების პოზიციისაგან. ზოგიერთ მომენტში საკმაოდ მრავალრიცხოვან კომუნისტურ ფრაქციასაც შეეძლო გადამწყვეტი როლის შესრულება მარქსის კაბინეტის დამხობაში.

ბურჟუაზია დარწმუნებული იყო, რომ ახალი არჩევნები მას საშუალებას მისცემდნენ ცენტრალური პარტიებიდან მკვიდრი უმრავლესობის შექმნისას, რომელიც უზრუნველყოფდა ბურჟუაზიული რეჟიმის განმტკიცებას.

მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. შუათანა პარტიებმა ვერ შესძლეს პარლამენტარული უმრავლესობის მოპოვება. ეს პარტიებია: ცენტრი (68 დეპ.), დემოკრატები (32 დ.) და სოციალ-დემოკრატია (130),—სულ 230 მანდატი. უკიდურეს რეაქციონურ პარტიებს (ნაციონალისტები, ტევტონელები, ბავარიის სახალხო პარტია და სხ.) აქვთ რეიხსტაგში 164 ადგილი. მათთან ძალიან ახლოს დგას სახალხო პარტია (50 მანდატი); სულ მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიები წარმოდგენილნი არიან რეიხსტაგში 264 დეპუტატით.

ასეთ ძალთა განწყობილების დროს მეტად ძნელი გახდა მთავრობის შედგენა. აგერ მეორე კვირაა გრძელდება პარტიებ შორის ვაჭრობაა ამ საკითხის გამო. მაგრამ უშედეგოდ.

ჯერ იყო და ებერტმა მთავრობის შედგენა მიანდო სახალხო პარტიის ლიდერს შტრეზემანს. უკანასკნელმა ვერ მოახერხა დავალების შესრულება. მისმა ფრაქციამ გამოიტანა დადგენილება: „ერთად ერთ გამოსავალს კრიზისიდან წარმოადგენს ბურჟუაზიულ უმრავლესობიდან მტკიცე მთავრობის შექმნა". ეს კი ნიშნავს მონარქიულ-ბურჟუაზიულ ბლოკის შექმნას და ნაციონალისტების ჩადგომას ხელისუფლების სათავეში.

მაგრამ ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ რესპუბლიკანური პარტიები.

„ცენტრის ფრაქცია გადაჭრით უარს ამბობს მემარჯვენე კოალიციაში შესვლაზე და მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ იმ მთავრობაში, რომელიც უცვლელად განაგრძობს მარქსის მთავრობის პოლიტიკას,"—გადმოგვცემს რადიო.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის მემარჯვენე ფრთას გეზი აქვს აღებული სახალხო პარტიასთან დაახლოვებისაკენ, მასაც იგი ნაციონალისტებთან ბლოკისაკენ მიჰყავს.

აგრეთვე სოციალ-დემოკრატები და დემოკრატები მოითხოვენ შუათანა, რესპუბლიკანურ პარტიების მთავრობას.

ამის მიხედვით ებერტმა კაბინეტის შედგენა მიანდო ცენტრის ლიდერს, ეხლანდელ კანცლერ მარქსს.

როგორც დღევანდელი რადიო იუწყება, მარქსის მოლაპარაკებას პარტიების ლიდერებთან არაფერი შედეგი არ მოყვა. გერმანული გაზეთები აღნიშნავენ, რომ საქმეთა ვითარება ამ ჟამად უფრო დახლართული და არეული, ვინემ როდისმე იყო. შესაძლებლად მიაჩნიათ ახალი რეიხსტაგის დათხოვნაც კი. ებერტმა გადასწყვიტა მთავრობის შედგენა გადაიდოს ახალ წლამდე.

ამ გვარად, შეიქმნა თითქმის გამოუვალი მდგომარეობა. არც მონარქიულ-მემარჯვენე ბურჟუაზიულ პარტიებს, არც შუათანა, რესპუბლიკანურ პარტიებს არ გააჩნიათ უმრავლესობა.

გადამწყვეტი როლი ეკუთნის ცენტრს. მის პოზიციაზეა დამოკიდებული, თუ რომელი მათგანი გაიმარჯვებს. მარქსის პარტიას უმთავრესად ერთი გარემოება აჩერებს შეუთანხმდეს ნაციონალისტებს, ესაა საერთაშორისო ხასიათის მოსაზრება: თუ შესდგება მემარჯვენეთა მთავრობა, უცხოელები კრედიტს არ მოგვცემენ და არც ოკუპაცია ქმნილ ოლქებს დასცლიანო. მაინც ახლა არ შეიძლება ითქვას, თუ როგორ მოიქცევა ცენტრი გადამწყვეტ მომენტში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რეიხსტაგის არჩევნების შედეგები და რამოდენიმედ მტკიცე ბურჟუაზიული მთავრობის შედგენის სიძნელე მაჩვენებელია, რომ ბურჟუაზია უძლურია მართოს ქვეყანა, მას უკვე აღარ შესწევს ძალა და უნარი დაიცვას ბურჟუაზიული რეჟიმი.

რომ კიდეც მოახერხონ რამენაირად მთავრობის შეკოწიწება,—ბურჟუაზიული პარტიების ურთიერთი შინაგანი წინააღმდეგობანი და ქვეყნის რთული შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა მალე განუმზადებენ მას მარქსის კაბინეტის და მოსალოდნელია უფრო უარესს ხვედრს.

დღევანდელი ამბები ერთ ზედმეტ საბუთს აძლევენ გერმანიის მუშათა კლასს, რომ ქვეყნის და მშრომელი ხალხის ხსნა არა პარლამენტარულ კომბინაციებშია, არამედ რევოლიუციაში, საბჭოთა სისტემის დამყარებაში. საბჭოთა კავშირის მაგალითიც ხომ ამის მჭევრმეტყველური დამამტკიცებელია.

სოფლისაკენ

I. საკითხის შინაარსი

ქართული ლიტერატურა ღარიბია ლენინისტური ნაწარმოებებით. ეს სიღარიბე განსაკუთრებით საგრძნობი ხდება დღეს, როდესაც დღის წესრიგში კვლავ დადგა ლოზუნგი „სოფლისაკენ". ყველასათვის ცხადია ამ ლოზუნგის დიდი მნიშვნელობა, მაგრამ, საუბედუროთ, ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი მისი თეორიული და პრაქტიკული შინაარსი. განსაკუთრებით ძნელია ამ საკითხის შინაარსის სწორი ახსნა-განმარტება იმ ამხანაგებისთვის, რომელნიც დიდიხანია სოფლად მუშაობენ და მოკლებული არიან თეორიულ და მეცნიერულ საკითხების სათანადო შესწავლა-განმარტებას.

ცხადია, ლოზუნგი „სოფლისაკენ" არ ნიშნავს სოფლად მარტო მუშების ან მანუფაქტურის გაგზავნას. ეს ლოზუნგი პირველად ყოვლისა გვიკარნახებს: შევისწავლოთ სოფელი, გლეხი, როგორც სოციალური ელემენტი გარდამავალ ხანაში; მისი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, იდეოლოგია და როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.

ჩვენს სოფელში მუშაობენ უმეტესად პოლიტიკურად ნაკლებათ განვითარებული მუშები. რომელთაც ლენინისტური თვალსაზრისი გლეხზე კარგათ შეთვისებული არა აქვთ.

ამიტომ შესაძლებელია სოფლად მუშაობაში ორგვარი გადახრა. ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ გლეხი უკვე სათანადოთ ჩამოყალიბებული სოციალური ელემენტია. მას სძულს წარსული და მასთან ყოველივე, რაც წარსულში იყო: ბატონი, მღვდელი, ვაჭარი და სხვები. ის ქალაქის მუშებს შეგნებითაც არ ჩამორჩება (ამხ. კ. ცინცაძის წერილი შარშან „რაბოჩაია პრავდაში"). ერთი სიტყვით, გლეხი ნამდვილი ათეისტი, კოლექტივისტი და სოციალისტია.

აქედან გამომდინარეობს აუარებელი შეცდომები: როგორც არის მნიშვნელოვანი საკითხები (გადასახადი, აღმშენებლობა, ჯარში გაწვევა, რელიგია) უბრალო მიტინგებზე გარჩევა, წინდაწინვე დამზადებულ რეზოლიუციების გატარება ხანდისხან ისეთ საკითხებზედ, რომლებიც გლეხს სრულიადაც არ ესმის (საერთაშორისო მდგომარეობა, ხალხთა ლიგა, ფაშიზმი და სხვა). კენჭის ყრის დროს გლეხი ფიქრობს: „მომხსენებელმა ძალიან ლამაზად ილაპარაკა, უკეთესად მე ვერას ვიტყვიო" და უწევს ხელს ლამაზად დაწერილ რეზოლიუციას. მაგრამ როდესაც რეზოლიუცია ცხოვრებაში ტარდება, მას ხშირად წინ ეღობება სოფლის სიბნელე, ჩამორჩენილობა და გლეხის სოციალური მისწრაფებანი.

მე პირადათ ვიცი, რომ რამდენიმე მიტინგზე გლეხებმა დიდის უმრავლესობით დაადგინეს ეკლესიების დახურვა, შემდეგ მოიდნენ და იმუ- [illegible]

ჩემს შეკითხვაზე თუ რად შეიცვალეს ასე ჩქარა აზრი, გლეხებმა მიპასუხეს; „რა ვქნათ, ამხანაგო, იმ მიტინგზე ისე ლამაზად ილაპარაკეს ამხანაგებმა, რომ წინააღმდეგი არა მეთქმოდა რა, მარა როცა შინ მივედი, მოხუცებულებმა და დედაკაცებმა კინაღამ შემჭამეს და მე იმათ ვერაფერი ველარ ვუთხარი. მე ისე ლამაზად ვერ დაუმტკიცე ხუცების ქცევა. ხომ იცი შენი ჭირიმე—„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი არისო" და სხვა.

ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებს ასეთი ქცევა გლეხისა უკვირთ და აღელვებთ კიდეც: გუშინ ერთს მისცა ხმა, დღეს სხვასაო და ახსნა ვერ უპოვიათ. ამ ორჭოფ რწმენის ახსნა შეიძლება მხოლოდ მარქსისტულ-ლენინისტურ თვალსაზრისით: გლეხი სოციალურად ჩამოუყალიბებელი, კლასთა შუა მერყევი ელემენტია და მისი მსოფლმხედველობაც მერყეობას განიცდის ბურჟუაზიულ და სოციალისტურ იდეოლოგიათა შორის. მას მიტინგზე ნათქვამი მოეწონა, მღვდლისა და რელიგიის მატყუარობის გამოაშკარავება გაეხარდა, მაგრამ როცა შინ დაბრუნდა და ყოველივე ეს თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას შეადარა, თავის რეალურ მდგომარეობის კრიტიკაში გაატარა, აზრი კვლავ შეეცვალა. ასეთი არის გლეხური სოციალიზმი, რომელიც ესერებს მართლა სოციალიზმათ მიაჩნდათ.

მაგრამ თუ ზოგიერთი ჩვენი მუშაკები გლეხს სოციალისტად ნათლავენ, სამაგიეროთ აქა-იქ მოიპოვებიან ისეთი ამხანაგებიც, რომელნიც საწინააღმდეგო მხარისაკენ აჭარბებენ. მათი აზრით, გლეხი ბნელი,—კონსერვატიული ელემენტია. ის ჩვეულია მხოლოდ ასრულებას. მისი სოციალური მდგომარეობა წვრილბურჟუაზიულია, ამიტომ მისი რწმენაც ანტისოციალისტურია. ის შემთხვევითი და იძულებითი მოკავშირეა მუშებისა და ამიტომ ადმინისტრატიულ ძალდატანების გავლენის ქვეშ უნდა იყოს. მაშასადამე, რა საჭიროა მასთან მიტინგობა, სულ ერთია მაინც ვერას გაიგებს; მას უნდა უბრძანო და აასრულებინო. ეს პირდაპირ მენშევიკური — ბურჟუაზიული შეხედულებაა. მას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა როგორც პრაქტიკაში, ისე მწერლობაში.

აი, აქ ლენინიზმი მთელი თავისი სიცხოველით უნდა იქნას გამოყენებული. უნდა იქნას გასაგებათ დამტკიცებული ის გარემოება, რომ გლეხი მუშის შემთხვევითი მოკავშირე კი არ არის სოციალურ რევოლიუციაში, არამედ მისი აუცილებელი, ისტორიულად კანონიერი ამხანაგია.

თანამედროვე ფინანსიურ-მონოპოლისტური კაპიტალი ძარცვავს გლეხს ისევე ულმობელად, როგორც მუშას, ამცირებს რა შრომის ხელფასს (ამიტომ საზოგადოების მსყიდველობით უნარიანობას) და ზრდის რა მოგებას. აგრეთვე იწვევს იმპერიალისტურ ომებს, რომლებიც გლეხებს ანადგურებენ ორგვარად: ართმევენ მუშა ხელს მათ მეურნეობას და ფასს უცემენ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებს ახალშენების გაძარცვის საშუალებით.

გლეხთა მასები თანდათან შორდებიან იმპერიალიზმის გველეშაპს და თავის ახალ პოლიტიკურ გეზს აყენებენ ევროპის სახელმწიფოებში. ამას მოწმობს გლეხური პარტიების შექმნა: ბულგარეთში, სამხრეთ-სლავიაში, რუმინიაში, პოლონეთში, იაპონიაში და სხვაგან. ეს გლეხური პარტიები თანდათან ეთიშებიან დემოკრატიულ პარტიებს და საბჭოთა იდეას უახლოვდებიან. რამდენადაც მარცხენდება მუშათა მოძრაობა, იმდენად მარცხენდება გლეხური მოძრაობაც—მთელ მსოფლიოში.

განა ლენინიზმის 30 წლის ისტორია და რუსეთის რევოლიუციის მაგალითი საკმარისად არ ამტკიცებენ მუშებისა და გლეხების ინტერესების ერთობას და მათ კავშირის აუცილებლობას? ამის დამტკიცება ეხლა ზედმეტად ითვლება, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები კარგად ვერ ერკვევიან ამ საკითხში. სოფლად სჭარბობს პრაქტიკული ყოველდღიური მუშაობა, მაგრამ პრაქტიკა მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი, როცა მას თეორიული მომზადებაც ახლავს.

ამიტომ ადრე თუ გვიან (მაგრამ რაც შეიძლება ჩქარა) აუცილებლად უნდა მოეწყოს ორი რამ: 1. უნდა იქნას ქართულ და ეროვნულ უმცირესობათა ენაზე ლენინისტური ლიტერატურა სოციალისტურ აღმშენებლობაში გლეხის როლის შესწავლად და 2. უნდა მოეწყოს სათანადო კურსები (სკოლები) სოფლად მუშაობის შესასწავლად.

ი. ტალახაძე.

სახელმწიფო მრეწველობა და კერძო კაპიტალი

ალებ-მიცემობის ზრდამ ჩვენს სახელმწიფოში, სავაჭრო კაპიტალის ნაკლებობის პირობებში, ფაქტიურათ იქამდი მიგვიყვანა, რომ სახელმწიფო მრეწველობა იძულებული იყო შეექმნა თავისი სავაჭრო აპარატი მთელს ქვეყანაში და აევსო თავისი საქონლით პირველი საფეხურის კოოპერატივები.

უწევდა რა დახმარებას თავისი კაპიტალით ალებ-მიცემობას, მრეწველობას არ აღმოაჩნდა საკმაო საშუალებები, როდესაც მისთვის საჭირო იყო წარმოების გაფართოვება. ამით აიხსნება სწორეთ ის წინააღმდეგობა, რომ ხელსაყრელ კონიუნქტურაში საგრძნობია მრეწველობის ძლიერი ფინანსიური ხელმოკლეობა.

კოოპერაციამ წარსულ წელში უეჭველად დიდ შედეგებს მიაღწია. ამ შედეგების ნაწილი უნდა მიეწეროს მის საკუთარ განვითარებას, წევრების რიცხვის და საპაიო კაპიტალის გადიდებას, ნაწილი კი უნდა მიეწეროს იმ პრივილეგიებს, რომლებიც მიანიჭა კოოპერაციას სახელმწიფომ და მრეწველობამ. ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოვაწესრიგოთ და კომერციულის მხრივ უფრო ჯანსაღი გავხადოთ ის უპირატესობანი, რომლებიც სახელმწიფომ მიანიჭა კოოპერაციას და ამით უზრუნველვყოთ მისი ჯანსაღი და მტკიცე ზრდა. ამისათვის საჭიროა, რომ კოოპერაციას საქონელი მივაწოდოთ იმისდამიხედვით, რამდენი კაპიტალიც აქვს მას. თუ დავაყენებთ კითხვას: კარგია თუ ცუდი, რომ კოოპერაცია თითქმის ოცჯერ უფრო მეტი ღირებულების საქონლის ბრუნვას აწარმოებს, ვიდრე მას საამისო კაპიტალები აქვს, — უნდა უპასუხოთ: რასაკვირველია, ცუდია. ცუდია იმიტომ, რომ საკუთარ საშუალებების ნაკლებობის პირობებში ყოველგვარ შეფერხებას, სყიდვითი უნარიანობის ყოველგვარ შესუსტებას, ყოველგვარ შეფერხებას საქონლის ბრუნვაში შეუძლია გა[illegible] შეყვანა ანგარიშების გასწორებაში.

ასეთი მდგომარეობაა კოოპერაციაში. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ჯერ კიდევ წარსულ წელში სამრეწველო წარმოება გაფართოვდა 45 პროც. მიმდინარე 1924—25 წ. გაფართოვდება არა ნაკლებ 30 პროც. (წარსულ წელთან შედარებით). საქონლის ეს გაფართოვებული მასა უნდა გავატაროთ სავაჭრო არხებში. როგორ უნდა მოვახერხოთ ეს, როდესაც, ალბათ, ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო კაპიტალი საკმარისი არ იქნება? პასუხი ნათელია: საჭიროა მოვიზიდოთ კერძო კაპიტალი, ოღონდ ეკონომიური და ფინანსიური ღონისძიებების საშუალებით ის უნდა დავუმორჩილოთ სახელმწიფოს მიზნებს.

ვაყენებთ რა ასე საკითხს, ჩვენ ნათლათ უნდა გვქონდეს წარმოდგენილი შესაძლებელი გადახრა—წინააღმდეგ იმ გადახრისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1924 წლის გაზაფხულზე, როდესაც მთელმა სახელმწიფო მრეწველობამ თითქმის მთლიანათ შეწყვიტა მუშაობა კერძო კაპიტალთან.

ს. მ. უ. ს. ორგანოების სრულიად საკავშირო თათბირზე გამოაშკარავდა ის, რომ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები ცდილობენ ძალიან შეამცირონ ალებ-მიცემობა კოოპერაციასთან და, პირიქით, გააფართოვონ იგი კერძო კაპიტალთან. ეს უკვე კურსის ზედმეტი გადახრაა.

კერძო კაპიტალის გამოყენებამ არავითარ შემთხვევაში გავლენა არ უნდა მოახდინოს სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის ზრდის და დაგროვების პროცესზე. კერძო-სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელობა და როლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მნიშვნელობას ვაჭრობაში.

ეს იმას ნიშნავს, რომ კერძო კაპიტალის წილი არ უნდა აღემატებოდეს 50 პროცენტს; ის რასაკვირველია, სხვადასხვა გვარი უნდა იყოს ცალკე დარგებში.

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენი საქონელი უნდა მიეცეს კერძო ვაჭარს, გადაწყვეტილი უნდა იქნეს კონკრეტიულად თვითეულ დარგში იმასთან შეფარდებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას სახალხო მეურნეობაში, როგორი სისწრაფით ხდება საქონლის ბრუნვა ამა თუ იმ დარგში და როგორია იმ კაპიტალის რაოდენობა, რომელიც შეიტანეს კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ ამა თუ იმ დარგის საქონლის ბრუნვაში.

მხოლოდ ასეთი გზით იქნება უზრუნველყოფილი როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ნორმალური ზრდა და განმტკიცება, ისე საქონლის ჯანსაღი ბრუნვა.

ფ. ხ. ხვეჯალოვი.

პოლონეთში გრძელდება კომუნისტების სასტიკი დევნა

გერმანიაში მოსალოდნელია ახალი რეიხსტაგის დათხოვნა

პარტიები ვერ შეთანხმდნენ გერმანიის მთავრობის შედგენაში

ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია, რომელმაც საბჭოთა კავშირი ინახულა ჩავიდა ლონდონში

ბენეშმა განაცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკია მალე იცნობს საბჭოთა კავშირს

ალბანეთის აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარი და მიიწევენ წინ

დეპუტატების „ხელშეუხებლობა"

(უკანასკნელი ცნობები, მიღებული ღამის პირველ საათზე)

ვარშავა, 19 დეკემბერი. დღეს პოლონეთის სეიმმა საბოლოო კენჭის ყრით დაადგინა გადასცეს სასამართლოს კომუნისტი ლანცუცკი და აგრეთვე ვასილჩუკი, ჩუჩმაი და კოზიცკი.

ლანცუცკმა აცნობა უკრაინულ კლუბს, რომ პასუხისგებაში მიცემული უკრაინელი დეპუტატები არ იქნებიან დაპატიმრებულნი.

სეიმის შენობა ალყა შემორტყმულია პოლიციელების მიერ, რომლებიც მოელიან ლანცუცკის გამოსვლას, რომ დააპატიმრონ ის.

როგორც სჩანს, სეიმისათვის ალყის შემორტყმის განკარგულება გასცა სეიმის თავმჯდომარემ რატაიმ.

„როსტას" კორესპონდენტთან გამომშვიდობების დროს ლანცუცკიმ განაცხადა: „რომ მე დამაპატიმრებდნენ, დიდი ხანია ვიცოდი. ჩემს მოშორებას სეიმიდან ხელს უწყობდა არა მარტო ბურჟუაზია, არამედ პოლონეთის „სოციალისტური" პარტიაც. ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები დამყარებულია ცნობილ პოლონელ „სოციალისტის" ეველიუკი და შელცელის ჩვენებებზე. გადაეცით საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს, რომ ციხე და რეპრესიები მე ვერ შემიშლიან ხელს, ციხეშიც განვაგრძობ ბრძოლას კომუნიზმისათვის. პოლონეთის ციხეები წარმოადგენენ ერთ-ერთ ფრონტს მუშათა საქმისათვის ბრძოლაში.

სეიმში სასამართლოსათვის ლანცუცკის გადაცემის შესახებ კამათის დროს სიტყვებით გამოვიდნენ კომუნისტი დეპუტატები სკრიპა და ლანცუცკი.

ბურჟუაზიული და „სოციალისტი" დეპუტატები თავისი ღრიალით აწყვეტინებდნენ სიტყვებს კომუნისტებს.

კენჭის ყრის დროს კომუნისტები ინტერნაციონალის სიმღერით გამოვიდნენ დარბაზიდან. ამ დროს კომუნისტ დეპუტატებს თავს დაესხნენ სახალხო დეპუტატები. ერთმა მათგანმა დაარტყა კომუნისტ სკრიპას. ატყდა ხმაურობა. თავმჯდომარემ შესწყვიტა სხდომა.

შემდეგ დაიწყო კამათი უკრაინელ დეპუტატების ვასილჩუკის, ჩუჩმაის და კოზიცკის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ.

სეიმმა ხმების უმრავლესობით მხარი დაუჭირა მათ პასუხისგებაში მიცემას.

კენჭის ყრის შემდეგ გლეხთა დამოუკიდებელმა პარტიამ და კომუნისტებმა მოაწყვეს ობსტრუქცია: ისინი მღეროდნენ უკრაინულ და ბელორუსულ სიმღერებს და ინტერნაციონალს.

ობსტრუქცია გაგრძელდა სხდომის დამთავრებამდე.

სეიმიდან გამოსვლის დროს პოლიცია შეეცადა დაეპატიმრებინა ლანცუცკი, მაგრამ მან მოასწრო გაპარვა.

აჯანყება ალბანეთში

ნაუენი, 20 დეკ. რომში მყოფ ალბანეთის წარმომადგენლის ცნობით, ალბანეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი საერთო მობილიზაციის შესახებ. ალბანეთის მთავრობა ირწმუნება, რომ აჯანყებულთა შორის იმყოფებიან სამხრეთ-სლავიის მუდმივი არმიის სამხედრო ნაწილები.

როგორც ბელგრადიდან იუწყებიან—აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარები და დაიპყრეს კროის მთელი რაიონი. როგორც ხმები დადის—ალბანეთის მთავრობის თავმჯდომარე ფანოლი გაიქცა.

სასტიკი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა დაიპყრეს სოფლები კუკოი და ბიკაინელი.

ესპანეთის არმია განადგურებულია

პარიზი 20 დეკემბერი. მაროკოს აჯანყებულმა მცხოვრებლებმა გაანადგურეს ესპანეთის არმია, რომელიც თავზარდაცემული გარბის. აჯანყებულები ემუქრებიან საფრანგეთის მაროკოსაც.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ნაუენი. 20 დეკემბერი. კანცლერის მოლაპარაკებას პარტიების ლიდერებთან ახალი მთავრობის შესახებ არავითარი ნაყოფი არ მოაქვს, რადგან ყველა პარტიები არავითარ დათმობაზე არ მიდიან. რეიხსკანცლერს განზრახვა აქვს დახმარებისათვის მიმართოს სოციალ-დემოკრატების ლიდერს გერმან მიულერს. იუწყებიან, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრი მოითხოვს, რომ მთავრობა შედგენილი იქნეს სოციალ-დემოკრატიული და ცენტრისტული პარტიებიდან.

ნაუენი. 20 დეკემბერი. რეიხსტაგის წრეებში ფიქრობენ. რომ მთავრობა იქნება არაპარლამენტარული, მის თავმჯდომარეთ დანიშნული იქნება მარქსი. ეს მთავრობა უნდა დაადგეს ცენტრისტული პარტიების პოლიტიკას.

„ფოსიშე ცეიტუნგ"-ი ფიქრობს, რომ ასეთი მთავრობა ადვილათ მიიღებს რეიხსტაგში უმრავლესობას.

ნაუენი, 19 დეკ. „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგ"-ი იტყობინება, რომ პარტიების ლიდერებთან გამართულ თათბირზე მარქსი ლაპარაკობდა რეიხსტაგის დათხოვნის შესაძლებლობის შესახებ. გერმანიის გაზეთები ფიქრობენ, რომ მდგომარეობა ეხლა უფრო რთული და გაურკვეველია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

მარქსს თათბირი ჰქონდა პრეზიდენტ ებერტთან. უკანასკნელმა გადასწყვიტა ახალი მთავრობის შედგენა გადასდოს იანვრამდე. ეხლანდელი კაბინეტის წევრებს წინადადება მიეცათ დარჩენ ამ დრომდე თავის ადგილებზე. ამის შემდეგ მოწვეულმა კაბინეტის სხდომამ გადაწყვიტა მიიღოს ებერტის წინადადება.

ჩვენ და ჩეხო-სლოვაკია

პრაგა. 19 დეკ. პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიაში ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბენეშმა განაცხადა:

„მთავრობა პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგება დიპლომატიურ ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირთან და ფიქრობს, რომ უკვე დადგა ამის დრო. საკითხი სათანადო მომენტის შერჩევის შესახებ უკვე განხილულ იქნა და კიდევ განხილული იქნება იმ პარტიების მიერ, რომლებიც შედიან კოალიციონურ კაბინეტში.

ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია

ლონდონი, 19 დეკ. ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციის დაბრუნებას ლონდონში მოელიან ამ კვირის ბოლოს. 29 დეკემბერს შესდგება ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს სპეციალური სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნება დელეგაციის მოხსენება საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ.

ლონდონი. 20 დეკ. ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია, რომელმაც ინახულა საბჭოთა კავშირი, უკვე დაბრუნდა ლონდონში. დაწვრილებითი მოხსენების გაკეთებას დელეგატები აპირობენ დღესასთვის.

პარტიზანების გასამართლება

ვარშავა. 17 დეკემბ. სლონიმში (პოლონეთში) დაიწყო გასამართლება 20 პარტიზანის, რომლებიც ნოემბერში თავს დაესხნენ მატარებელს სადგურ ლესნაიასთან. პროცესზე მთავარ ფიგურას წარმოადგენს ვინმე სტრუკოვი, რომელსაც ბრალს სდებენ იმაში, რომ ის იყო მეხინის პარტიზანული რაზმის უფროსის თანაშემწე. მთელი ბრალდება დამყარებულია თავდასხმას ერთ-ერთი მონაწილე კრავჩუკის ჩვენებაზე; კრავჩუკი დაპატიმრებულ იქნა თავდასხმის დროს. მისი ჩვენება პროვოკაციული ხასიათისაა. ბრალდებულებს შორის არიან აგრეთვე რკინისგზის მუშები, რომლებმაც თითქოს ხელი შეუწყვეს თავდასხმის მოხდენას.

ი. სტალინი-ჯუღაშვილი

ოქტომბერი და ტროცკის თეორია პერმანენტული რევოლიუციის შესახებ

არსებობს ოქტომბრის რევოლიუციის ორი თავისებურება, რომლის გარკვევა საჭიროა უწინარეს ყოვლისა, რათა გავიგოთ ამ რევოლიუციის შინაგანი აზრი და ისტორიული მნიშვნელობა. რა არის ეს თავისებურება? ეს, პირველ ყოვლისა, ის ფაქტია, რომ პროლეტარიატის დიქტატურა წარმოიშვა ჩვენში, როგორც ხელისუფლება, რომელიც დამყარებულია პროლეტარიატის და გლეხთა მშრომელ მასების კავშირის საფუძველზე. მეორეც ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა წარმოიშვა ჩვენში, როგორც შედეგი სოციალიზმის გამარჯვებისა კაპიტალისტურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში მაშინ, როდესაც კაპიტალისტურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალიზმი განაგრძობდა არსებობას. ეს იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ოქტომბრის რევოლიუციას არ ჰქონდეს სხვა თავისებურებანი, მაგრამ ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვანია სწორეთ ეს ორი თავისებურება არა მარტო იმიტომ, რომ ეს მკაფიოთ გამოხატავს ოქტომბრის რევოლიუციის შინაარსს, არამედ იმიტომაც, რომ ეს საუცხოვოთ ამჟღავნებს პერმანენტულ რევოლიუციის ოპორტიუნისტულ ბუნებას.

განვიხილოთ მოკლეთ ეს თავისებურებანი.

მშრომელ მასების, ქალაქის და სოფლის წვრილ ბურჟუაზიის საკითხი, საკითხი პროლეტარიატის მიერ ამ მასების დაპყრობის შესახებ, წარმოადგენს პროლეტარულ რევოლიუციის მნიშვნელოვან საკითხს. ვის მხარეზეა ქალაქის და სოფლის მშრომელი ხალხი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ბურჟუაზიის თუ პროლეტარიატის მხარეზე—ვისი რეზერვი გახდება იგი, პროლეტარიატის თუ ბურჟუაზიის—ამაზეა დამოკიდებული რევოლიუციის ბედი და პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცე. 48—71 წლების რევოლიუციები საფრანგეთში დამარცხდნენ უმთავრესად იმიტომ, რომ გლეხთა რეზერვები ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდნენ. ოქტომბრის რევოლიუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მან შესძლო ჩამოეცილებია ბურჟუაზიისაგან გლეხთა რეზერვები, შესძლო გადაეყვანა ეს რეზერვები პროლეტარიატის მხარეზე, იმიტომ, რომ პროლეტარიატი აღმოჩნდა ამ რევოლიუციაში ქალაქის და სოფლის მშრომელი ხალხის მრავალმილიონიან მასების ერთადერთი ხელმძღვანელი ძალა.

ვისაც ეს არ გაუგია, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ოქტომბრის რევოლიუციის ხასიათს, ვერც პროლეტარიატის დიქტატურის ბუნებას, ვერც ჩვენი პროლეტარულ ხელისუფლების შინაურ პოლიტიკის თავისებურებას.

პროლეტარიატის დიქტატურა არ არის მხოლოდ მთავრობის ზედაფენა, რომელიც შეარჩია გამოცდილ სტრატეგიის მზრუნველმა ხელმა და რომელიც „გონივრულად" ეყრდნობა მცხოვრებთა ამა თუ იმ ფენებს. პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატის და გლეხობის მშრომელ მასების კლასიური კავშირი კაპიტალის დასამხობათ და სოციალიზმის საბოლოოდ გასამარჯვებლად იმ პირობით, რომ ამ კავშირის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს პროლეტარიატი.

აქ ლაპარაკია, ამ გვარად, არა იმაზე, რათა ნაკლებად შევაფასოთ, ან ზედმეტად შევაფასოთ გლეხთა მოძრაობის რევოლიუციონური შესაძლებლობანი, როგორც ხშირად ლაპარაკობენ დღეს პერმანენტული რევოლიუციის ზოგიერთი დიპლომატიური დამცველები.

აქ ლაპარაკია იმ ახალ პროლეტარულ სახელმწიფოს ბუნებაზე, რომელიც აღმოცენდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ: ლაპარაკია პროლეტარულ ხელისუფლების ხასიათზე და პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლებზე.

„პროლეტარიატის დიქტატურაო ამბობს ლენინი,—არის პროლეტარიატის, მშრომელთა ავანგარდის და მშრომელთა მრავალრიცხოვან არა პროლეტარულ ფენების (როგორც წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეურნეები, გლეხობა, ინტელიგენცია) შორის კლასიური კავშირის განსაკუთრებული ფორმა. კავშირის კაპიტალის წინააღმდეგ, კავშირის, რომლის მიზანია კაპიტალის სრული დამხობა, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის და მისი რესტავრაციის ცდის გადალახვა. კავშირის, რომლის მიზანია სოციალიზმის საბოლოოდ დამყარება და განმტკიცება".

და შემდეგ:

„პროლეტარიატის დიქტატურა. თუ გადავთარგმნით ამ ლათინურ ისტორიულ-ფილოსოფიურ გამოთქმას უფრო გასაგებ ენაზე, ნიშნავს აი რას: მხოლოდ განსაზღვრულ კლასს, და სახელდობრ ქალაქის და საერთოდ ფაბრიკა-ქარხნების სამრეწველო მუშებს შეუძლიათ უხელმძღვანელონ მშრომელთა და ყველა გაყვლეფილთა მასებს გამარჯვების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ახალ სოციალისტურ საზოგადოებრივ წესწყობილების შექმნაში, კლასების სრულიად მოსპობისათვის ბრძოლაში.

ასეთია პროლეტარიატის დიქტატურის თეორია, რომელიც ლენინმა მოგვცა.

ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ლენინის თეორიის კლასიკურად გატარება.

ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ეს თეორია წარმოადგენს წმინდა რუსულ თეორიას, რომელსაც დამოკიდებულება აქვს მხოლოდ რუსეთის სინამდვილესთან. ეს არ არის მართალი. ეს სრულიადაც არ არის სწორი. როდესაც ლაპარაკია არა პროლეტარულ კლასების მშრომელ მასებზე, რომელთაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატი, ლენინს სახეში ჰყავს არა მარტო რუსეთის გლეხები, არამედ საბჭოთა კავშირის განაპირა კუთხეების მშრომელი ელემენტები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინად წარმოადგენდნენ რუსეთის კოლონიებს. ლენინი მუდამ იმას ამბობდა, რომ ამ სხვა ნაციონალურ მასებთან კავშირის გარეშე რუსეთის პროლეტარიატს არ შეეძლია გაიმარჯვოს. თავის წერილებში ეროვნულ საკითხის შესახებ, კომინტერნის კონგრესებზე წარმოთქმულ სიტყვებში ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება შეუძლებელია მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის და დამონავებულ კოლონიების ჩაგრულ ხალხთა შორის რევოლიუციონურ კავშირის, რევოლიუციონურ ბლოკის გარეშე. მაგრამ რა არის კოლონიები, თუ არა იგივე ჩაგრული მშრომელი მასები და უწინარეს ყოვლისა გლეხობის მშრომელი მასები. ვინ არ იცის, რომ კოლონიების განთავისუფლების საკითხი, არსებითად, არის საკითხი ფინანსიურ კაპიტალის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან არა პროლეტარულ კლასების მშრომელ მასების განთავისუფლების შესახებ.

მაგრამ აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ლენინის თეორია პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ არის არა წმინდა რუსული თეორია და იგი სავალდებულოა ყველა ქვეყნებისათვის. ბოლშევიზმი არის მხოლოდ რუსული მოვლენა. „ბოლშევიზმიო, ამბობს ლენინი, არის ტაქტიკის ნიმუში „ყველასათვის".

ასეთია ოქტომბრის რევოლიუციის პირველი თავისებურების დამახასიათებელი თვისება.

როგორ მდგომარეობაშია ტროცკის თეორია პერმანენტულ რევოლიუციის შესახებ ოქტომბრის რევოლიუციის ამ თავისებურების თვალსაზრისით.

არ გავაგრძელებთ სიტყვას ტროცკის პოზიციაზე 1905 წელს, როდესაც მან სრულიად დაივიწყა გლეხობა, როგორც რევოლიუციონური ძალა და წამოაყენა ლოზუნგი: „ძირს მეფე, ხოლო მთავრობა მუშური".

შაბათს 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში (შესავალი ველიამინოვის ქუჩიდან) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმები და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები

იწვევენ საერთო კრებას

ყველა პარტიულებისას, რომლებიც მუშაობენ თბილისის სავაჭრო დაწესებულებებში (კოოპერაცია, ტრესტები, სახელმწიფო ორგანოები და სხვა).

დღის წესრიგი: 1. ამხ. ბალტიას მოხსენება ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ არსებულ ეკონომიურ პირობებთან დაკავშირებით.

2. ამხ. ელერდოვის მოხსენება ცეკავშირის მდგომარეობის შესახებ.
3. ამხ. დუქაძის მოხსენება წარმკავშირის მდგომარეობის შესახებ.
4. ამხ. მორდვოვის თანამოხსენება.

სავალდებულოა გამოცხადება სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავე კომუნისტების.

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმები.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები.

შაბათს, ა. | წ. 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში (ოთახი № 1)

დანიშნულია

აღმასკომის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1) 1924—25 წლის ბიუჯეტის განხილვა.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

2—1 ნ. 427 პრეზიდიუმი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაობა.

მოსკოვი, 19 დეკ. სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის საბჭოს პლენუმის 18 დეკემბრის სხდომაზე მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა იპატიევმა, რომელმაც დაახასიათა სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაობა და აღნიშნა მათი მიღწევები სამრეწველო ტექნიკის სფეროში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქიმიური ინსტიტუტის მიღწევები. მათი სამეცნიერო ნაშრომების შემდეგ ჩვენ დამოკიდებული აღარ ვიქნებით უცხოეთის მრეწველობისაგან. ჩვენი ქიმიური მრეწველობა შესამჩნევად გაუმჯობესდა და ზოგიერთ დარგებში წინ გაუსწრო უცხოეთის მრეწველობას. სამეცნიერო-სამრეწველო მიღწევების საერთო მიმართულება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ და გავაძლიეროთ ის მუშაობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში და რომელიც შეიძლება დაჩქარებით იქნეს გამოყენებული.

უკრაინა

მუშები არ დღესასწაულობენ „შობას“

„წმინდა“ ჩვრები

სევასტოპოლი, 19 დეკ. ხერსონის გაუქმებულ მონასტერში მორწმუნეთა თანდასწრებით გახსნეს რამოდენიმე წმინდანის ნაშთები. ნაშთების მაგივრად აღმოჩნდა ბამბიდან და ჩვრებიდან გაკეთებული ფიგურები.

ნაშთების გახსნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მორწმუნეებზე.

ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ატაშე ოსმალეთში.

მოსკოვი, 19 დეკ. ახლო მომავალში ანგორაში გაემგზავრება საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ახალი ატაშე—შაიხ ზამანი.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს პლენუმის რეზოლუცია

მოსკოვი. 19 დეკ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროს პლენუმმა აღნიშნა, რომ პერიოდიული პრესის სწრაფი ზრდა და საბჭოთა კავშირის წიგნის გამომცემლობის განვითარება ნიადაგს უმზადებს პრესის მუშაობის თანდათანობით ზრდას და გაფართოებას, აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის განმტკიცებას.

პლენუმს მიზანშეწონილად მიაჩნია ცენტრალურ ბიუროს დაერქვას ცენტრალური საბჭო.

საჭიროა შრომის დისციპლინის განმტკიცება, სამუშაო დღის შევსება და შემჭიდროება, ნამუშევრის ნორმების სისწორით გამომუშავება, ბრძოლა დაუდევრობასთან და შრომის წამქეზებელ ხელფასის ფორმების გატარება.

პლენუმს აუცილებლად მიაჩნია სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ქსელის გატარება გამოუკლებლად ყველა ხელშეკრულებებში; პლენუმი ავალებს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს იზრუნოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთათვის ცენტრალური კურსების შექმნაზე, მას ევალება აგრეთვე შექმნას კურსები სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშაკთათვის (კორექტორების, გამომცემლების, რეპორტიორების და პრესის გამავრცელებელ მუშაკებისათვის).

სოფლის პარტ-უჯრედების გაფართოებული თათბირი

გუშინ, 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში ცეკას სოფლად სამუშაო კომისიის მონაწილეობით გაიხსნა სოფლის კომუჯრედების გაფართოებული თათბირი.

თათბირი გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელიც კრებას თავისი მოკლე სიტყვაში აცნობს თათბირის ამოცანებს, კერძოდ ხაზს უსვამს გლეხკაცობასთან მჭიდროდ დაკავშირების მნიშვნელობას, სოფლად მუშაობის გაცხოველებას და ბოლოს მოუწოდებს დამსწრე ამხანაგებს განსაკუთრებული სიფრთხილით და სერიოზულობით მიუდგნენ ამ საკითხების გადაჭრას.

შემდეგ ცოტაოდენი ცვლილებით დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი და რეგლამენტი.

დაწვრილებით ანგარიშს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

მუშაობა დაწესებულებებში

დილის 10 საათიდან დღის 4 ნახ. საათამდე

მოსკოვი. 19 დეკემბერ. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვით სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ და [illegible] მოსამსახურეები სამსახურში უნდა გამოცხადდნენ 5 წუთით ადრე მუშაობის დაწყებამდე. მუშაობა იწყება დილის სრულ 19 საათზე და თავდება დღის 4 ნახ. საათზე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

დამზღვევი სალარო

ბათუმი, 19 დეკემბ. აჭარისტანის დამზღვევმა სალარომ ნოემბერში გასცა შემდეგნაირი დახმარება: იმ პირებს, რომლებსაც დროებით დაკარგული აქვთ შრომის უნარი, მიეცათ—6.724 მანეთი, დამატებითი დახმარების სახით გაცემულია—2.344 მან. პენსია ინვალიდებს და ქვრივებს—1.237 მან. და საექიმო დახმარება—5.887 მან. სულ გაცემულია 17.573 მან.

აფხაზეთი

ამხ. ლოზოვსკის ჩამოსვლა.

სოხუმი, 19 დეკ. ჩამოვიდა პროფინტერნის გენერალური მდივანი ლოზოვსკი.

ს. ფ. მ. ს. კვირეული სოხუმში

სოხუმი, 19 დეკ. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება აწყობს ს. ფ. მ. ს. კვირეულს

ქუთაისი

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეგროვება

ქუთაისი. 19 დეკ. 18 დეკემბრამდი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოვიდა 42.422 მანეთი

ფოთი

ფოთის ელევატორი

ფოთი, 19 დეკ. აღმოსავლეთის ძლიერი ქარების გამო მოსალოდნელია შავი ქვის ელევატორის დანგრევა. აღმასკომმა მიიღო სასწრაფო ზომები დამხმარე ბოძების დასადგმელად.

ქირურგიული კაბინეტი

ფოთი, 19 დეკ. დამთავრდა პირველი საავადმყოფოს ქირურგიული კაბინეტის კაპიტალური რემონტი. ამ დღეებში მოხდება მისი გახსნა.

კონკის გზის გადიდება ფოთში

ფოთი, 18 დეკ. აღმასკომის ტექნიკურმა ქვეგანყოფილებამ შეადგინა ხარჯთაღრიცხვა კონკის გზის გასადიდებლათ 3 ნახ. ვერსით.

ახალ-სენაკი

ტერიტორიალური დივიზია

ახალ-სენაკი, 19 დეკ. მაზრაში დაიწყო 1899, 1900 და 1901 წლებში დაბადებულთა აღრიცხვა. 13—17 დეკემბრამდი აღრიცხვაზე გამოცხადდა 364 კაცი, ტერიტორიალურ ნაწილში გადაირიცხა 243. დანარჩენები განთავისუფლებული არიან.

აზერბაიჯანი

ბაქოს საბჭოს ბიუჯეტი

ბაქო, 19 დეკ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ბაქოს საბჭოს 1924—25 წლის ბიუჯეტი, რომელიც უდეფიციტო აღმოჩნდება, თუ აზერბაიჯანის ნავთის სამმართველო გადაიხდის ყველა გადასახადს; ამ შემთხვევაში დარჩება ზედმეტი თანხაც 1.500 მან. რაოდენობით.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

ბაქო, 19 დეკემბერი. აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ნება დართო აზერბეიჯანის პოლიგრაფიულ ტრესტს გადავიდეს ნარდით მუშაობაზე და მოაწყოს ბაქოში ასოების ჩამომსხმელი სახელოსნო.

აღძრულია შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინაშე, რათა აკრძალული იქნეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საზღვრებიდან ნედლი თამბაქოს გაზიდვა. კასპიის განაპირა ბაზრების დასაპყრობად, აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტს ნება ეძლევა მიმართოს გასაღების შეღავათიან პირობებს.

ცენტრის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ აზერბეიჯანში გადაზიდული იქნეს ერთი საქსოვი ფაბრიკა, აბრეშუმის პროდუქციის დიდი რაოდენობით დაგროვების გამო, გადაწყვეტილია აღიძრას შუამდგომლობა ცენტრის წინაშე, რათა ნებადართულ იქნეს აბრეშუმის, აბრეშუმის თესლის და სხვ. გაზიდვა უცხოეთში.

სომხეთი

კომკავშირის უჯრედის 4 წლის იუბილე

ერევანი, 19 დეკ. 21 დეკემბერს სრულდება 4 წელი ლენინკანის დეპოს კომკავშირის უჯრედის დაარსების დღიდან. ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის და დეპოს კომკავშირის უჯრედები. სომხეთის კომკავშირის ცეკა უჯრედს გადასცემს დროშას.

თურქული დრამატიული სექცია

ერევანი. 19 დეკ. სახელმწიფო თეატრთან დაარსდა თურქული დრამატიული სექცია.

პარტიული ცხოვრება

პარტია და კომუნისტური კავშირი

ახალგაზრდა ლენინური კავშირი იზრდება როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივად: თუ 1917 წ. ან 1918-ში ჩვენ ვითვლიდით მხოლოდ რამოდენიმე ათეულ წევრებს, დღეს უკვე ეს რიცხვი აღწევს ათასეულებს.

საქართველო, როგორც ვიცით, სამეურნეო ქვეყანაა და, რასაკვირველია, კომკავშირის ორგანიზაციაში ყველაზე უფრო საგრძნობ ნაწილს წარმოადგენს გლეხური ახალგაზრდობა (55 პროც.).

საქართველოს კომკავშირის ცეკას თანახმად ორგანიზაციის შემადგენლობა უნდა დარჩეს ამნაირ შეფარდებაში: გლეხური ახალგაზრდობა არა უმეტეს 60 პროცენტისა, მუშური ახალგაზრდობა არა ნაკლები 23 პროცენტისა, ინტელიგენტური კი 17 პროც. ორგანიზაციაში ამნაირი პროპორციის დაცვა ერთ-ერთი საშუალება არის იმისათვის, რომ მან (ორგანიზაციამ) შეინარჩუნოს მუშური ახალგაზრდობის ბუნება და წმინდა კლასიური ხასიათი. სხვათა შორის ეს გარემოება ჩვენ გვიკარნახებს აგრეთვე იმას, **რომ პარტიამ უფრო გააძლიეროს თავისი იდეური ხელმძღვანელობა კომკავშირზე.** ეს ხელმძღვანელობა თბილისში უფრო ძლიერია იმ მიზეზის გამო, რომ ერთი მხრით აქ მუშური ახალგაზრდობა უკვე დაპყრობილია და ის კომკავშირის ორგანიზაციაში საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს და მეორე მხრით აქ პარტიის პროლეტარული შემადგენლობა თავდებია პარტიისა და ახკომკავშირის შორის მჭიდრო კავშირის შექმნისა. სულ სხვა სურათს ვხედავთ ჩვენ პროვინციაში. აქ მუშური ახალგაზრდობა არა გვყავს და ამიტომ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი შესდგება გლეხური ახალგაზრდობისა და მოწაფეობისაგან.

აღსანიშნავია აგრეთვე მეორე გარემოება: ზოგიერთ მივარდნილ სოფლებში არსებობენ ალ. კ. კ. უჯრედი და პარტიის უჯრედები ან სულ არ არსებობენ და თუ არსებობენ, სუსტნი არიან და პარტიული უჯრედის გავლენა კომკავშირზე მეტად უმნიშვნელოა. ასეთ პირობებში კომკავშირი მუშაობის პროცესში უშვებს ბევრ დეფექტებს. იყო შემთხვევები, როდესაც კომკავშირის უჯრედი ადგილობრივ ერეოდა საბჭოთა ორგანოების მუშაობაში, რის გამოც ორგანიზაციას ემჩნეოდა ადმინისტრატიული გადახრა.

კომკავშირის ორგანიზაციის ყველა ეს ნაკლულევანებანი დღეს მინიმუმამდე არის გასწორებული, მაგრამ მივარდნილ პროვინციებში (განსაკუთრებით იქ, სადაც პარტუჯრედი არ არის) ის ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის.

კომკავშირის ორგანიზაციის კარებს აწყდება აუარებელი გლეხური ახალგაზრდობა და მოწაფეობა და ჩვენ კი ისეთი აქტივი არა გვყავს სოფლად, რომ მას სათანადო ხელმძღვანელობა შეეძლოს ახალგაზრდობის ამ მასისათვის. ეს გარემოებაც გვიკარნახებს აუცილებლობას პარტიისა და კომკავშირის შორის უფრო მჭიდრო კავშირისას, რათა ეს უკანასკნელი იწვრთნებოდეს **ძველი კომუნისტური გვარდიის იდეური ხელმძღვანელობის ქვეშ.**

კ. წალენჯიხელი.

ქალთა შორის მუშაობა ფოთში

7 დეკემბერს შესდგა ქ. ფოთის პარკის უბანში მშრომელ ქალთა საერთო კრება ამხ. ე. ჯამბურიას მეთაურობით. კრებაზე გამოცხადდა უბანში მცხოვრებ ქალების უმრავლესობა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და 2) დელეგატ ქალების არჩევნები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიულ კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. დ. მშვენიერაძემ, რომელმაც ვრცლათ გაშუქა საერთაშორისო მდგომარეობის ყველა მნიშვნელოვანი მომენტები, რის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ჩვენ აქ შეკრებილი ქალები ვაცხადებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ განაგრძობს სვლას მის მიერ სწორად აღებულ ხაზით მუშათა კლასის სასარგებლოდ და თუ ევროპის რომელიმე სახელმწიფოთაგანმა გაბედა გალაშქრება ჩვენს წინააღმდეგ, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა ხელისუფლება მათ გასცემს სათანადო პასუხს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც მტკიცეთ იცავს მუშათა კლასის ინტერესებს“.

რეზოლუციის მიღების შემდეგ მოხდა დელეგატთა არჩევნები.

ინფორმატორი ყ—ი.

ც. პ. სკოლაში წერა-კითხვის უცოდინართა მებრძოლ საზოგადოების უჯრედის დაარსება

ა | წ. [illegible] დეკემბერს ც. პ. სკოლაში კურსანტთა საერთო კრებაზე დაარსდა წერა-კითხვის უცოდინართა მებრძოლი საზოგადოების უჯრედი. ამ უჯრედის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოსპოს წერა-კითხვის უცოდინარობა იმ ადგილებში, სადაც ც. პ. სკოლას აქვს აღებული შეფობა მომამზადოს თავისი უჯრედის წევრები საზოგადოებრივ-კომუნისტური იდეების გავრცელებისათვის და ამასთანავე უჯრედის წევრებმა არდადეგების დროს ადგილებზე აქტიურად ჩაიბან და ხელი შეუწყონ წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის საქმეს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ც. პ. სკოლა შესძლებს ამ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას, მხოლოდ საჭიროა „წერკუმი“ უმაღლესმა ორგანომ რაც შეიძლება დაჩქარებით და სისტემატიურად მიაწოდოს ყოველივე სათანადო სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები.

ც. პ. სკოლა მზადაა მთელი თავისი ენერგია მოახმაროს კულტურულ საქმეს, და გაამართლოს პროლეტარულ რევოლუციის ბელადის ამხ. ლენინის სიტყვები, რომელიც ამბობდა: „ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე არ უნდა იყოს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი“.

პარტკური ბ. დაზნიანი.

პარტმუშაობა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში

კომუნ. უნივერსიტეტის კომუჯრედში ირიცხება 300 ამხ., ხოლო კომკავშირში კი 180. ხსენებულ უჯრედმა თავიანთი მუშაობა განაახლეს ამა წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან.

უჯრედების ბიუროებს შორის მჭიდრო კავშირია, მხოლოდ ამასთანავე ერთად ადგილობრივ კომუჯრედს კავშირი აქვს ს. კ. პ. თბილისის კომიტეტთან არსებული პროლეტ. სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროსთან და თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ კომორგანიზაციებთან.

ორივე უჯრედი ორგანიზაციული, პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების გადასამუშავებლად დანაწილებულია 23 პარტიული წრეთ.

კომიაჩეიკის ბიურომ ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოყო ამხანაგები პოლიტიკური და სარაიონო პარტშკოლების ხელმძღვანელობით, რომლებიც შეუდგნენ თავიანთ მოვალეობას.

იაჩეიკის ბიუროები ენერგიულ მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის საერთო საქმეებშიაც. კომიაჩეიკის მდივანი უნივერსიტეტის მართველობის წევრია.

ეხლა ორივე იაჩეიკის ბიუროებს წინ დგას მეტად გადაუდებელი ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაჭრას: 1. კომუჯრედის კომუნ. კავშირის იაჩეიკის ორგანიზაციულად სავსებით ჩამოყალიბება. 2. ჯარის ნაწილებში, საწარმოო და უმაღლესი სასწავლებლის კომ-ორგანიზაციებში ამხანაგების მიმაგრების საკითხის მოგვარება და 3. პარტიულ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება.

ლავრენტი ძიძიგური.

კომკავშირის შობისათვის

საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის გეგმა კომკავშირის შობის დღესასწაულის ჩასატარებლათ

თბილისში.

კომკავშირის შობა ეწყობა 25 დეკემბერს. დღესასწაულის მიზანია ანტირელიგიური პროპაგანდა მშრომელი მოსახლეობის და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფართე მასებში.

კომკავშირის თბილისის კომიტეტი დაუგზავნის უჯრედებს ღია წერილს „როგორ ჩავატარებთ ჩვენ მიმდინარე წელს კომკავშირის შობას“. ეს წერილი მთლიან საკავშირო დღეს 23 დეკემბერს წაიკითხება უჯრედებში.

24 დეკემბერს, შობის წინა დღეს, ყველა საწარმოვო კლუბებში და ს. ლ. ა. კ. კ. უჯრედებში ახალგაზრდა პიონერებთან ერთად ეწყობა ანტირელიგიური საღამოები შემდეგი პროგრამით: მოხსენება—რატომ არ გვწამს ჩვენ ღმერთი. ანტირელიგიური პიესები. კლუბის წრეების გამოსვლები: მომღერალთა გუნდი, სიმებიანი ორკესტრი და სხვა, დეკლამაცია.

სასურველია გაიმართოს რელიგიის გასამართლების ინსცენიროვკა. მოხსენებისათვის გამოყენებულ უნდა იქნან მომზადებული პარტიული ამხანაგები.

25 დეკემბერს კომკავშირის სარაიონო კლუბებში—ანტირელიგიური საღამოები. საღამოს დაწყებამდე მოხსენება: „რელიგია და მეცნიერება“.

26-ს პარასკევს და 27 შაბათს კომკავშირის კლუბებში პოპულარული ანტირელიგიური ლექციები: 1. ლეგენდა ქრისტეზე. 2. ესაჭიროება თუ არა პროლეტარიატს რელიგია.

28 კვირას კომკავშირის კლუბებში ახალ ყოფა-ცხოვრების საღამოები, სასურველია მოწყობა წითელ ქორწინების, ნათლობის და სხვა.

ს. ლ. ა. კ. კ. სარაიონო კლუბების ბიბლიოთეკებში იხსნება ანტირელიგიური განყოფილება (წიგნებს გზავნის ტ. კ.)

სამკითხველოებში ცხადდება ანტირელიგიური წიგნების სიები და ეწყობა მათი გამოფენა.

24 დეკემბერს გამოდის „სპარტაკი“-ს და „იუნოშესკაია პრავდა“-ს სპეციალური ნომრები კომკავშირის შობის აღსანიშნავად

მზადდება პლაკატების და ლოზუნგების სერია. დღესასწაული ქუჩაში არავითარ შემთხვევაში არ გამოიტანება. კამპანიის ჩატარების ხელმძღვანელობა ეკუთვნის ს. ლ. ა. კ. კ. ტ. კ. სააგიტაციო განყოფილებას ს. კ. კ. ტ. კ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებასთან ერთად.

ტ. კ. დაგზავნის 25 დეკემბრისთვის რაიონებში ინსტრუქციებს და მასალებს საღამოებისთვის, აგრეთვე ანტირელიგიურ ლიტერატურას.

დღესასწაული სოფელში.

კომკავშირის შობა ეწყობა სოფელში საეკლესიო უქმეების დროს ძველი სტილით. უჯრედების კრებებზე წინასწარ იკითხება მოხსენებები „რელიგია და მეცნიერება“.

6 იანვ. 25 წელს შობის წინა დღეს უჯრედის კომკავშირელთა კლუბში სოფლის ინტელიგენციასთან ერთად პარტიის ხელმძღვანელობით იმართება საღამო სერიოზულ მოხსენებით. 7, 8 და 9—ქოხ-სამკითხველოებში იმართება საუბარი ანტირელიგიურ თემაზე ახალგაზრდა გლეხებთან.

სამეურო კომისიები და უჯრედები, რომლებიც შეფობას უწევენ ამა თუ იმ სოფელს, ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ სოფლის უჯრედებს ამ მუშაობაში; თუ შესაძლებელია, მძლიან სოფლებში წარმოდგენების გასამართავად, მოხსენებების წასაკითხავათ და სხვა.

ს. კ. პ. ტ. კ. საშუალებით ხდება მობილიზაცია პარტიულ ამხანაგების მაზრაში კამპანიის ჩასატარებლათ.

ს. ლ. ა. კ. კ. ტ. კ. საგიტაციო განყოფილება.

ა. ლოზუნგი: რევოლუცია გლეხობის გარეშე. რადეკიც კი, პერმანენტულ რევოლუციის ეს დიპლომატიური დამცველი—იძულებულია აღიაროს, რომ პერმანენტული რევოლუცია 1905 წლამდე ნიშნავდა ჰაერში ახტომას. ეხლა, როგორც ჩანს, ყველანი აღიარებენ, რომ ჰაერში ხტუნვა არა ღირს.

ბევრს არ ვილაპარაკებთ აგრეთვე ტროცკის პოზიციის შესახებ ომის პერიოდში—ვიტყვით, რომ 1915 წელში თავის წერილში „ბრძოლა ხელისუფლებისათვის“ ტროცკი, გამოდიოდა რა იქიდან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმპერიალიზმის ეპოქაში, რომ იმპერიალიზმი „ბურჟუაზიულ ერს (?) კი არ უპირდაპირებს ძველ რეჟიმს, არამედ პროლეტარიატს უპირდაპირებს ბურჟუაზიულ ერს“, იმ დასკვნამდი მივიდა, რომ გლეხობის რევოლუციონური როლი უნდა შემცირდეს, რომ მიწის კონფისკაციის ლოზუნგს აღარ აქვს უკვე ის მნიშვნელობა, რომელიც წინათ ჰქონდა. ცნობილია, რომ ლენინი არჩევდა რა ტროცკის ამ წერილს, ბრალს სდებდა მას მაშინ გლეხობის როლის უარყოფაში; ლენინი ამბობდა, რომ „ტროცკი საქმით ეხმარება რუსეთის ლიბერალურ მუშურ პოლიტიკოსებს, რომლებსაც გლეხობის როლის უარყოფის ნიშნის ქვეშ სურთ გლეხობა არ ჩააბან რევოლუციაში“.

უმჯობესია გადავიდეთ ტროცკის უფრო უახლოესი დროის ნაშრომებზე ამ საკითხის შესახებ, როდესაც დიქტატურა უკვე განმტკიცდა, როდესაც ტროცკის საშუალება ჰქონდა შეემოწმებია თავისი პერმანენტული რევოლუციის თეორია და გამოესწორებია თავისი შეცდომები. ავიღოთ „1905 წლისათვის“ გაკეთებული წინასიტყვაობა, რომელიც დაწერილია 1922 წელში. აი რას ამბობს ტროცკი ამ წინასიტყვაობაში პერმანენტული რევოლუციის შესახებ.

„სწორედ იმ დროის განმავლობაში, რომელიც გავიდა 9 იანვრიდან 1905 წლის ოქტომბრის შეტაკებამდე, შემუშავდა ავტორში ის შეხედულება რუსეთის რევოლუციონური განვითარების ხასიათზე, რომელმაც შემდეგ მიიღო პერმანენტული რევოლუციის სახელწოდება. ეს სახელწოდება გამოხატავდა იმ აზრს, რომ რუსეთის რევოლუცია, რომლის წინაშე უშუალოთ დასმულია ბურჟუაზიული მიზნები, ვერ შესძლებს მათზე შეჩერებას. რევოლუცია სხვანაირად ვერ გადასწყვეტს თავის უახლოეს ბურჟუაზიულ ამოცანებს, თუ ის ძალაუფლებას არ ჩააბარებს პროლეტარიატს. ეს უკანასკნელი კი, აიღებს რა თავის ხელში ძალაუფლებას, ვერ დაკმაყოფილდება რევოლუციის ბურჟუაზიული ფარგლებით. პირიქით, სწორეთ გამარჯვების უზრუნველსაყოფათ პროლეტარული ავანგარდი თავისი ბატონობის პირველ ხანებში იძულებული იქნება შეიჭრას არა მარტო ფეოდალურ, არამედ ბურჟუაზიულ საკუთრებაშიც. ამასთანავე მას შეჯახება მოუხდება არა მარტო ყველა ბურჟუაზიულ ჯგუფებთან, რომლებიც მხარს უჭერდენ მას მის რევოლუციონური ბრძოლის პირველ ხანებში, არამედ გლეხობის ფართო მასებთანაც, რომელთა დახმარებითაც ის სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას. ის წინააღმდეგობა, რომელსაც ადგილი ექნება მუშათა მთავრობის შიგნით ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს გლეხობა, შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციის ასპარეზზე“.

ასე ლაპარაკობს ტროცკი თავისი პერმანენტული რევოლუციის შესახებ.

საკმარისია შევადაროთ ეს ამონაწერი ლენინის ნაწერებიდან ამოღებულ ამონაწერებს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომ დავინახოთ მთელი ის უფსკრული, რომელიც ერთმანეთისაგან აშორებს ლენინის თეორიას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და ტროცკის პერმანენტული რევოლუციის თეორიას.

ლენინი პროლეტარიატის და გლეხობის მშრომელი ფენების კავშირს სთვლის პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლად. ტროცკი კი ფიქრობს, რომ აუცილებელია შეჯახება პროლეტარიატის ავანგარდისა და გლეხობის ფართო მასების შორის.

ლენინი ამბობს, რომ პროლეტარიატმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მშრომელ და დაჩაგრულ მასებს, ტროცკი კი ფიქრობს, რომ აუცილებელია წინააღმდეგობა მუშათა მთავრობის შიგნით ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს გლეხობა.

ლენინის აზრით რევოლუციის მამოძრავებელი ძალები გამოდიან თვით რუსეთის მუშათა და გლეხთა წრიდან.

ტროცკი კი ფიქრობს, რომ საჭირო ძალების მიღება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციიდან.

როგორ მოვიქცეთ, თუ საერთაშორისო რევოლუციამ დაიგვიანა? არის თუ არა რაიმე გამოსავალი ჩვენი რევოლუციისათვის? ტროცკი არავითარ გამოსავალს არ იძლევა, რადგან „წინააღმდეგობა, რომელსაც ადგილი ექნება მუშათა მთავრობის შიგნით... შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს მხოლოდ... პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციის ასპარეზზე“. ამ გეგმის მიხედვით ჩვენს რევოლუციას რჩება მხოლოდ ერთი პერსპექტივა: თავის საკუთარ წინააღმდეგობებში მომწყვდევა და თანდათანობითი ჩამოხმობა საერთაშორისო რევოლუციის მოლოდინში.

რა არის პროლეტარიატის დიქტატურა ლენინის აზრით?

პროლეტარიატის დიქტატურა არის ისეთი ხელისუფლება, რომელიც ემყარება პროლეტარიატს და გლეხობის მშრომელი ფენების კავშირს, კაპიტალის სრულ მოსასპობათ და სოციალიზმის საბოლოო შესაქმნელათ და განსამტკიცებლათ.

რა არის პროლეტარიატის დიქტატურა ტროცკის აზრით?

პროლეტარიატის დიქტატურა არის ისეთი ხელისუფლება, რომელიც უნდა შეეჯახოს გლეხობის ფართო მასებს და რომლის წინააღმდეგობათა გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციის ასპარეზზე.

რითი განსხვავდება პერმანენტული რევოლუციის ეს თეორია მენშევიზმის ცნობილი თეორიიდან პროლეტარიატის დიქტატურის იდეის უარყოფის შესახებ?

არსებითად არაფრით.

ეს უდავოა. პერმანენტული რევოლუცია არ არის მარტო არა საკმაოდ შეფასება გლეხთა მოძრაობის, რომელსაც მივყევართ ლენინის იმ თეორიის უარყოფამდი, რომელიც შეეხება პროლეტარიატის დიქტატურას.

ტროცკის პერმანენტული რევოლუცია არის მენშევიზმის ერთი სახე.

ასეთია ოქტომბრის რევოლუციის პირველი თავისებურება.

როგორია ოქტომბრის რევოლუციის მეორე თავისებურების დამახასიათებელი ნიშნები?

შეისწავლა რა იმპერიალიზმი, განსაკუთრებით ომის პერიოდში, ლენინი იმ დასკვნამდი მივიდა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება სწარმოებს ნახტომებით, არათანაბრათ. ამ კანონის მიხედვით ცალკე წარმოებების, ტრესტების, მრეწველობის ცალკე დარგების და ცალკე ქვეყნის განვითარება ხდება არა თანაბრათ, არა ერთხელ დამყარებული წესით, არა ისე, რომ ერთი ტრესტი, მრეწველობის ერთი დარგი ანდა ერთი ქვეყანა ყოველთვის წინ მიდიოდეს, სხვა ტრესტები ანდა ქვეყნები თანდათან უკან რჩებოდენ, არამედ ნახტომებით; ზოგიერთი ქვეყნების განვითარების ტემპი ნელდება, სხვა ქვეყნები კი ამ დროს ნახტომებით წინ მიდიან. ამავე დროს ჩამორჩენილი ქვეყნების სრულიად კანონიერი მისწრაფებაა შეინარჩუნონ ძველი პოზიციები და წინ წასულ ქვეყნების ასეთივე კანონიერი მისწრაფება დაიპყრონ. ახალი პოზიციები ჰქმნიან ისეთ მდგომარეობას, რომ იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო შეჯახება გარდუვალ აუცილებლობათ ხდება. ასეთი მდგომარეობა იყო, მაგალითად, გერმანიაში, რომელიც ნახევარი საუკუნის წინეთ საფრანგეთთან და ინგლისთან შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. იგივე უნდა ითქვას იაპონიის შესახებაც რუსეთთან შედარებით. ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანია და იაპონია ისე შორს წავიდენ, რომ პირველმა გაასწრო საფრანგეთს და დაიწყო ინგლისის შევიწროება საერთაშორისო ბაზარზე, მეორემ კი გაასწრო რუსეთს. ამ წინააღმდეგობიდან აღმოცენდა, როგორც ვიცით, წარსული იმპერიალისტური ომი.

ეს კანონი გამომდინარეობს იქიდან, რომ: პირველი.—„კაპიტალიზმი გადაიქცა ერთი მუჭა მოწინავე ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის კოლონიალურ ჩაგვრის და ფინანსიური დახრჩობის მსოფლიო სისტემათ“. (იხ. წინასიტყვაობა, რომელიც დართული აქვს ფრანგულ ენაზე გამოსულ ლენინის წიგნს იმპერიალიზმის შესახებ).

მეორე.—„ამ ნადავლის გაყოფა სწარმოებს თავიდან ფეხებამდი შეარაღებული ორ-სამ უძლიერეს სახელმწიფოს შორის (ამერიკა, ინგლისი, იაპონია), რომლებიც ნადავლის გაყოფისათვის დაწყებულ ომში აბამენ მთელ დედა-მიწას“. (იხ. იქვე).

მესამე.—წინააღმდეგობათა ზრდას ფინანსიური ჩაგვრის საერთაშორისო სისტემის შიგნით და სამხედრო შეჯახებების აუცილებლობას მივყევართ იქითკენ, რომ იმპერიალიზმის საერთაშორისო ფრონტს ადვილათ შეიძლება მიაყენოს ზიანი რევოლუციის მხრიდან: ამ ფრონტის გარღვევა კი ცალკე ქვეყნების მიერ შესაძლებელი ხდება.

მეოთხე.—ეს დარღვევა შეიძლება მოხდეს იმ პუნქტებში, იმ ქვეყნებში, სადაც იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი სუსტია, სადაც იმპერიალიზმი სუსტათ არის დაჭედილი, რევოლუციის კი ადვილათ შეუძლია განვითარება.

მეხუთე.—ამის გამო სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, თუ გინდ ეს ქვეყანა ნაკლებ განვითარებული იყოს კაპიტალისტურათ, იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალიზმი დარჩება სხვა ქვეყნებში, თუ გინდ ეს ქვეყნები უფრო განვითარებული იყონ კაპიტალისტურათ, სავსებით შესაძლებელია.

ასეთია მოკლეთ ლენინის თეორია პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

რაში მდგომარეობს ოქტომბრის რევოლუციის მეორე თავისებურება.

ოქტომბრის რევოლუციის მეორე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ეს რევოლუცია არის ნიმუში ლენინის თეორიის გამოყენებისა პრაქტიკაზე.

ვინც ვერ შეიგნო ოქტომბრის რევოლუციის ეს თავისებურება, ის ვერასოდეს ვერ შეიგნებს ამ რევოლუციის ვერც ინტერნაციონალურ ბუნებას, ვერც მის უდიდეს საერთაშორისო ძლიერებას და ვერც მის თავისებურ საგარეო პოლიტიკას.

„ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების არათანაბრობა—ამბობს ლენინი—კაპიტალიზმის უდავო კანონია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველათ შესაძლებელია რამოდენიმე ანდა ერთ ცალკე კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი ჩამოართმევს ქონებას კაპიტალისტებს, ის მოაწყობს სოციალისტურ წარმოებას, წინააღუდგება დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს და მიიზიდავს სხვა ქვეყნების დაჩაგრულ მასებს; ამასთანავე ის ამ ქვეყნებში მოაწყობს აჯანყებას კაპიტალისტების წინააღმდეგ და საჭირო შემთხვევებში იარაღითაც კი გამოვა მჩაგვრელი კლასების და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ. რადგან შეუძლებელია ერების თავისუფალი გაერთიანება სოციალიზმში, თუ სოციალისტურმა რესპუბლიკებმა ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა არ აწარმოეს დანარჩენ სახელმწიფოებთან“.

ყველა ქვეყნების ოპორტიუნისტები ამტკიცებენ, რომ პროლეტარული რევოლუცია შეიძლება დაიწყოს, თუ საერთოდ ის უნდა დაიწყოს სადმე მათი თეორიის მიხედვით, მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა განვითარებულია, რომ რაც უფრო განვითარებული არიან მრეწველობის მხრივ ეს ქვეყნები, მით უფრო მეტი შანსებია იმისათვის, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებს; ამასთანავე ისინი უარყოფენ სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ერთ ქვეყანაში, რომელიც სუსტათ არის განვითარებული კაპიტალისტურათ.

ლენინი ჯერ კიდევ ომის დროს, ემყარება რა იმპერიალისტურ ქვეყნების არა თანასწორად განვითარების კანონზე, უპირისპირებს თავის პროლეტარული რევოლუციის თეორიას სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ერთ ქვეყანაში, თუნდაც ეს ქვეყანა კაპიტალისტურად უფრო ნაკლებად იყოს განვითარებული.

ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამ სავსებით დაამტკიცა პროლეტარული რევოლუციის ლენინის თეორიის სისწორე.

როგორია ტროცკის პერმანენტული რევოლუცია პროლეტარულ რევოლუციის ლენინის თეორიის თვალსაზრისით.

ავიღოთ ტროცკის ბროშიურა „ჩვენი რევოლუცია“ (1906 წელი). ტროცკი სწერს:

„ევროპის პროლეტარიატის უშუალო სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ხელისუფლებას და თავის დროებით სახელმწიფოს გადააქცევს ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად. ერთი წუთითაც არ შეიძლება ამაში ეჭვი შევიტანოთ“.

რას ლაპარაკობს ეს ციტატა. დიახ, იმას, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთს ქვეყანაში—ამ შემთხვევაში რუსეთში—შეუძლებელია ევროპის პროლეტარიატის უშუალო სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე, ესე იგი ევროპის პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებამდე.

რა არის საერთო ამ თეორიასა და ლენინის იმ დებულებას შორის, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია სოციალიზმის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ცხადია, რომ აქ საერთო არაფერი არ არის.

მაგრამ დავუშვათ, რომ ტროცკის ეს ბროშიურა, გამოცემული 1906 წელს, როცა ძნელი იყო ჩვენი რევოლუციის ხასიათის გამორკვევა, შეიცავს უნებლიე შეცდომებს და სავსებით არ შეეფერება ტროცკის უფრო მახლობელ პერიოდის შეხედულებებს. განვიხილოთ ტროცკის მეორე ბროშიურა—მისი „ზავის პროგრამა“, რომელიც გამოქვეყნდა ოქტომბრის რევოლუციის წინ 1917 წელს და შემდეგ ხელახლად გამოიცა 1924 წელს წიგნში „1917“. ამ ბროშიურაში ტროცკი აკრიტიკებს პროლეტარული რევოლუციის ლენინის თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და უპირისპირებს მას ლოზუნგს ევროპის შეერთებული შტატების შესახებ. ის ამტკიცებს, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში შეუძლებელია, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ, როგორც გამარჯვება ევროპის რამოდენიმე მთავარ სახელმწიფოში (ინგლისი, რუსეთი, გერმანია), რომლებიც გაერთიანებული იქნებიან ევროპის შეერთებულ შტატებში, ან ის სავსებით შეუძლებელია. ის პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ძლევამოსილი რევოლუცია რუსეთში ან ინგლისში წარმოუდგენელია, თუ არ მოხდა რევოლუცია გერმანიაში და პირიქით: „ერთად-ერთი რამოდენიმედ კონკრეტიული ისტორიული მოსაზრება—ამბობს ტროცკი—შეერთებული შტატების ლოზუნგის წინააღმდეგ ჩამოაყალიბა შვეიცარიის „სოციალ-დემოკრატ“-მა (ბოლშევიკების მაშინდელი ცენტრალური ორგანო) შემდეგ ფრაზაში: „ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანასწორობა არის კაპიტალიზმის აუცილებელი კანონი“. აქედან „სოციალ-დემოკრატ“-ს გამოჰყავდა დასკვნა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში და ამიტომ საჭირო არ არის პროლეტარიატის დიქტატურა თვითეულ ცალკე სახელმწიფოში დაუკავშიროთ ევროპის შეერთებული შტატების შექმნას რომ სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტური განვითარება თანაბარი არ არის—ეს სავსებით უდავო მოსაზრებაა. მაგრამ თვით ეს უთანასწორობა მეტად უთანასწოროა. ინგლისის, ავსტრიის, გერმანიის ან საფრანგეთის კაპიტალისტური დონე არ არის თანაბარი, მაგრამ აფრიკასა და აზიასთან შედარებით ყველა ეს ქვეყნები წარმოადგენენ კაპიტალისტურ ევროპას, რომელიც მომწიფებულია სოციალური რევო-

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა

კავშირისათვის დროშის გადაცემა აზერბაიჯანელთაგან

18 დეკემბრის საღამოს სხდომაზე საქართველოს მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობას აზერბაიჯანის სასოფლო მეურნეობის მუშათა სახელით აზერ. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. საფაროვმა გადასცა დროშა თურქული და ქართული წარწერით, და მიმართა შესაფერი სიტყვით. დროშის გადაცემას ყრილობა ხანგრძლივ ოვაციებით შეხვდა.

მეექვსე სხდომა

სახელმწიფო მამულების ტრესტის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. გედევანიშვილი)

სახელმწიფო მამულების ტრესტი აერთიანებს ყოფილ საუფლისწულო მამულებს და მემამულეთაგან ჩამორთმეულ ზოგ მსხვილ მეურნეობას. ტრესტში გაერთიანებულია სულ 30 სამეურნეო ერთეული, რომელნიც წარმოადგენენ შემდეგ ხუთ სასოფლო მეურნეობას: მევენახეობა-მეღვინეობას, მებამბეობას, მეხილეობას, მესაქონლეობას და ჩაის კულტურას.

სახალხო მამულების კულტურული ნაკვეთები, ინვენტარი და პროდუქციის ღირებულება უდრის სულ 12 მილიონ მანეთს.

ტრესტი ისახავს კულტურულ-სამეურნეო მიზნებს.

მევენახეობის დარგში ტრესტს დიდი მუშაობის შესრულება დასჭირდა. კახეთის მევენახეობას ფილოქსერისგან მოელის სრული განადგურება, რისთვისაც საჭირო ხდება გადამწყვეტი ზომების მიღება.

კახეთში ახალ ამერიკულ ვაზზე გადახალისებული იქნა 25 დესეტინა ვენახი, გლეხობისათვის დამყნილი ლერწის მისაწოდებლად ტრესტმა გაიცნო ყველა მუშაობა სანერგეების ირგვლივ. კახეთში გაშენებულ იქნა 17 დესეტინა, ხოლო იმერეთში 20 დესეტინა სანერგე. წრეულს გლეხობას და კოოპერატიულ ორგანიზაციებს მიეცათ 150 ათასი ნამყენი. შემუშავებული გვქონდა საქართველოს ვენახების განახლება უნდა მოხდეს 10 წლის განმავლობაში—იმ დონემდე მაინც, როგორც ომამდე იყო.

წრეულს ტრესტი შეუდგა პორტვეინის და საერთოდ მაგარი ღვინოების დამზადებას, რომელმაც კარგი შედეგი გამოიღო. წრეულს ტრესტის საკუთარ მამულებში მოწეულ იქნა 70 ათასი ვედრო ღვინო, ხოლო შესყიდულ იქნა იმერეთში 100 ათასი ფუთი, კახეთში 30 ათასი ფუთი ღვინო.

შარშან დათესილი იყო მხოლოდ 7 დესეტინა, წრეულს 250 დესეტინა. მომავალი გაზაფხულისათვის იქნება საქართველოში 7—8 ათასი დესეტინა ბამბა.

ჩაის მეურნეობა დიდი ნაბიჯით მიდის წინ. ჩაის წრევანდელმა პროდუქციამ მშვიდობიანი დროის ნორმას გადააჭარბა. ტრესტი აწარმოებს არა მარტო თავის ნედლის მასალის დამუშავებას, არამედ გლეხების პლანტაციებისაც.

ამავე სხდომაზე ამხ. გედევანიშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

მედსანშრომის მუშაკთა ყრილობა

მეხუთე სხდომა

კავშირის მომავალი ამოცანები

ყრილობა იხილავს თეზისებს საორგანიზაციო, სატარიფო-ეკონომიური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობათა შესახებ. საორგანიზაციო დარგში ყრილობა საჭიროდ სთვლის გაღრმავებულ იქნეს ადგილობრივი უჯრედების აქტიობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებს. ყრილობა საჭიროდ სცნობს პროფორგანოების მიერ გამოყენებულ იქნეს მასების დაინტერესება პროფმოძრაობით და მომზადდეს საკავშირო მასიდან პროფმუშაკების ახალი კადრი.

კავშირის ფინანსების გასაჯანსაღებლად ყრილობა ახალ გამგეობას ავალებს გამოასწოროს გასული წლის შეცდომები, მოსპოს კავშირის ორგანოების დეფიციტიანობა აპარატის შესანახი ხარჯების შემცირებით. ფონდების თანხები იხარჯებოდეს თავისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

ყრილობა რამოდენიმე შესწორების და ცვლილების შეტანის შემდეგ ამტკიცებს წარმოდგენილ თეზისებს.

ყრილობა ისმენს წერილობითი მისალმებას მშენებლთა კავშირის ყრილობიდან, რომელსხედაც თავის მხრივ მისასალმებლად გზავნის თავის წარმომადგენლებს.

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობა ამტკიცებს კომისიების მიერ მოხსენებათა შესახებ წარმოდგენილ რეზოლიუციებს, რის შემდეგაც იწყება არჩევნები.

ახალი ცენტრალური გამგეობა

ცენტრალურ გამგეობაში ერთხმად არჩეულნი არიან ამხ. ამხ. ნარჩემაიშვილი, სოხიანცი, სიკინჭალაშვილი, ჯიჯაძე, ხუტულაშვილი, ბახტაძე, ნოვიკოვი, ბესტიაევი, ლეჟავა, კანკავა, ბელიაევი, მაყაშვილი, კოჭაიძე, ჯულელი, კალანდია, აკოპოვი, მაჭულია, ცომაია, გოგობერიძე, ხანუმიანი, ქართველიშვილი, ტერმინასოვი; კანდიდატებად ამხ. ამხ. ნიკოლაიშვილი, სვანიძე, მესტიაშვილი მასმუროვი, ბუაჩიძე, ჩიხლაძე, გოხაშვილი და ფხალაძე; სარევიზიო კომისიაში: ვანაძე, მიქაბერიძე, მეგრაბიანცი და მოლჩაძე.

ყრილობას მოსდის მისასალმებელი დეპეშები სომხეთის მედსანშრომის მუშაკთა კავშირიდგან და ქუთაისის მაზრის ფერშლებისაგან, რომელნიც სთხოვენ კავშირს მედიცინის მუშაკის მალე მოწყობას.

ყრილობის დახურვა

დასასრულ საბოლოო სიტყვას ამბობენ ამხ. ნარჩემაიშვილი და კავშირის ცეკას წარმომადგენელი ალტმანი. ეს უკანასკნელი გამოსთქვამს რა თავის კმაყოფილებას ყრილობის მუშაობით, ამბობს, რომ საქ. მედსანშრომის კავშირი წარმოადგენს ერთს საუკეთესო პროფესიონალურ ორგანიზაციას მთელს საბჭოთა კავშირში.

ყრილობა იშლება ინტერნაციონალის მღერით.

სასოფლო მეურნეობა

მეხილეთა ამხანაგობა „მერეთი“

სოფ. მერეთი ქ. გორიდან მდებარეობს 27 ვერსის მოშორებით. სცხოვრობს ამ სოფლად 150 კომლი. უნდა ითქვას, სხვათა შორის, რომ ეს სოფელი მთელი გორის მაზრაში პირველ სოფლად ითვლება როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად.

ამ სოფლის გლეხობა უმთავრესად მისდევს მეხილეობას და მევენახეობას, რასაც კარგი ნიადაგი უწყობს ხელს. მებაღეობის გამავრცელებელი ამ სოფელში იყო ესაია ფურცელაძე, რომელიც წელს გარდაიცვალა. მისი მუყაითი შრომით გლეხობამ სხვა სოფელს გაასწრო მეხილეობის დარგში; თითქმის არ იქნება საქართველოში ისეთი მეხილეობის რაიონი, როგორიც არის მერეთი. მ ხილეობაში გავრცელებულია საუკეთესო თბილი და ცივი ქვეყნების ხეხილის 1500 ჯიში.

ხილის გასასაღებელი ორგანიზაცია ადგილობრივად არსებობს სახელწოდებით „მერეთი“. ამ ორგანიზაციაში ყველა მებაღე გლეხები შედიან წევრებად. ამხანაგობა ჰკრებს ყველა წევრების ხილს, სეზონის დასაწყისში, და ასაღებს მას თითქმის გაზაფხულის დამლევამდე როგორც საქართველოში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში.

ამხანაგობა გლეხებს წინასწარ ურიგებს ავანსებს მათ მიერ შემოტანილ ხილის ფასში და შემდეგ რეალიზაციის გათავებისთანავე, წევრებს ურიგებს დივიდენდს. ამ ამხანაგობით გლეხები კმაყოფილნი არიან, მხოლოდ აღნიშნავენ ერთ ნაკლს, მის მუშაობაში; ეს არის ის, რომ ამხანაგობა გლეხებს ვერ აწვდის პირველ მოთხოვნილების საგნებს.

ქ. მ.

სოციალური დაზღვევა

სენაკის მაზრის დაზღვევის სალაროს მუშაობა

სენაკის მაზრის დამზღვევ სალაროს ახალი გამგეობა, რომელიც მუშაობას შეუდგა მიმდინარე წლის დამდეგს, მიზნად ისახავდა დაზღვევის საქმის სრული მოწესრიგებას მაზრაში. თუმცა მთლიანად არა, მაგრამ მაინც დიდი შედეგებს მიაღწია მან ვაპულ საანგარიშო წელში.

სალაროს 5 თანამშრომელი ჰყავს. მათში ერთი პასუხისმგებელი და 4 ტეხნიკური. საორგანიზაციო ხარჯებისათვის გასულია საანგარიშო წელში 4470 მ. 76 კ. გამგეობას ჰქონდა სულ 55 სხდომა და გაარჩია 865 საკითხი. სალაროს აქვს ერთი პუნქტი გახსნილი ს. საჯოლაოს ხე-ტყის ქარხანასთან, რომელიც აერთიანებს 300-მდე წევრს.

სულ მაზრაში სალაროს წევრებად ირიცხება 1712 დაზღვეული, 13 ინვალიდი და 6 უმუშევარი. სულ კი 1731 კ. აქედან 520 მუშა, 1212 მოსამსახურე.

1923 წელთან შედარებით დაზღვეულთა საერთო რაოდენობამ იკლო, რაც აიხსნება შტატის სიმცირით.

შემოსულია სულ 37.788 მ. 10 კ., გასულია 33.467 მ. 10 კ. დავალიანება სალაროსადმი დიდია. ეს კი შეუწყნარებელია. საექიმო დახმარება საჭიროების დროს ეძლეოდა ყველა დაზღვეულთ. ყველაზე მეტი დახმარება 40 პროც. მოუვიდა განათლების მუშაკებზე, 20 პროც. ხე-ტყის, 20 პროც. საბჭოთა კავშირის და დანარჩენ კავშირებზე კიდევ 20 პროც.

1 ნოემბრიდან ჯანმრთელობის ინსპექტორთან გაიხსნა დაზღვეულთა დამხმარე ქვეგანყოფილება ერთ ექიმით. ამ განყოფილების გახსნამ გააადვილა მუშა-მოსამსახურეებს დახმარების მიღება.

კურორტებზე დამზღვევმა სალარომ გაგზავნა სულ 59 კაცი.

საპენსიო დახმარება ეძლეოდა 13 კაცს.

უმუშევართა რიცხვი უდრის 6, მაგრამ შარშანდელთან შედარებით ეს რიცხვი შემცირდა, ხოლო პენსიონერთა რიცხვი კი გადიდდა თითქმის 80 პროც.

მომავალში გამგეობას დასახული აქვს მიზნად: მარტვილის რაიონში ერთი დამზღვევი პუნქტის დაარსება, დავალიანების ლიკვიდაცია, ფოთი-ქალადიდის რაიონის ჭაობის ამომშრობ მუშების და სოფლის დაქირავებულ მუშების დაზღვევა და სოც. დაზღვევის საქმის პოპულიარიზაცია მაზრაში.

ბ. ურჩენიშვილი.

განათლების ფრონტზე

კულტურულ დაწესებულებათა აღრიცხვა. განათ. კომისარიატმა შეადგინა სტატისტიკური ფორმები შრომის სკოლებისა, ტეხნიკუმების, პროფსკოლების, საბავშო ბაღების—სახლების, დეფექტიურ ბავშების დაწესებულებებისა, წ.-კ. უკოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების, სახალხო სახლების, ქოხ-სამკითხველოების, მუზეუმების, კინოების, უმაღლეს სასწავლებლების, თეატრების და სხვა კულტურულ დაწესებულებათა 15 იანვრამდე ასარიცხად. ამ ფორმების მიხედვით გამოკვლეული იქნება ზემოხსენებულ დაწესებულებების პირადი შემადგენლობა, ეროვნული დანაწილება, მეთოდიური მხარე, სამხატვრო ნაწილი, წიგნების რაოდენობა და კინო-თეატრების მუშაობა მაზრებში.

ჟურნალ-გაზეთები. განათ. კომისარიატის სტატისტიკურ ქვე-განყოფილების ცნობით, აქ ამად საქართველოში გამოდის სულ 46 ქართული ჟურნალი, აქედან—7 პარტიული, პროლეტარული—2, პედაგოგიური—2, მედიცინის—4, სალიტერატურო-სამხატვრო—8, კოოპერაციია—4, სამეცნიერო—4, იუმორისტული—1, პროფესიონალური—1, შრომის—2, სტატისტიკის—1, სასოფლო-სამეურნეო—1, საბავშო—2. სამხედრო—1, ოფიციოზი—6.

რუსულად გამოდის 19 ჟურნალი აქედან—ეკონომიური—1, სოციალურ დაზღვევის—1, შრომის—1, პროფესიონალური—5, სამკურნალო—1, პარტიული—6, სამხატვრო—1, სტუდენტების—1, ოფიციალური—2.

სომხურ ენაზე გამოდის 3 ჟურნალი.

გაზეთები ქართულ ენაზე გამოდის—12, რუსულად—11, სომხურად—1, თათრულ ენაზე—2.

მიიღება 1925 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტზე“

ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს, დაურიგდებათ შემდეგი

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება „ჩირაღდანი“—8-დან 12 გვ.
2. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება „მეცნიერება და ტეხნიკა“—8-დან 12 გვ.
3. ფ. მახარაძის წიგნი: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“
4. ფრ. ენგელსი: „კომუნიზმის პრინციპები“
5. ქ. ორაგველიძე: „რელიგია და მარქსიზმი“
6. მიხ. ადამაშვილი-ჯავახიშვილი: „კვაჭი კვაჭანტირაძე“

დამატებები შემდეგნაირათ იქნება განაწილებული:

ყველა (თვიურიდან დაწყებული) ხელის მომწერლებს მიეცემათ უფასოთ:

1. „ჩირაღდანი“, 2. „მეცნიერება და ტეხნიკა“

ორივე გამოცემა დასურათებული იქნება.

გარდა ამისა

ექვსი თვით ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემათ:

1. ფ. მახარაძის წიგნი—„მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“
2. ფ. ენგელსის წიგნი—„კომუნიზმის პრინციპები“
3. ქ. ორაგველიძეს—„რელიგია და მარქსიზმი“

ერთი წლით ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემა:

1. მიხ. ადამაშვილის-ჯავახიშვილის წიგნი „კვაჭი კვაჭანტირაძე“

გაზეთი ეღირება:

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისათვის

გაგზავნით

1 თვით	75 კაპ.
2 „	1—45 „
3 „	2—15 „

ერთი წლით 8—50 კაპ.

4 თვით	2—85 კაპ.
5 „	3—55 „
6 „	4—25 „

ყველა დანარჩენებისათვის:

თბილისში მიტანით:	
1 თვით	1 მან.
2 „	1—95 კაპ.
3 „	2—90 „
4 „	3—85 „
5 „	4—80 „
6 „	5—76 „
1 წლით	11—50 „

პროვინციაში გაგზავნით:	
1 თვით	1 მ. 20 კაპ.
2 „	2 მ. 35 „
3 „	3 მ. 50 „
4 „	4 მ. 65 „
5 „	5 მ. 80 „
6 „	6 მ. 95 „
1 წლით	13 მ. 85 „

საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში გაგზავნით 1 თვე 1 მან. 50 კაპ.
უცხოეთში — — — — — გაგზავნით 1 თვე 2 მან. 50 კაპ.

გაზეთი გამოდის 4-დან 6 გვერდამდე.

გაზეთს ჰყავს კორესპონდენტები ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქებში და დაბებში. საკმაოთ ფართო ქსელი კორესპონდენტებისა მოეპოვება მას ჩვენს სოფლებში, მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

საკუთარი კორესპონდენტები: ბაქოში, ერევანში, კავკავში, მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში, რომში

ლიუციისათვის. რომ არც ერთი ქვეყანა არ უნდა უცდიდეს სხვას თავის ბრძოლაში—ეს ელემენტარული აზრია, რომლის გამეორება აუცილებელი და სასარგებლოა, რომ იდეა პარალელურ ინტერნაციონალურ მოქმედებისა არ შეიცვალოს ლონდონის ინტერნაციონალური უმოქმედობის იდეით. სხვებისთვის დაუცდელათ ჩვენ ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ნაციონალურ ნიადაგზე და ღრმად გვრწამს, რომ ჩვენი ინიციატივა სტიმულს მისცემს ბრძოლას სხვა ქვეყნებში. ეს რომ არ მომხდარიყო, უიმედო იქნებოდა ფიქრი იმაზე,—ამას მოწმობს ისტორიის გამოცდილებაც და თეორეტიული მოსაზრებებიც,—რომ, მაგალითად, რევოლიუციონური რუსეთი გაუძლებდა კონსერვატიულ ევროპას ან სოციალისტურ გერმანიას შეეძლო დარჩენილიყო განცალკევებული იყო კაპიტალისტურ მოფლიოში“.

როგორც ხედავთ, აქ ჩვენს წინაშეა იგივე თეორია სოციალიზმის ერთსა და იმავე დროს გამარჯვებისა ევროპის მთავარ სახელმწიფოებში, როგორც წესი, რომელიც უარყოფს ლენინის რევოლიუციონურ თეორიას სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ერთ ქვეყანაში.

რა თქმა უნდა, რომ სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის ძველი წესების აღდგენის ყოველგვარი შესაძლებლობის მოსასპობათ აუცილებელია რამოდენიმე ქვეყნის პროლეტარების გაერთიანებული ღონისძიებები. ლაპარაკი არ უნდა, რომ ევროპის პროლეტარიატის დახმარების გარეშე რუსეთის პროლეტარიატი ვერ გაუძლებდა საერთო თავდასხმას ისევე, როგორც რუსეთის რევოლიუციის დაუხმარებლად რევოლიუციონური მოძრაობა დასავლეთში ვერ განვითარდებოდა ისეთი ტემპით, როგორითაც ის ვითარდება რუსეთში პროლეტარული დიქტატურის დამყარების შემდეგ. ლაპარაკი არ უნდა, რომ ჩვენ გვესაჭიროება დახმარება. მაგრამ რაში მდგომარეობს დახმარება ჩვენი რევოლიუციისათვის დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატის მხრივ? ევროპის მუშების თანაგრძნობა ჩვენი რევოლიუციისადმი, ის, რომ ისინი მზად არიან ჩაშალონ იმპერიალისტების გეგმები ინტერვენციის შესახებ,—არის თუ არა ყოველივე ეს მხარის დაჭერა, სერიოზული დახმარება? უსათუოდ არის. ასეთი მხარის დაჭერის გარეშე, ასეთი დახმარების გარეშე არა მარტო ევროპის მუშების, არამედ აგრეთვე კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების მხრივ პროლეტარულ დიქტატურას რუსეთში ძალიან გაუჭირდებოდა. საკმაო იყო თუ არა დღემდე ეს თანაგრძნობა, ეს დახმარება, შეერთებული ჩვენი წითელი არმიის ძლიერებასთან და რუსეთის მუშების და გლეხების თავგანწირულებასთან, რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი გვერდით დაეცვათ სოციალისტური სამშობლო?

საკმაო იყო ყველაფერი ეს იმისათვის, რომ მოგვეგერებია იმპერიალისტების იერიშები და დაგვეპყრო აუცილებელი პირობები სერიოზულ საალმშენებლო მუშაობისათვის? დიახ, საკმაო იყო. იზრდება ეს თანაგრძნობა თუ მცირდება? უსათუოდ იზრდება. ამ რიგად, გვაქვს თუ არა ჩვენ ხელსაყრელი პირობები არა მარტო იმისათვის, რომ წინ წავსწიოთ სოციალისტური მეურნეობის მოწყობის საქმე, არამედ იმისათვისაც, რომ ჩვენი მხრით დახმარება გავუწიოთ როგორც დასავლეთ—ევროპის მუშებს, ისე აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს? დიახ, გვაქვს. ამას უფრო მჭევრმეტყველურად მოწმობს პროლეტარული დიქტატურის 7 წლის ისტორია რუსეთში. შეიძლება იმის უარყოფა, რომ შრომის ძლიერი აღორძინება დაიწყო ჩვენში? არ შეიძლება ამის უარყოფა.

რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ყველაფერ ამის შემდეგ ტროცკის განცხადებას, რომ რევოლიუციონური რუსეთი ვერ გაუძლებდა კონსერვატიულ ევროპასო?

ამას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა: პირველი, ტროცკი ვერ გრძნობს ჩვენი რევოლიუციის შინაგან ძლიერებას, მეორედ ტროცკია არ ესმის იმ მორალური დახმარების დაუფასებელი მნიშვნელობა, რომელსაც უწევენ ჩვენს რევოლიუციას დასავლეთის მუშები და აღმოსავლეთის გლეხები, მესამედ ტროცკი ვერ ამჩნევს იმ შინაგან უძლურებას, რომელიც ღრღნის ამჟამად იმპერიალიზმს.

გაიტაცა რა პროლეტარულ რევოლიუციის შესახებ ლენინის თეორიის კრიტიკამ, ტროცკიმ უცაბედათ წაიმტვრია ფეხი თავის ბროშიურაში „ზავის პროგრამა“, რომელიც გამოვიდა 1917 წელს და ხელახლა გამოიცა 1924 წელს.

მაგრამ შესაძლოა, დაძველდა ეს ბროშიურაც, რომელიც აღარ შეეფერება ტროცკის დღევანდელ შეხედულებებს? ავიღოთ ტროცკის უკანასკნელი შრომები, რომელიც დაწერილია პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ ერთ ქვეყანაში—რუსეთში. ავიღოთ მაგალითათ ტროცკის ბოლო სიტყვაობა „ზავის პროგრამის“ ახალ გამოცემაში, რომელიც დაწერილია 1922 წელს. აი რას სწერს ის ამ ბოლო სიტყვაობაში.

„ზავის პროგრამაში“ რამდენჯერმე განმეორებული მტკიცება, რომ პროლეტარულ რევოლიუციას არ შეუძლია გაიმარჯვოს ეროვნულ ჩარჩოებში, შეიძლება, ზოგიერთ მკითხველს ეჩვენოს გაბათილებული ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის 5 წლის გამოცდილებით. მაგრამ ასეთი დასკვნა უსაფუძვლო იქნებოდა. ის ფაქტი, რომ მუშური სახელმწიფო დარჩა მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ ერთ ქვეყანაში და ამასთანავე ჩამორჩენილში, მოწმობს პროლეტარიატის უდიდეს ძლიერებას, რომელსაც სხვა—უფრო მოწინავე და უფრო კულტურულ ქვეყნებში შეუძლია მოახდინოს სასწაულები. მაგრამ შევინარჩუნეთ რა პოლიტიკურად სახელმწიფო, ჩვენ მაინც ვერ შევუდექით სოციალისტურ საზოგადოების შენებას. მანამ, სანამ ევროპის სხვა სახელმწიფოებში ხელისუფლების სათავეში სდგას ბურჟუაზია, ჩვენ იძულებული ვართ ეკონომიურ იზოლიაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ვეძებოთ შეთანხმება კაპიტალისტურ მსოფლიოსთან. ამავე დროს შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს შეთანხმებანი უკეთეს შემთხვევაში გაგვიწევს დახმარებას მოვამუშოთ ესა თუ ის ეკონომიური ჭრილობები, გადავსდგათ ეს თუ ის ნაბიჯი წინ, მაგრამ სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღორძინება რუსეთში შესაძლებელი გახდება მხოლოდ ევროპის უმთავრეს ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ“.

ასე ლაპარაკობს ტროცკი და აშკარად სცოდავს სინამდვილის წინაშე, დაჟინებით სცდილობს რა გადაარჩინოს პერმანენტული რევოლიუცია საბოლოო დამარცხებას.

გამოდის, რომ რამდენიც არ უნდა იხტუნო, სოციალისტურ საზოგადოების შექმნაზე ჩვენ კი არ გადავედით, არამედ ვერც კი მიუახლოვდით მას. თურმე ვიღასაც ჰქონია იმედი კაპიტალისტურ მსოფლიოსთან შეთანხმებისა, მაგრამ ამ შეთანხმებისაგანაც, თურმე, არაფერი არ გამოდის, ვინაიდან რამდენიც გინდა იხტუნე, ხოლო სოციალისტურ მეურნეობის აღორძინებას ვერ მიიღებ, სანამ არ გაიმარჯვებს პროლეტარიატი ევროპის უმთავრეს ქვეყნებში.

და რადგან დასავლეთში ჯერ ეს გამარჯვება არ არის, რუსეთის რევოლიუციისათვის რჩება არჩევანი: ან ამოლპეს ძირშივე, ან გადაიქცეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთ.

ტყუილად კი არ ლაპარაკობს ტროცკი აგერ ორი წელიწადია ჩვენი პარტიის გარდაქმნის შესახებ.

ტყუილუბრალოთ კი არ უწინასწარმეტყველა შარშან ტროცკიმ დაღუპვა ჩვენ ქვეყანას.

როგორ შეუთანხმოთ ეს უცნაური თეორია ლენინის თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ?

როგორ შევათანხმოთ ეს უცნაური პერსპექტივა ლენინის პერსპექტივასთან, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოგვცემს საშუალებას საძირკველი ჩავუყაროთ სოციალისტურ ეკონომიკასო?

როგორ შევათანხმოთ ეს პერმანენტული უიმედობა მაგ ლენინის შემდეგ სიტყვებთან:

„სოციალიზმი უკვე ეხლა აღარ არის შორეულ მომავლის საკითხი ან რაიმე განყენებული სურათი ან რაიმე ხატი.

რაც შეეხება ხატებს, ჩვენ დავრჩით ძველ და ძალიან ცუდ აზრზე. ჩვენ სოციალიზმს ვანხორციელებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამაში უნდა გავერკვიოთ, აი რა შეადგენს დღევანდელი დღის ამოცანას, აი რა შეადგენს ეხლანდელი ეპოქის ამოცანას. ნება მომეცით გამოვსთქვა რწმენა, რომ რამდენადაც ძნელი არ უნდა იყოს ეს ამოცანა, რამდენადაც იგი ახალი არ უნდა იყოს წინანდელ ჩვენ ამოცანასთან შედარებით და რამდენი სიძნელენიც არ უნდა დაგვატეხოს მან თავზე, მაინც ჩვენ ერთად, არა ხვალ, არამედ რამდენიმე წლის შემდეგ, ყველანი ერთად გადავსჭრით ამ ამოცანას, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ასე რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის რუსეთიდან ჩვენ მივიღებთ სოციალისტურ რუსეთს“.

როგორ შევათანხმოთ ეს პერმანენტული უიმედობა, მაგალითად ლენინის შემდეგ სიტყვებთან:

„მართლაც, სახელმწიფოს ძალაუფლება, რომელიც ვრცელდება წარმოების ყველა დიდ საშუალებებზე, სახელმწიფო ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ გლეხებთან, ამ პროლეტალიატის ხელში ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა განა ეს ყველაფერი არ არის, რაც საჭიროა, რათა კოოპერაციიდან, მხოლოდ ერთ კოოპერაციიდან რომელსაც ჩვენ წინად ვნათლავდით, როგორც ვაჭრულს და რომელიც ერთგვარად შეგვიძლია მოვნათლოთ ასეთად ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებშიც -განა ყოველივე ეს არ წარმოადგენს პირობას იმისათვის რათა შევქმნათ სრული სოციალისტური საზოგადოება? ეს კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების შენება მაგრამ ეს ყველაფერი აუცილებელია და საკმარისია ამ საზოგადოების შესაქმნელად“.

ცხადია, რომ აქ არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე შეთანხმება. ტროცკის პერმანენტული რევოლიუცია არის უარყოფა ლენინის თეორიისა პროლეტარულ რევოლიუციის შესახებ და პირიქით, ლენინის თეორია პროლეტარული რევოლიუციის შესახებ არის პერმანენტული რევოლიუციის თეორიის უარყოფა.

ეჭვი ჩვენი რევოლიუციის ძალაში და უნარიანობაში, ეჭვი რუსეთის პროლეტარიატის ძალებში და უნარიანობაში—ასეთია პერმანენტული რევოლიუციის თეორიის სარჩული.

აქამდის ჩვეულებრივ აღვნიშნავდით პერმანენტული რევოლიუციის თეორიის ერთ მხარეს—ეჭვი გლეხთა მოძრაობის რევოლიუციონურ შესაძლებლობაში. ეხლა სამართლიანობისათვის ეს მხარე უნდა შეივსოს მეორეთი—ეჭვი რუსეთის პროლეტარიატის ძალებში და შესაძლებლობაში,

რით განსხვავდება ტროცკის თეორია მენშევიზმის ჩვეულებრივ თეორიისაგან, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში და ისიც ჩამორჩენილ ქვეყანაში შეუძლებელია, თუ წინასწარ არ გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლიუციამ დასავლეთ ევროპის მთავარ ქვეყნებში.

არსებითად არაფრით.

ეჭვი შეუძლებელია. ტროცკის თეორია პერმანენტულ რევოლიუციის შესახებ არის მენშევიზმის ერთი სახეთაგანი.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს პრესაში გავრცელდენ დახავსებული დიპლომატები, რომლებიც სცდილობენ გაასაღონ პერმანენტული რევოლიუცია ლენინიზმთან შეთანხმებით.

„რა თქმა უნდა,—ამბობენ ისინი, ეს თეორია უვარგისი აღმოჩნდა 1905 წელს. მაგრამ ტროცკის შეცდომა მდგომარეობა იმაში, რომ მან წინ გაუსწრო, როდესაც შეეცადა გამოეყენებია 1905 წლის პირობებში ის, რისი გამოყენებაც მაშინ არ შეიძლებოდა. მაგრამ შემდეგ, ამბობენ ისინი, 1917 წ. ოქტომბერში, როდესაც რევოლიუცია საკსებით მომწიფდა, ტროცკის თეორია სრულიად სწორი აღმოჩნდაო. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ უველაზე მთავარი დიპლომატი მათ შორის არის რადეკი. აბა ერთი მოუსმინოთ მას:

ომმა გათხარა უფსკრული გლეხობა (რომელიც ილტვოდა მიწის ხელში ჩაგდებისა და მშვიდობიანობისაკენ) და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს შორის. ომმა დააყენა გლეხობა მუშათა კლასის და მისი ავანგარდის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

შესაძლებელი გახდა არა მუშათა კლასის და გლეხობის დიქტატურა, არამედ მუშათა კლასის დიქტატურა, რომელიც ეყრდნობოდა გლეხობას. ის, რასაც როზა ლიუქსემბურგი და ლ. ტროცკი 1905 წელში აყენებდენ ლენინის წინააღმდეგ, ნამდვილათ ისტორიული განვითარების მეორე ეტაპი აღმოჩნდა.“

ეს არ არის მართალი.

მართალი არ არის ის, თითქოს ომის დროს „შესაძლებელი გახდა არა მუშათა კლასის და გლეხობის დიქტატურა არამედ მუშათა კლასის დიქტატურა, რომელიც ეყრდნობოდა გლეხობას“ ნამდვილათ 1917 წლის თებერვლის რევოლიუცია იყო პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის განხორციელება; ამასთანავე ეს დიქტატურა თავისებურათ დაკავშირებული იყო ბურჟუაზიის დიქტატურასთან.

სწორი არ არის ის, თითქოს პერმანენტული რევოლიუციის თეორია, რომელზედაც რადეკი არაფერს ამბობს, 1905 წელში წამოაყენეს როზა ლიუქსემბურგმა და ტროცკიმ. ნამდვილად კი ეს თეორია წამოყენებული იყო პარვუსისა და ტროცკის მიერ. ეხლა, 10 თვის შემდეგ, რადეკი ასწორებს შეცდომას და საჭიროდ სთვლის უარყოფით მოიხსენიოს პარვუსი პერმანენტული რევოლიუციისათვის (იხ. მისი წერილი პარვუსის შესახებ „პრავდა“-ში). მაგრამ მართლიანობა რადეკისაგან მოითხოვს, რომ სათანადოთ გაკიცხული იქნეს პარვუსის კომპანიონი—ტროცკიც. მართალი არ არის ის, თითქოს პერმანენტული რევოლიუციის თეორია, რომელიც უარჰყო 1905 წლის რევოლიუციამ, სწორი აღმოჩნდა ისტორიული განვითარების მეორე ეტაპზე, ე. ი. ოქტომბრის რევოლიუციის დროს. ოქტომბრის რევოლიუციის მსვლელობამ, მისმა განვითარებამ დაამტკიცა პერმანენტული რევოლიუციის თეორიის უბადრუკობა და მისი შეუფარდებლობა ლენინიზმის საფუძვლებთან.

ტკბილი სიტყვებით და დამპალი დიპლომატიით ვერ დაიფარება ის პირღია უფსკრული, რომელიც ერთმანეთისაგან აშორებს პერმანენტული რევოლიუციის თეორიას და ლენინიზმს.

ასეთია ტროცკის პერმანენტული რევოლიუციის თეორია ოქტომბრის რევოლიუციის თავისებურებათა თვალსაზრისით.

„რემედასს“-ი და მისი ამოცანები

(თეზისები მოხსენებისათვის)

1. თანამედროვე ხანა ხასიათდება კლასობრივ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავებით. მსოფლიო კაპიტალი მუშათა კლასის მდგომარეობის თანდათანობით გაუარესებით სცდილობს თავისი ბატონობის გახანგრძლივებას. სამუშაო დღის გადიდება, ხელფასის შემცირება, რევოლიუციონური პარტიების სასტიკი დევნა,—ასეთია ძირითადი საშუალებანი, რომლითაც ბურჟუაზია სცდილობს თავისი დაღუპვის საათის გადიდებას.

2. მთელ რიგ ქვეყნებში კლასიურმა ბრძოლამ სამოქალაქო ომის ხასიათი მიიღო და მიაღწია ფაშისტური მუშტის გამარჯვებას (იტალია, ბულგარეთი, ჰუნგრეთი, ინგლისი), ებერტის „დემოკრატიული რესპუბლიკის“ ქურქის ქვეშ გერმანეთში ფაქტიურად ფაშისტები ბატონობენ. პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი მათ მაგალითს მისდევენ.

კაპიტალი ყველგან შეტევაზე გადავიდა. პაციფიზმის ხანამ გაიარა. ბურჟუაზიამ გამოიყენა რა თავის საქმისათვის შეთანხმებლები, ფიქრობს, რომ აწი თვითონაც შესძლებს მსოფლიოს მართვას და მუშათა კლასის უზომო ექსპლოატაციას: ინგლისში დაეცა მაკდონალდის მენშევიკური მთავრობა და ხელისუფლებას სათავეში მოექცნენ კონსერვატორები; ახლო ხანში იგივე მოსალოდნელია საფრანგეთშიც; ამერიკაში ბატონობს კულიჯი — უღრეცი რეაქციონური ბურჟუაზიის წარმომადგენელი. მთელი ეგვიპტე ინგლისმა მორწყო მუშათა და გლეხების სისხლით.— იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ჯვაროსნული ომი დაიწყეს ნაციონალურ რევოლიუციონურ აღმოსავლეთის წინააღმდეგ. წარსულ კვირეებში სისხლის მორევში ჩაახრჩო ესტონეთის ბურჟუაზიამ თავის მუშათა კლასი, რომელიც წამოეგო მთავრობის პროვოკატორული პოლიტიკის ანკესზე და აუმხედრდა თავის ბურჟუაზიას.

3. წარსულ ხანებში რემედასის აღმასკომმა მიმართა ყოფილ მენშევიკურ მე-2-ე ინტერნაციონალს წინადადებით—გადაგვიცვალონ ჩვენი ამხანაგები, რომელნიც დაპატიმრებულნი არიან ბურჟუაზიულ ციხეებში, ჩვენ საპატიმროებში მყოფ თეთრგვარდიელებზე. მე-2-ე ინტერნაციონალიდან ჯერ პასუხი არ არის მიღებული.

მენშევიკური მე-2-ე ინტერნაციონალი სრულიად კანონიერად სთვლის ჩვენი საუკეთესო ამხანაგების, მსოფლიო რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლების ტანჯვა-წვალებას ბურჟუაზიულ ციხეებში.

მსოფლიო ომის დაწყებიდანვე მენშევიზმი გადაიქცა მსოფლიო რეაქციისა და ფაშიზმის საიმედო ყავარჯნად. და რაც დრო გადის, მით უფრო მეტად აშკარავდება მენშევიზმის კონტრ რევოლიუციონური შინაარსი.

მენშევიკების მიერ რევოლიუციონურ მუშებისა და კომუნისტების დევნა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა (საკმაოა მოვიგონოთ უკანასკნელი არჩევნები გერმანიის რეიხსტაგში, რომლის დროსაც პოლიცია მენშევიკების ერთგული დახმარებით მასიურად ატყვევებდა კომუნისტებს და რევოლიუციონურ მუშებს, არბევდა კომუნისტების მიერ გამართულ მიტინგებს და სხვა).

4. კაპიტალთან ბრძოლის პროცესში პროლეტარიატი დიდ მსხვერპლს იღებს. თავისი აპარატის—პრესისა, სასამართლოსი, ეკლესიისა, ჟანდარმერიის წყალობით ბურჟუაზია მუსრს ავლებს მუშათა კლასის ავანგარდს, სპობს მის ბელადებს—(კარლ ლიბკნეხტი, როზა ლიუქსემბურგი, იოგიხესი, ლევინე, კინგისენი, კრეუკსი და სხვა), და მოქმედების საშუალებასართმევს პროლეტარიატის საქმისთვის უფრო გაბედულს და მოწინავე მებრძოლთ. გერმანეთის ციხეებში ამ ჟამად 7 ათას პოლიტიკურ პატიმარზე მეტი იმყოფება, იტალიაში—5 ათასი, ბულგარეთში—4000, პოლონეთში—4 ათასი, ისპანეთში—3,000, ფინლანდიაში 1,200, ჰუნგრეთში—800, და სხვა. მთელი ევროპის ციხეებში დაახლოვებით 100 ათასამდე რევოლიუციონერი მუშები და გლეხები არიან დატყვევებულნი. ისინი იტანენ ციხის რეჟიმის მთელ საშინელებას—ცემას, წამებას, ყრუ საკნებში ჩამწყვდევას. ამას გარდა იმპერიალიზმის ფერადი მონების ათეული ათასები ინდოეთისა, აფრიკისა და სხვა ახალშენების ციხეებში ათამებენ დღეებს. მათი ოჯახების წევრთა რიცხვი, რომელნიც საშინელ გაჭირვებაში და უიმედობაში იმყოფებიან, ორასი ათასს აღემატება.

5 მსოფლიო კაპიტალთან ბრძოლაში საერთაშორისო პროლეტარიატმა გამოსჭედა თვითდაცვის და შეტევის მტკიცე იარაღი—საერთაშორისო მუშათა სოლიდარობა. ამ ჟამად საერთაშორისო მუშათა კლასი იღებს რა თავის თავზე ზრუნვას ბურჟუაზიის კლანჭებში მოხვედრილ თავის ამხანაგების შესახებ,—ამით ანხორციელებს მებრძოლი პროლეტარიატის ზურგის შექმნის ამოცანას რიგებიდან დროებით გამოსულ ამხანაგთა დახმარებით. პროლეტარიატი ამით თავის მომავალ გამარჯვებას უზრუნველჰყოფს.

6. ამ დახმარებამ თავისი ორგანიზაციული გამოსახულება ჰპოვა „რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების“ დაარსებაში (რემედასი). რემედასი 1922 წ. ქალ. მოსკოვის „ყოფ. პოლიკატორღელების“ და „ძველი ბოლშევიკების“ საზოგადოებათა ინიციატივით დაარსდა. კომინტერნის მეოთხე კონგრესმა ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა და მიიღო დადგენილება მთელი ქვეყნის კომპარტიების მიერ რემედასის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღების შესახებ. რ. კომპარტიის ცეკამაც განსაკუთრებული ცირკულიარით მიმართა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს, რათა მათ ამ ინიციატივისათვის ყოველგვარი ხელი შეეწყოთ.

7. რემედასი,—ეს საზოგადოებრივ კლასიური ორგანიზაცია არის, რომელშიაც წევრები ნებაყოფლობით შედიან, საბჭოთა რესპუბლიკაში რემედასის წევრად შეუძლია იყვეს ყოველი მშრომელი, რომელსაც 16 წელი შესრულებული აქვს სქესის განურჩევლად. მეტი—თუ მას მოსპობილი არ აქვს საარჩევნო პასიური და აქტიური უფლება და თუ ის იღებს მონაწილეობას რემედასის განყოფილებებისა და მისი ორგანოების მუშაობაში, ვისაც აღნიშნულ წლოვანებას არ მიუღწევია (პიონერები), მათ შეუძლიათ შეადგინონ რემედასის დამხმარე განსაკუთრებული ჯგუფები.—„რემედასის მეგობარი“-ს სახელწოდებით.

8. ს. ს. კ. რესპუბლიკებში რემედასის წევრად ამ ჟამად 4 მილიონამდე კაცი ირიცხება. რემედასის ამგვარი ზრდა მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენათ ახლო სდგას და გასაგებია მისი ლოზუნგები და იდეები იმ მშრომელთათვის, რომლებმაც თავის თავზე გადაიტანეს ცარიზმის და ბურჟუაზიული ხელისუფლების ყოველგვარი საშინელებანი. თავის ხანმოკლე არსებობის განმავლობაში რემედასმა 1,5 მილიონი მანეთი შეკრიბა, აქედან ბურჟუაზიულ ციხეებში ჩამწყვდეულ ამხანაგების დასახმარებლად გადაგზავნა 1.200.000 მანეთამდე). დანარჩენი ფული რემედასის სათადარიგო თანხებში გადაირიცხა, ეს ფული საჭიროა საჩქარო დახმარებისათვის, როდესაც თეთრი ტერორი და რეაქცია საშინელსა და განსაკუთრებულ სიძვინვარებას დაიწყებენ. რემედასის ცეკა ორგანიზაციულ ხარჯებს ჰფარავს თავის გამოცემებიდან მიღებულ შემოსავლიდან. კაპიტალის ტყვეებისათვის გაწეულ დასახმარებელ თანხებს რემედასი იღებს თავისუფალ შეწირულებიდან და მისი ორგანიზაციების საწევრო გადასახადებიდან.

9. ყველაზე ძლიერი რემედასის სექცია ს. ს. კ. რესპუბლიკაში იმყოფება, სადაც რემედასს 85 საგუბერნიო განყოფილება აქვს. საზღვარგარეთ რემედასს ჰყავს თავისი სექციები გერმანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, ისპანეთში, ლატვიაში, ლიტვაში, ბულგარეთში, ეგვიპტეში, მექსიკაში და სხვა. რემედასის სექციათა უმრავლესობა საზღვარგარეთ არალეგალური ან ნახევრად ლეგალურია, რაიც, რასაკვირველია, თავის დაღს ასვამს მათი მუშაობის მსვლელობას. მათ არ შეუძლიათ სავსებით დააკმაყოფილონ თავის საშუალებებიდან პატიმარნი. ამიტომ პატიმართა ან მათი ოჯახების დახმარების 90 პროც: ს. ს. კ. რესპუბლიკების მშრომელთ ხვდებათ.

10. რემედასის მუშაობა მარტო ქონებრივი დახმარებით არ განისაზღვრება. არა ნაკლებადაა საჭირო მორალური დახმარებაც. უნდა ვუჩვენოთ რევოლიუციისათვის მებრძოლ პატიმრებს, რომ ისინი მარტო არ არიან, დავიწყებას არ არიან მიცემული, რომ მიუხედავათ საზღვრების ბოძებისა და ციხის გალიებისა, მსოფლიო პროლეტარიატი და მისი ავანგარდი—ს. ს. კ. რესპუბლიკების პროლეტარიატი მათთვის ზრუნავს. ეს მორალური დახმარება გააღვიძებს და გააძლიერებს რწმენას, განამტკიცებს პატიმართა იმედს და დაეხმარება მათ, გაუადვილებს ციხის ცხოვრების ყოველგვარ შევიწროებათა და საშინელებათა გადატანას.

11. პატიმრებისათვის ზნეობრივი დახმარება გამოიხატება კაპიტალის პატიმრებზე შეფობის ძიებაში. პირველად ეს იდეა განხორციელებული იქნა ცხოვრებაში ს. ს. კ. რესპუბლიკაში, სადაც რემედასის 40 საგუბერნიო ორგანიზაციებზე მეტი დასავლეთის პატიმართა შეფებად ითვლებიან, მაგ. ტომსკი ითვლება რომის ციხის შეფად, ხარკოვი მიუნსტერისა, პერმი—ფორლდოსა (იტალია), პოლტავა—პლევნის (ბულგარეთი), ვიატკა—ნიედრ-შენენფელდის (ბავარია) და ბრესლავის (სილეზია), კოვნო (ლიტვა) მინსკი-ბელოსტოკისა (პოლონეთი). სიმფეროპოლი - კონსტანტინეპოლისა, კრასნოიარსკი-გამბურგისა, ჩელიაბინსკი-ლოძისა (პოლონეთი), თბილისი-ჩერნოგორიის და სხვა. რემედასის-საშეფო ორგანიზაციების წევრები აწარმოებენ რემედასის ცეკას საშუალებით შეფობის ქვეშ მყოფ ამხანაგებთან მიწერ-მოწერას, იღებენ მათგან საპასუხო წერილებს, უგზავნიან მათ საჩუქრებს და სხვა.

12. ამგვარი ზნეობრივი და ქონებრივი დახმარებით რემედასი მიზნად ისახავს პატიმრებს შეუნარჩუნოს სიცოცხლე მომავალ სარევოლიუციო ბრძოლისათვის. როდესაც დასავლეთში რევოლიუცია იფეთქებს, ამსდგარ პროლეტარიატის მიერ განთავისუფლებული პატიმრები, როგორც დიდი რევოლიუციონური გამოცდილების მქონენი, შესძლებენ მებრძოლი პროლეტარიატის ძალთა გამაგრებას და მით დააჩქარებენ დასავლეთში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებას. აქედან ცხადია, რომ რემედასი საქველმოქმედო დაწესებულება კი არ არის, არამედ პროლეტარიატის კლასობრივი სარევოლიუციო ორგანიზაციაა.

13. პატიმართათვის დახმარებასთან ერთად რემედასი არ ივიწყებს აგრეთვე იმ ამხანაგებს, რომლებიც ბურჟუაზიული მთავრობის მიერ დევნილნი, საშინელი შევიწროებისა, სიკვდილის მუქარის ქვეშ მყოფნი, იძულებულნი არიან თავი შეაფარონ საბჭოთა რუსეთს, რომელიც არის დასავლეთის ყველა რევოლიუციონერისათვის ნავთ-საყუდელი. რემედასის ცეკასთან გამოყოფილია ცალკე სპეციალური კომიტეტი პოლიტიკურ ემიგრანტების საქმეების შესახებ, ეს კომიტეტი დახმარებას უწევს და ადგილებზე განაწესებს რუსეთში იძულებით გადმოსახლებულ პოლიტიკურ ემიგრანტებს.

14. ს. ს. კ. რესპუბლიკებში არსებული რემედასი, როგორც საზოგადოებრივი კლასიური ორგანიზაცია ხელს უწყობს კავშირის განმტკიცებას რუსეთისა და საზღვარგარეთელ მშრომელთა შორის. ესევე ორგანიზაცია სკოლად ხდება, რომლის წყალობითაც უპარტიო მშრომელთა დიდი მასსა რემედასის ადგილობრივ ორგანიზაციებში შეკავშირებული, შედის საერთაშორისო რევოლიუციონერო მოძრაობის საერთო ოჯახში, თავიანთ შეფობის ქვეშ მყოფ პატიმრებთან კავშირის მოხებით რუსეთის მშრომელებს ადვილად შეუძლიანთ დასავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობას თვალყური ადევნონ. ამაში მდგომარეობს რუსეთის რემედასის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

15 რემედასის მახლობელ ამოცანათ როგორც საქართველოში, ისე ს. ს. რ. კ-ში, ითვლება,—თეთრი ტერორისა და საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის შემსწავლელ საორგანიზაციო წრეების შექმნით,—რუსეთის რემედასის უჯრედების მუშაობის გაღრმავება, რემედასის კოლექტივების მოწყობა, ჩაბმა რემედასის რიგებში გლეხობისა და ახალგაზრდობის (ქალაქის მუშებზე, მუშა-ქალებზე და სხვა მშრომელებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია) და სოფლის ინტელიგენციის (მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები და სხვა), შემოსავლის გაძლიერება, რემედასის უჯრედების დაარსება იქ, სადაც ჯერ ასეთები არ არსებობს, ადგილობრივი ორგანიზაციების ცენტრთან დაკავშირება, საგიტაციო-საპროპაგანდო და საგამომცემლო მუშაობის გაძლიერება და სხვა.

ქრონიკა

„ფუხარა“-ს 1000 ნომერი

დღეს გამოდის საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარისტანის კომიტეტის ორგანოს გაზ. „ფუხარა“-ს 1000 ნომერი.

— **მუშათა ბინების** საამშენებლო კოოპერაციასთან არსებული სატეხნიკო თათბირი შეუდგა იმ უბნების დაგეგმვას, სადაც განზრახულია მუშათა ბინების ფართო აღმშენებლობა.

— **აღმშენებლობისათვის.** მუშათა ბინების საამშენებლო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა კომუნალურ ბანკის წინაშე—ცენტროსტროის ყოველკვირეულათ მისცეს სესხათ 5 ათასი მან. ბინების შეუფერხებლათ აღმშენებლობისათვის.

— **საამშენებლო კოოპერაციის** დამხმარე კომიტეტმა გადასწყვიტა პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად აღრიცხოს მთელ რესპუბლიკაში დანგრეული და გამოუყენებელი ბინები.

— **უმაღ. ეკ. საბჭოს** დადგენილებით „საქართველოს ტყეს“ ამიერიდან ეწოდება „საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი“.

— **საქ. სატყეო მრეწველობის** ტრესტის მმართველად დაინიშნა ამხ. იაკო კიკნაძე.

— **თამბაქოს დამზადება.** ნოემბრის განმავლობაში უ. სამ. საბჭოს პირველმა თამბაქოს ქარხანამ დაამზადა 3630 გირ. თამბაქო და 2,506 ათასი ცალი პაპიროსი. ოქტომბერთან შედარებით ნაყოფიერება გაზრდილა 15 პროც.

— **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში** დღეს გაიმართება წარსულ კვირას ლევან ლეონიძის მიერ წაკითხულ მოხსენების შესახებ დებატები.

— **წარმოკავშირი** ამჟამად აერთიანებს კოოპერატივების საშუალებით 25 ათას წევრს.

— **ჯაგარის დამზადება.** რადგანაც უკანასკნელ ხანებში ძლიერ გაიზარდა მოთხოვნილება ჯაგარზე, ნედლ მასალათა სამმართველომ დაადგინა ჯაგარის დამზადების საქმე მიანდოს მარტო სახელმწიფო ვაჭრობას.

— **მეთაურთა სკოლაში.** ქართულ მეთაურთა სკოლის დრამწრეები ემზადებიან შეერთებულის ძალით ჩაატარონ თავიანთ ნაწილში რემედასის კვირეული.

— **შემოსავალი ფუნიკულიორიდან.** 1924 წლის განმავლობაში ტფილისის ფუნიკულიორიდან ქალაქს შემოსვლია წმინდა მოგებით 15.200 მანეთი.

— **შრომის სკოლებში.** ტფ. ქალაქის აღმასკომის შრომის სკოლებში მუშების შვილები შეადგენენ 90 პროც.

— **კბილის საექიმოები სოფლად.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა გახსნას დამატებით კბილის საექიმო კაბინეტები იმ ღარიბ რაიონებში, სადაც ასეთები არ არსებობენ.

— **პოლიტ-განათლების** მთავარ სამმართველოს ცნობით ტფილისის მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა წარმატებით სწარმოებს.

— **სატყეო მასალის დამზადება.** კომზაჰესმა დაამზადა 5000 კვადრატიული ვერშოკი სატყეო მასალა.

— **სასწავლო ნივთებით დახმარება.** ქ. განათლების განყოფილებამ ღარიბ მოწაფეთათვის უფასო სასწავლო ნივთების დასარიგებლათ გადასდო 4000 მან.

— **ავჭალის წყალსადენისათვის** ახალი შენობის ასაგებათ ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა გადასდოს 3,300 მან.

— **ხიდის აგება.** უმ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა მდ. ალაზანზე ააგოს ხიდი ს. ველისციხის და ყვარელის შესაერთებლათ.

— **გლეხკომებისათვის.** უმ. ეკ. საბჭომ დაადგინა მისცეს სესხი გლეხკომებს ისეთი წამოწყებისათვის, რომლებიც შეთანხმებული იქნებიან სახ. გეგმათა სამმართველოსთან.

— **ტფ. დამზღვევ სალარომ** ნოემბრის განმავლობაში გასცა 8,452 მ. რძის ფულად.

— **საბინაო აღმშენებლობის** დამხმარე კომიტეტმა ყველა თავის თანხებს თავი მოუყარა კომუნალურ ბანკში.

— **დასამარხი ფული.** ნოემბრის განმავლობაში ტფ. დამზღვევ კასამ გასცა 1,249 მ. დასამარხ ფულათ.

— **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში.** სამშაბათს, 23 დეკემბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში (კალოუბნის ქ. № 1) საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე წაკითხული იქნება მოხსენებები: 1. ვარ. თოფურიას მიერ: „ქართლური ფონეტიკა და მორფოლოგია“ და 2. პროფ. გ. ახვლედიანის მიერ: „ი. იალღუზიძის თარგმანთა მნიშვნელობა ოსური ენის ისტორიისათვის“. შესვლა თავისუფალია.

შემთხვევები:

— **ცეცხლი.** 19 დეკ. ლენინის ქ. № 3, წითელ სასადილოს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— **შეპყრობა.** 17 დეკ. დააპატიმრეს მეეზოვე დავიდოვი, რომელსაც ბრალდება ვერცხლის საათის მოპარვა.

— **გვამის პოვნა.** 19 დეკ. სოფ. სოღანლუღში მტკვრის პირას აღმოაჩინეს უცნობ მამაკაცის გვამი.

— **12 წლის ქალის გაუპატიურება.** 19 დეკ. შეიპყრეს მხატვარი პანოვი, (მცხოვრები ტერგუკასოვის ქ. № 4), რომელმაც ოთახში შეიტყუა 12 წლის ქალი და გააუპატიურა.

— **შალვარის ქურდი.** 17 დეკ. შეიპყრეს მეეზოვე გარუშკოვი, რომელსაც ბრალდება ზაქარია ქურიძის ბინიდან (რუსთ. პრ. № 17) შალვარის მოპარვა.

— **ქურდობა.** 12 დეკ. იორის შესახვევი № 17, გაქურდეს ბაბალე არუბანოვას ბინა, წაიღეს 54 მ. ნივთები.

— ამავე დღეს ვერის პარკში მოქ. პეტრე პამტუროვის ჯიბიდან მოპარეს 41 მან. ნივთები.

— ამავე დღეს კირკის შეს. ხ. № 4, პეტრე გლუჩრინს მოპარეს მაზარა.

ორშაბათს ა. წ. 22 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე

წითელ თეატრში

(ყოფილი ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში)

დანიშნულია თბილისის საბჭოს

მორიგი სხდომა

დღის წესრიგი: 1) ადმინისტრატიულ განყოფილების ანგარიში.
2) მიმდინარე საკითხები.

სხდომის დამთავრების შემდეგ წითელ თეატრში საბჭოს წევრებისათვის პროლეტკულტის მიერ გაიმართება წარმოდგენა.

დასწრება საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

ნის. 404. 2—4

პრეზიდიუმი.

საბჭოთა სასამართლო

კაცის მოკვლის განზრახვისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების ქორიძის და თევზაძის, მდივანი პაპიანის მონაწილეობით, გაარჩია საქმე ისლამ ისმაილ ოღლის (მწყემსი), რომელსაც ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის 13 და 147 მუხლებში გათვალისწინებული, დანაშაული.

საბრალმდებლო ოქმის მიხედვით საქმის შინაარსი ასეთია: აღნიშნული ისლამ ისმაილ ოღლი (მწყემსი) უნებართვოდ საქონელს აძოვებდა მახმუდ ალი ოღლის სათიბში. წელს სექტემბრის შუა რიცხვებში მახმუდ ალი ოღლი წავიდა თავისი სათიბის სანახავად. იქ მან ნახა, რომ ისლამ ისმაილ ოღლი საქონელს აძოვებდა მის სათიბში, მახმუდ ოღლს მისთვის არაფერი უთქვამს და დაუწყია საქონლის გამორეკა სათიბიდან. ამაზე ბრაზი მოსვლია ისლამ ისმაილ ოღლს, აუღია „ვინტოვკა“ და უსროლია მახმუდ ოღლისათვის და გაქცეულა. შემდეგ ის შეპყრობილ იქნა.

სასამართლოში დაკითხვის დროს ბრალდებულმა თავი დამნაშავეთ არ სცნო, მაგრამ მოწმეების დაკითხვიდან ბრალდება დამტკიცდა.

სასამართლომ მიიღო მხედველობაში ბრალდებულის გაუნათლებლობა, მისი სიღარიბე, აგრეთვე ის, მისთვის პირველია ეს დანაშაული და დაადგინა გავრცელდეს მასზე 26 მუხლი.

ბრალდებულს სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეცა სამი წლით, სასტიკი იზოლიაციით, ხოლო 28 მუხლის ძალით სასჯელის ვადა შეუმცირდა 1 წ. და 6 თვემდე, სასჯელის ვადა ეთვლება დაპატიმრების დღიდან.

წითელ ჯვარში

სრულიად საქ. წითელი ჯვრების ყრილობა.

საქარ. წითელი ჯვრის ცეკას პლენუმის დადგენილებით, სრულიად საქართველოს წითელი ჯვრების ყრილობა მოწვეულია 1925 წ. 8 თებერვალს, ხოლო წითელი ჯვრის ტრადიციული სამდღიური მოწყობილი იქნება 26, 27 და 28 იანვარს.

ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

წითელი ჯვრის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის მიხედვით საექიმო პუნქტებს და ექსპედიციებს უნდა მოხმარდეს 200.000 მანეთი.

მალარიით სნეულთა რიცხვი სამაზრო საექიმო პუნქტში.

წითელი ჯვრის სტატისტიკურმა განყოფილებამ დაამუშავა მასალა, რომლის მიხედვით მაზრების საექიმო პუნქტებში ნახევარი წლის განმავლობაში მარტო მალარიით სნეულთა (პირველად მოსულების) რიცხვი უდრის 22,666 კაცს.

საკუთარი ტრანსპორტის შესაქმნელად.

საკუთარი საექიმო ტრანსპორტის შექმნის მიზნით, წითელმა ჯვარმა შუამდგომლობა აღძრა სამხედრო უწყების წინაშე, რათა მას უსასყიდლოდ დაეთმოს 60 ორთვალა.

ჭაობების ამოსაშრობად.

ალაზნის ველზე მომქმედი საექიმო ექსპედიცია აწარმოებს ადგილობრივ ჭაობების ამოშრობის კამპანიას.

ხელოვნება

— **ქართული დრამა.** ოთხშაბათს, 24 დეკემბერს ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ სახელმწიფო აკადემიურ ოპერის თეატრში დადგმულ იქნება ალ. შანშიაშვილის პიესა „სპარტაკ“, დრამა 5 მოქმედებათ. პიესას სდგამენ რეჟისორები ალ. წუწუნავა და კ. ანდრონიკაშვილი. საგანგებო დეკორაციები დახატულია მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავის მიერ. მუსიკალურ ნაწილს განაგებს კონსტ. ფოცხვერაშვილი ბალეტს ხელმძღვანელობს ს. სერგეევი. მონაწილეობს მთელი დასი და ყველა თანამშრომელნი.

— **უნივერსიტეტის მუზეუმში.** ჭიათურის მახლობლათ მდებარე „მაცხოვრის“ მონასტრიდან გადმოტანილია თბილისის უნივერსიტეტის მუზეუმში (ყოფ. საეკლესიო მუზეუმი) ყველა ძვირფასი ხატები, რომელთაც განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვთ.

— **„თეატრი და ცხოვრება“-ს** იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“— მორიგი 19 (22) ნომერი.

— **მხატვართა გამოფენის დახურვა.** დღეს, 21 დეკემბერს, უკანასკნელი დღეა გამოფენის. ორშაბათს (22 დეკემბერს) გამოფენა იხურება და გადადის მუშათა რაიონ ი.

— **სახელმწიფო ოპერაში** დღეს წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი“.

— **დრამა.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ცხვრის წყარო“.

— **ცირკი.** ამ დღეებში ცირკში დაიწყება დუროვის გასტროლები.

— **ბორისოვის ბენეფისი.** დღეს თეატრ „ტარდში“ გაიმართება ბორის ბორისოვის ბენეფისი, საკონცერტო განყოფილებით.

დღეს კინოებში:

— არფასტო—„გრაფ მონტე კრისტო“ 1 და 2 სერია.
— აპოლო—„ქალი გზა-ჯვარედინზე“.
— სოლეი—„სიცოცხლე ეძახის“.
— პალას—„ჩემი ბიჭი“.
— თვითმფრინავი—„თომა ვილსონის სანძლო“.

თვალის გადავლება ჭიათურაზე

ალბათ ჩემსავით ბევრს არ ენახება ნახული ჭიათურა.

მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა.

ბევრი ჩვენგანი დიდ დანაკლისათ თვლის, თუ არ უნახავს ბერლინები და ლონდონები, მაგრამ ჩვენი ქვეყნის გაუცნობლობა კი თითქოს ოდნავაც არ უღრღნის გულს.

ჭიათურა ჩვენი ქვეყნის წარმოებისა და სიმდიდრის თვალსაზრისით სწორეთ სატახტო ქალაქს წარმოადგენს.

ყურის მოსათხვეზე ასეთი იშვიათი კუთხე მოგვეპოვებოდეს და თავის ქვეყნის გაცნობით დაინტერესებულ კაცს კი ჯერაც არ ენახოს იგი?

მაგრამ ასეთ ჩამორჩენილ ხალხს გარდა არიან ბევრი, ვისაც მრავალჯერ უნახავს ჭიათურა, ან მუდმივათ ცხოვრობს იქ. მათ შორის ბევრი მწერალი და საზოგადო მოღვაწეც [illegible], მაგრამ რა გამოვიდა?

ერთხელაც არ შემხვედრია სადმე ჭიათურის აღწერილობა, რომ ადამიანს მცირედი წარმოდგენა მაინც მისცეს ამ განსაკუთრებულ ადგილზე.

მოსვლისთანავე გატყობინებთ ჭიათურის პირველ ამბავს მდინარე ყვირილაზე:

[illegible] გალანძული ოფლის ნაკადი [illegible] ხმაურით. მისი ბროლის ფერი [illegible] ეტყობა ჭიათურაში დამთავრდება. მას შემდეგ კი ჭიათურის სისხლით და შავ სიმდიდრით [illegible] მოდის და მოარღვევს [illegible] მთა-ბარს ახლათ დამქცეულ [illegible].

[illegible] რადიოსავით თქვენი ფიქრი უკვე აჰყვა ამ შავ ზოლს ზევით წარმოდგენით ეხმაურებით ჭიათურის არე მარეს.

ყვირილის დანახვაზე კაცი საგანგებოთ ათვალ-ჩაათვალიერებს თავის [illegible]—თეთრი ხომ არაფერი მაცვია [illegible] გზას.

შორაპნიდან ჭიათურისაკენ მიდის რკინის გზის ვიწრო ლიანდაგი.

[illegible] ნობს გაჭირვებით უღღეური [illegible] მავალი. მისდევენ უკან [illegible] დაგვალული რონოდე-[illegible]

რკინის გზა თითქმის სულ ხევ-ხევ [illegible] ყვირილის აყოლებით. მარჯვნივ და მარცხნივ გვეხატება [illegible] მთიან ბუნების [illegible] სიმაღლეზე. მაგრამ ეს [illegible] ბი აღარ ატარებენ ველურ და მიუდგომელ სახეს. მუყაითი იმერელი თითქმის ყველგან მისწვდომია მის მაღალ კალთებს. და თუ ვენახს გაშენება ვერ მოუხერხებია, სიმინდი მაინც დაუთესია.

ტყეები და ჭალებიც კიდევ ბლომათ მოიპოვება. ამ მხრივ ბევრათ უფრო მომხიბლავია იგი გაშიშვლებულ ქართლის ველებზე.

წვიმის დროს ეტყობა ნიაღვრები დიდი იცის და ხშირათ თვით რკინის გზაზეც მიაქვს სახიფათო იერიშები.

ყვირილაც ეტყობა ძალიან დაუგდევი მდინარეა. თუ მოიგიჟიანა თავი მაშინ უჩვენებს სულ ყველას, რომ მის შებორკვას ძვირათ დაუსვამს.

მისი თავხედობის ნიმუშებს წარმოადგენენ ჭიათურის შუაგულში დანგრეული ხიდი, ყვირილაში თავით ბოლომდის აყრილი რკინის უდიდესი ხიდი. გზა და გზა გადალობილ დამბებს კი ბევრგან მორღვევიათ წელი და ელიან უკანასკნელ იერიშს, რომ აიყარონ ერთიანათ და გაჰყვნენ ყვირილას ყვირილს დაქვეითებულ თარეშში.

პატარა სადგურები შინაურულ ხასიათს ატარებენ. იმერლის ქალები და ბავშვები ბლომათა ხვდებიან მატარებელს და გამოაქვთ სხვადასხვა ხილეულობა გასასყიდათ. მუშტარი უფრო ცოტაა გამყიდველზე და შემწვარი გოგრის ნაჭრები რჩებათ ისევ გიდელებში გულდაწყვეტილ გოგონებს.

სამი საათის ნება-ნება ჩანჩალის შემდეგ უკვე შევსრიალდით ჭიათურაში.

ხალვათი სადგური როგორღაც ესიამოვნა თვალს.

სადგურის წინა მოედანზე ყვირილის პირამდის დაყენებულია გრძელ-გრძელი ზვინები შავი ქვისა.

— მაშ ეს არის საქართველოს სიმდიდრე და სიამაყე?

მაგრამ ამ ზვინების გარშემო სრულიადაც არ არის ის გაცხოველებული მუშაობა და ფუსფუსი, რომელსაც ელის ადამიანი წინასწარათ.

რაღაც ხუთი-ექვსი ვაგონი იტვირთება მხოლოდ.

ეს კი დიდ ბარაქას ვერ დასდებს ჩვენი ქვეყნის წარმოებას.

მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი მდგომარეობა. ალბათ ჩქარა გამოკეთდება აქაურობა.

თვით ქალაქის მდებარეობა ძალიან სულშეხუთულია. რაც ვაკე ადგილია, სულ რკინის გზას უჭირავს. საცხოვრებელი სახლები კი სულ მთებზე და კლდეებზეა წამოჭიმული. მხოლოთ ერთი ბაზრის ქუჩა მიდის ვაკეზე—ყვირილის გასწვრივ.

შორიდან თვალის მოვლებით ქალაქი თითქოს ლამაზათაც გეჩვენებათ თავის ფერად-ფერადი სახლებით, მაგრამ როცა შეუდგებით მის კუჩაბანდებსა და აღმართებს, იქ საარბიელოს დიდს ვერაფერს აღმოაჩენთ.

არის კი ერთი კოპწია კუთხე სადგურის პირდაპირ, ყვირილის გაღმა. იქ კოხტა-კოხტა სახლებს ირგვლივ შემომწკრივებია ზომ-ზომა ჩამწკრივებული ვენახები.

ზაფხულში უეჭველად თვალის სახიბლავი კუთხე იქნება ეს, თუ შავი ქვის მტვერსა და კორიანტელს იქაც არ მიაქვს თავისი გამურული იერიშები.

მაგრამ ჭიათურის დასალევი წყალი კი ყველგან არის სანატრელი. მე მგონი ეს ერთად ერთი ღირსებაა, რომელიც ასულდგმულებს ყველა იქაურ მცხოვრებლებს, განსაკუთრებით კი ზაფხულში.

უწინ სოფლის შესახებ იტყოდენ ხოლმე: ესა და ეს—სწორეთ ნამდვილი სოფელი არის: იქ მღვდელიც არის და დიაკვანიცაო.

ასევე ითქმის ჭიათურაზეც: ის ნამდვილი ქალაქია: იქ თეატრიც არის და კინემატოგრაფიც.

მიუხედავად ამისა,—საცხოვრებლად მაინც მოსაწყენი იქნება ის.

მაღაროები

ბოლოს ჭიათურა, როგორც ქალაქი, ვისთვის რა გასაკვირია!

აქ სანახავი მხოლოდ მაღაროებია და შავი ქვის სარეცხი ქარხნები.

საუკეთესო ქარხნების ნიმუშს წარმოადგენს ეგრედწოდებული პაპავასი ანუ გერმანელების ქარხანა.

იგი მდებარეობს იქავე ჭიათურის თავზე, ყვირილის აყოლებით. სამოთხ სართულიანი ქვის შენობა გადმომდგარა პატარა ხევის თავზე. მაღაროებს მდებარეობენ მაღლა მთაზე. იქიდან წყალს ჩამოაქვს არხით პირდაპირ ქარხანაში. შემდეგ გადადის საცერიდან საცერში, იწმინდება ირეცხება, და ბოლოს იყრება ქვეშიდან მიმდგარ პატარა რონოდებში. აქედან რონოდები მიდიან გვირაბით და ნახშირი იყრება პირდაპირ რკინის გზის ბაქანზე.

ეს აღსანიშნავია იმიტომ, რომ ყველა სხვა ქარხნები დაშორებული არიან რკინის გზას. იქიდან ქვანახშირს ეზიდებიან ურმებით, რაც შრომასაც მეტს მოითხოვს, დროსაც, ხარჯსაც და თანაც გზაში დიდძალი ნახშირი იბნევა.

ამ მხრივ ეს ერთად ერთი ქარხანაა საუკეთესოდ მოწყობილი.

რაც შეეხება თვით მუშაობას, რომ კუცქერდი იქაურობას, სულ ერთი აზრი მიტრიალებდა: ყველა ეს შავათ გამურული მუშები სულ წითელ დაფაზედ არიან აღსანიშნავი მეთქი.

ქარხანაში საერთოდ ცივა. ქარი „უპრაგონოთ“ შედის და გამოდის ყოველი კარებიდან. ყველა ისეა გალუნგული თავიდან ფეხებამდის და ტანისამოსიან სახიანათ, რომ ყოველთვის იმას ფიქრობ: როგორ წვება ეს ხალხი ლოგინში? როდის ახერხებს გაბანა-გასუფთავებას? ან იცნობენ თუ არა ეს ხალხი თავიანთ ბუნებრივ სახეს? ყველას აუფარებია შრომის შავი ნიღაბი და ვერც ჩამოიხსნიან, რადგან ეს არის „პური მათი არსებისა“.

ამბობენ, ჭიათურაში მუშები ბევრ ფულს იღებენო. ეს სულ გაზვიადებული ამბავია. მაგალითად. ხელოსნები იღებენ 7—8 თუმანს—თვეში. უბრალო მუშები კიდევ ნაკლებს. აქ მიუმატეთ ჩვეულებრივი სიძვირე ცხოვრებისა და რაღა ბარაქა დარჩება თვის ბოლოს ამ პირის ოფლის მომხდელ ხალხს?

მეინტერესება თვით მაღაროების მუშაობა. მაღაროები მდებარეობენ ჭიათურის გარშემო მთების ზედა ნაწილებში.

მივდივართ ხევის პირათ მაღლა მიმავალ გზაზე.

ცოტა ქარი ჰქრის. ეს უკვე ბევრს ნიშნავს ჭიათურაში.

შავი კორიანტელით ისე გამურავს ხელათ კაცს, რომ სარკეში ჩახედვისა შეეშინდება.

გზაზე მოდიან ურმების შეუწყვეტელი ქარავნები. მოთრეკიალობენ იმერული ლაჩრები. ზედ ძევან ურმის ზომის გრძელი გოდრები, რომლებიც პირთამდის სავსეა შავი ქვით. თითოში ჩადის 40—50 ფუთი. ხანდახან შეხვდებით ზემო-ქართლელ ურმებს კამეჩებით. ისინი უფრო ბარაქიანათ არიან დადებული. თითოს მოაქვს 90—100 ფუთი.— [illegible] იღებენ 3—4 კაპეიკს ფუთზე. დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიშორედან მოაქვთ. დღეში მოასწრობენ ორს ან სამ გზას. საერთოდ დღეში თითო ურემი აიღებს ორდა ათშაურიდან სამ მანეთამდე. მაგრამ რომ უცქიროთ ამ საქონლისა და მეურმეების ტანჯვის შესადარ შრომას—მათზე თუმანი და ორი თუმანიც ალალია.

ისე არიან ყველა მეურმეები საგანგებოთ დამურული, რომ კაცი ღვიძლ ძმას ვერ იცნობს გზაზე. აფრიკელ ზანგებს ყველა თავის მკვიდრ ნათესავებათ მოეჩვენება.

იქაური გზები ხომ სახსენებელიც არ არის. ყველაფერი პირველ ყოფილურათ არის: მინგრეული. შოსეები არ არსებობს. პირდაპირ ოღრო-ჩოღრო კლდეებზეა გზები გაყვანილი. ეს თურმე მარტო დაუდევრობის ბრალი არ არის. როგორც ამბობენ, აქ ყოვლად შეუძლებელი ყოფილა შოსეების გაკეთება, რადგან იქაურ მოგიჟიანებელ ნიაღვრებს თურმე ვერაკითარი შოსე ვერ უმაგრდება.

აგერ ხევის პირათ პირველყოფილურათ რეცხავენ ქვას: ორი-სამი ადლის სიგრძე ღარებში ჩამოდის წყალი. შიგ ყრიან ქვას, ღარის სიგანის ზომა ნიჩბებით ურევენ ქვას. რაც მიწა და უმსგავსო რამეა—წყალს მიაქვს. ქვა კი რადგან ძალიან მძიმეა, ძირზე რჩება და შემდეგ ნიჩბებით ამოყრიან ზევით.

ეს არის ყველაზე სადა საშუალება ქვის გარეცხვისა.

გარეცხილი ქვის 50 პროცენტი უკვე ვარგის მადანს წარმოადგენს.

მივდევთ ზევით. ურემი ურემს ძლივს უქცევს. ქარი თავისას არ იშლის.

უეცრივ თვალი მოვკარით—მაღლა ზეცაში მისრიალებს რაღაცა დიდი ქარივით. თურმე რა გამოდგა: იქავე ხევში პანასევის ქარხანაა. ზევითა მაღაროებიდან—ძირს ქარხანამდის გაბმულია რკინის წყეილი თოკი. ორთავე თოკზე ჰკიდია პატარა რონოდები. ერთი მაღლა იმყოფება, მეორე—დაბლა. როცა ზევითა რონოდას აავსებენ, გამოუშვებენ ძირს და ის თავის სიმძიმით მიაქანებს ზევით უკვე დაცარიელებულ რონოდას. ამ თოკების სიმაღლე ზევიდან ნახევარ ვერსი მაინც იქნება. სიგრძეც მაგდენივე. და მართლაც საუცხოო სანახაობაა ჰაერში ასე მოსრიალე რონოდები. ეს სულ უბრალო მოწყობილობაა, მაგრამ მაინც საუცხოო ნიმუშია ტეხნიკური მოწყობილობისა.

როგორც იქნა ავედით ზევით, მაღაროების დონეზე. ყველა მაღაროები თითქმის ერთ ზოლზე არიან. მაღალ-დაბალი არც ერთვან არ არის.

მრავალი მაღაროები უკვე ჩაქოლილია ერთიანად და აღარავითარი მუშაობა არ სწარმოებს იქ. ბევრი კი შეჩერებულია დროებით.

ამ ჟამათ მომუშავე კი თითოოროოლა ძლივს ვნახევით.

ერთგან მოვინდომე ბოლომდის შესვლა. გავყე უკან ცხენსა და კაცს. ვიარეთ კარგა მანძილზე, მაგრამ შემდეგ დაიწყო დიდი ტალახი და რადგან სრულიადაც არ მქონდა სურვილი ჩემი ფეხსაცმელები აქ დამეტოვა, ამიტომ უკანვე გამოვბრუნდი.

საერთოდ მადნის გამოღება უკვე გაუმჯობესებული წესით სწარმოებს: ჯერ შევლენ ღრმათ შუაგულ მთაში. გვირაბს ამაგრებენ ზევიდან და კედლებიდან აკაკიის სადი ბოძებით. შემდეგ ბოლოში რამდენიმე ტოტებათ დაჰყოფენ გვირაბს. თან უკან მისდევენ და თან გამოაქვთ მთელი მადანი. რომელ ადგილსაც დააცარიელებენ, შემდეგ აცლიან სიმაგრეებს და გვირაბი ინგრევა უკან. როცა ამ გვარად კარში გამოაღწევენ, მთელი ის არე-მარე უკვე დაცარიელებულია მადნისაგან.

თუ ცა მადნების მუშაობა ძალიან სუსტად სწარმოებს, მაგრამ იმოდენა მარაგი მოიპოვება უკვე გარეთ გამოტანილი შავი ქვისა, რომ იმის გასაღებასაც ჯერ კაი დრო უნდა.

ეტყობა, უკვე რამდენიმე წლის დაგროვილი დოვლათია, რადგან ზედ გზებია გაყვანილი. ეკლები და მაყვლის ჩირგვებიც ბლომათ ამოსულა. თითქოს არა გჯერა, რომ ფეხით ჰქელავ ასეთ ძვირფას სიმდიდრეს, რომელიც ზღვად აქცევდა მთელ ჩვენ ქვეყანას, რომ შეგვძლებოდა მისი სავსებით გამოყენება.

უკვე ზედ ჭიათურის ქოჩორზე ვართ მოქცეული. იქიდან გადმოხედვით მშვენიერ სურათს წარმოადგენს, ქვეით გაშლილი არე-მარე.

მოვდივართ მეორე გზით ჭიათურისკენ. დაუქმებული მაღაროების კარები კრა-ჩამქრალ ოჯახს მოგვაგონებს.

წარმოვიდგენია, რა უნდა იყოს აქაურობა, როცა გაჩაღდება გულდაგული მუშაობა და ყველგან შეიქრება შრომის ხმაური.

დავეშვით თავდაღმა. გზადაგზა გვხვდებიან მაღლა მომავალი ურმები. შენი თვალით რომ არ ხედავდე, არას დროს არ დაიჯერებ, რომ ასეთ ქვა-კლდიან გოლგოთაზე შეუძლია საქონელმა ათრიოს თუნდაც ცარიელი ურემი. აქ კი ჩვენ დატვირთულებიც გვხვდებიან.

როგორც იქნა ჩამოვედით ჭიათურაში, მაგრამ ჩვენ თავს ვეღარა ვცნობთ.

არა უშავსრა. მა იმ მუშებმა რაღა ჰქნან, რომლებიც წლით-წლობამდის აქ ეწევიან ჯაფას და მთელ სიცოცხლეს აქ ათამებენ?

სიძველენი

ჭიათურის გარშემო ბევრი სიძველე ყოფილა საყურადღებო ისტორიულადაც და მხატვრულადაც, მაგრამ ნახვა მოვახერხეთ მხოლოდ ყოფილ მონასტრისა, რომელიც მდებარეობს ყვირილის ნაპირზე კლდეში.

შეიძლება გამოერჩა სადმე, მაგრამ ამ მონასტრის აწერილობა ჯერ არსად არ შემხვედრია. ამავე დროს კი ძალიან საყურადღებო ყოფილა იგი.

თვით მონასტრის ტაძარი პატარა არის—გამოქვაბულის პირში ჩადგმული. მაგრამ ისეთი იშვიათი ჩუქურთმებით არის მოქარგული, რომ მისი ბადალი მე მგონი ძალიან ცოტა მოიძებნება ჩვენს არე-მარეზე. მაგალითად, სამი ნაჩუქურთმალი წრეა ტაძრის ზედა ნაწილში, დასავლეთით. სამივ სულ სხვადასხვაგვარათ არის ნაქარგი, ისეთი ორიგინალური და თანაც დაფაქიზებული ხელოვნებით, რომ ყოველი მათგანი საღერბო ნიმუშათ გამოდგება.

ტაძრის უკან უშველებელი გამოქვაბულია. ათას კაცზე მეტს დაიტევს იქაურობა. მაღლიდან ჩამოდის წყარო და მილებით გადის ეზოში.

მონასტრის ხაზზე ორიოდე საჟენის დაშორებით პიტალო კლდეში რაღაც დიდი გამოქვაბულებია, მაგრამ მისადგომი არა აქვს. წინეთ კი ეტყობა მონასტრიდან ცალფეხი გზა გასდევდა კედელ-კედელ, მაგრამ დრო და ჟამს ჩამოურღვევია იგი.

მონასტერში ბევრი ძვირფასი და საყურადღებო ხატი ყოფილა. მაგრამ სწორედ ჩვენ მისვლისას უდებენ ურემზე და თბილისისკენ [illegible] უნივერსიტეტის მუზეუმში (ყოფ. საეკლესიო მუზეუმი). ყველა ხატი საგანგებო ყუთში იყო შეკრული, რომ არაფერი დაშავებოდა.

იქავე აივანზე მოხუცებული მონაზვნები დასეირნობენ. გამოველაპარაკეთ. გვაინტერესება, რითი ირჩენენ თავს. საჭირავი ხომ აღარსაიდან შემოსდით ესლა.

— ვმუშაობთ. ზოგისთვის შუშა მოგვაქვს, ზოგს ვუკერებთ, ზოგს ვურეცხავთ, საბნებს ვკერავთ კიდევ და ასე მივდივართ იოლათო.

საყურადღებო ნაშთს წარმოადგენს აგრეთვე გერმანელების ქარხნის პირდაპირ ორი გამოქვაბული: უშველებელ კლდის შუა წელში ორი გამოკვეთილია ერთმანეთისაგან დაშორებული. მაგრამ ეტყობა ისინი შეერთებული ყოფილან გრძელი ხელოვნური აივნით. ამ აივნის მუხის ძელები ეხლაც საღათ მოსჩანან კლდეებიდან.

გაოცებას მოდის ადამიანი. რამდენ საუკუნოებს გადაუვლიათ, რამდენი წვიმა და თოვლი დატრიალებულა იმათ თავზე და მაინც აქნობამდის გაუძლიათ თავიანთი სისაღით?

ბოლოს და ბოლოს ხეა, რკინა ან ფოლადი ხომ არ არის!

და ასეთ სიმკვიდრეს გაოცებაში მოჰყავს ყველა თანამედროვე ადამიანი.

საერთოდ როცა შეხვდები ასეთ თვალსაჩინო ნაშთებს, აშკარათ ჰხედავ, თუ რა შრომის და უნარის პატრონები ყოფილან ჩვენი წინაპრები და ერთგვარის მოწიწებით გადაავლებ აზრს მათ სახსენებელს.

დრო ნებას არ მაძლევს უფრო კულმოდგინეთა და დალაგებით ვნახო ყველაფერი. ჭიათურა კი მართლაც ღირსი ყოფილა ასეთის გაცნობისა.

რამდენი ძვირფასი კუთხეა ასე მიჩქმალული, რომელსაც არ ვიცნობთ და ღირსი კია, განა თუ მარტო გაცნობისა, არამედ შესწავლისაც.

მე კი ასე აღტაცებული ნახვით ამაზე მეტს ვერაფერს გამოვრჩი ჭიათურას და თან წამოვყევი მხოლოდ ერთი სურვილი—უფრო დამშვიდებით ვნახო იგი და არ დავკმაყოფილდე ამ ზერელე თვალის გადავლებით.

ლ. მ.

მსახიობთა ქართული დრამა ამხანაგობა

1924—25 წ. სეზონი

სახელმწ. აკად. თეატრის თეატრი
ორშაბათს, 24 დეკემბერს

წარმოდგენა № 8.

ალ. შანშიაშვილი

სპარტაკ

დრამა 6 მოქმედებათ.

[illegible]

ნის. 425 2—1

სახელმწ. დრამა

დღეს, 21 დეკემბერს

ცხვრის წყარო

ნ. 392 5—5

სახელმწ. ოპერა

დღეს, 21 დეკემბერს

აბესალომ და ეთერი

ნ. 417 2—2

„რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის უწყებათა“ სანაცვლოდ—მომავალი წლის იანვრის პირველ რიცხვებიდან **დაიწყებს გამოსვლას** პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული დიდი ჟურნალი

„კავკაზსკი ბოლშევიკ“

ორგანო რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა.

ჟურნალი გამოვა თვეში ერთხელ ათი დაბეჭდილი ფურცლის ზომით. ჟურნალი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: **პარტია, პოლიტიკა, ხოფელი, ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვა, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, ოფიციალური განყოფილება. პირველ ნომერში** მოთავსებული იქნება შემდეგ ამხანაგთა **წერილები:** ქართველიშვილის, მიხ. კახიანის, მიხ. ლიფშიცის, ფ. მახარაძის, ა. მიასნიკოვის, ა. ნაზარეტიანის, მამია ორახელაშვილის, შ. ელიავასი, მ. ესსენის და სხვათა. **ხელმოწერა და შეკვეთა მიიღება „ზარია ვოსტოკას“** მთავარ კანტორაში და ყველა მის განყოფილებაში. ხელის მომწერის პირობები გამოცხადებული იქნება ცალკე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ა. ფ. მიასნიკოვი.

სარედაქციო კოლეგია: **მიხ. კახიანი, მ. ლიფშიც, მ. ესსენი.**

ნ. 423 3—1

ჟურნალ „მნათობის“

ყველა ქალაქების და მაზრების აგენტებს.

წინადადება გეძლევათ ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა დააბრუნოთ დარჩენილი №№ ჟურნალ „მნათობისა“, ხოლო დარიგებულ ნუმრების ფასში 1 მან. 62 კ. თითო ნუმერზე დაუყოვნებლივ გადმოგვზავნოთ შემდეგი მისამართით: **რუსთველის ქუჩა 22, რედაქცია „მნათობი“ თომა ჩიქვანაიას** და აგრეთვე სია ხელისმომწერთა.—სიაში უნდა იყოს ნაჩვენები რამდენი **ხნით იყო ჟურნალი გამოწერილი,** რამდენი ცალი და რამდენია მიღებული ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სასტიკი ზომები.

დაწესებულებებსაც ვსთხოვთ ხელი შეგვიწყონ ამის გამოკვლევაში.—ძველი მანდატები გაცემული 5 დეკემბრამდე ა/წ. აგენტებზე გაუქმებულია და ინიშნება ახალი აგენტები.

№ 1 და 2 ხელახლა იბეჭდება და მიღებულია ყოველგვარი ზომები ხელისმომწერთა დასაკმაყოფილებლად.—შემდეგში ხელისმომწერნი სისტემატიურად მიიღებენ ჟურნალ: „მნათობის“ №№, რადგან გამომცემლობის და ექსპედიციის საქმე სათანადოთ მოგვარებულია და მოწყობილი.

ნ. 418 3—1. ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი: **ლეონტიკ რუხაძე.**

საქ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის

ლატარიის მომწყობი კომისია ამით აცხადებს, რომ ს. ს. ს. რ. ცაკის პრეზიდიუმის ნებართვით

ლატარიის გათამაშება

მოხდება 1925 წ. თებერვლის 28-ს

ნ. 390 2—2.

ფოტოგრაფი შენგელიძე

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს,

აგრეთვე ადიდებს სურათებს ხელმისაწვდომ ფასებში

პლეხანოვის პრ. № 80. ნ. 398. 5—2

დღეს, კვირას 21 დეკ. ქალ. აღმასკომში (ოთახი № 22) დილის 11 საათზე დანიშნულია თბილისში მყოფ სოფ.

ასკანის მცხოვრებთა საერთო კრება

დღის წესრიგი: **1. დროებითი საშეფო კომისიის მოხსენება**—მომხს. ამხ. გიორგი დოლიძე, **2. ასკანის წყალსადენი**—მომხს. ამხ. სიმ. ქეშიშელი **3. საშეფო კომისიის არჩევნები.**

ყველა ასკანელი უნდა გამოცხადდეს აღნიშნულ დროზე.

1-1 313 ნ. დრ. საშეფო კომისიის თავჯდ. გ. დოლიძე.

ცენტრალურ სავაჭრო სააქციონერო საზოგადოების „ცატო“-ს

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობა

(თბილისი, მილიციის ქ. № 2) აცხადებს ყველა დაწესებულებების, ორგანიზაციების და კერძო პირების საყურადღებოდ, რომ დაიწყო ოპერაციები

ჯაგარის და ყველა სახის ბეწვეულის

შესასყიდათ და დასამზადებლად

„ცატო“-ს წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში: ქ. გლიკ 2981 5—5

„ზაკავტოკრომტორგ“

გაიხსნა მიმოსვლა

თბილისს-დუშეთს შორის

ტფილისიდან ავტომობილი გავა ორშაბათობით დილის 8. საათზე და იმავე დღეებში გამოვა დუშეთიდან დღის 3 საათზე.

ბილეთის ფასი სამჩატო ავტომობილზე ტფილისიდან დუშეთამდე . 7 მან.

ავტობუსზე ტფილისიდან-დუშეთამდე . . . 6 მან.

უკან დაბრუნებისას იგივე ფასები.

ავტომობილები გადის: სოლოლაკის ქ. № 1.

ბილეთები იყიდება იქვე 395 3—3

მოთავსდა კაპიტალური შეკეთება მთელ საქართველოში ცნობილ სამკურნალო მინერალური გოგირდის

აბანოსი გოგილო-სი

რომელიც მოთავსებულია კახეთის ქუჩაზე. არის როგორც ნომრები, ისე კაცების და ქალების საერთო განყოფილებანი

აბანო მუშაობას დაიწყებს 20 დეკემბრიდან და ღია იქნება ყოველდღე დილის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე. აბანოში არის (2) ორი ოთახი პროვინციიდან ჩამოსულ ავადმყოფთა ღამის გასათევი.

ნის. 405. 3—3 **აბანოს ადმინისტრაცია.**

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი

კვირას, 28 დეკემბერს, დილის 10 საათზე გამანაწილებელ განყოფილებაში ნიშნავს

შეჯიბრებას

თბილისში 30-35 ფუთი ხორცის ჩაბარებაზე ყოველ-დღიურათ.

კოჯორში 5 ფუთისა—ყოველ-დღიურათ და აგრეთვე მწვანილის მიწოდებაზე.

თბილისში 110 ფუთი პურის გამოცხობაზე ყოველ-დღიურათ.

კოჯორში 10 ფუთისა.

პირობები წარმოდგენილ უნდა იყვეს დახურულ კონვერტებში.

პირობის გაგება შეიძლება გამნაწილებელ განყოფილებაში, ოთახი № 14. დღის 12—3 საათამდე, რუსთაველის პრ. № 31.

ნ. № 426 2—1

საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საზოგადოება

საქ. სახ. ვაჭრობის **მაღაზიებში მიღებულია:**

1. **ლურსმნები** მავთულისა—ყოველნაირი ზომის და ყველა ხარისხის.
2. **მავთული**—სხვადასხვანაირი.
3. **ხარისხოვანი რკინა.** გოგრებისა, სასალტე, ბრტყელი, ოთხკუთხი, რგვალი და სხვა.
4. **შპაგატი**—და „მექანიკური ბიჩევა“.

ყიდვა შეუძლია ყველას ბითუმათ წვრიმალნათ. სახელმწიფო ორგანიზაციებს და კოოპერატივებს ეძლევათ დაკლებულ ფასებში.

ნის. 428 2—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დააგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—18

ამ დღეებში გაიხსნება

ა ი ? ს ი

ლუდხანა [illegible]

ნ. 430 1—1

ს. ს. რ. ქ. **რ. ს. ფ. ს. რ. და უ. ს. ს. რ. შაქრის გაერთიანებული სახელმწიფო წარმოების გამგეობა** **ს. მ. უ. ს.**

შაქრის ტრესტი

(сахаротрест)

თბილისის რაიონის სავაჭრო კანტორა: კეცხოველის ქ. № 5 (ყოფ. ლორის-მელიქოვისა). ტელ. № 19—63.

ჰყიდის შაქრის საკავშირო წარმოების პროდუქტებს სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს.

ბითუმათ—ვაგონობით და აგრეთვე წვრილ-წვრილათ რკინის გზის სადგურზე მდებარე საწყობებიდან და აგრეთვე მუშკოოპის საწყობებიდან

ნ. 1—1 თბილისისკანტორის გამგე—ნ. ს. ლიტოვსკი.

ს. ს. რ. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ დღის 12 საათზე 27 დეკემბერს, მიწათმოწყობის განყოფილების სამხაზველოში (ტრიბუნალის ქუჩა № 32) დანიშნულია განმეორებითი

საჯარო ვაჭრობა

თევზის დაჭერის უფლების საიჯაროთ გაცემაზე საქართველოს საზღვრებში მდებარე თბილისის და გორისალოს მაზრებში მტკვრის, ხრამის, მაშავერის, დებედა-ჩაის მდინარეებზე და ყარაიაზის ტბაზე, ხოლო იმავე დღეს ქ. ფოთში პალეოსტომის ტბაზე ვადით 1925 წელს 1-ლ იანვრიდან 1926 წლის 1-ლ იანვრამდე.

სათევზო ადგილების იჯარით გაცემის შესახებ დაწვრილებითი ცნობების განხილვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების კანცელიარიაში (ევანგულოვის ქუჩა № 2) დღის 12-დან 3 საათამდე.

ნის. 397 2—1

---

1 იანვრიდან დაიწყება მეცადინეობა 5 და 6 ჯგუფებში

სახალხო განათლების კომისარიატის

პრ. ტეხნ. გან. მთავ. მმარ. გამგ-ში არსებულ

პ. ზუმბაძის და ზ. ინწკირველის

საბუღალტრო კურსებზე

კეცხოველის ქ. № 12 (ყოფილი ქალ. 1-ლი გიმნაზ. ლორის-მელიქოვის ქ.)

მეცადინეობა იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 3—9 საათამდე სრულიად ახალი მეთოდით საუკეთესო თეორეტიკოს და პრაქტიკოს ბუღალტრების ხელმძღვანელობით.

მსმენელნი შეისწავლიან ქართულ ენაზე **ბუღალტერიის საფუძველს** (მარტივ, **ორმაგ ანუ იტალიანურ** და ამერიკულ სისტემას) და სპეციალურ დარგებიდან: **საბანკო, საფაბრიკო-საქარხნო მუნიციპალურ** (სამაზრო აღმასკომებში ანგარიშების წარმოება), **სავაჭრო, დამზღვევ კასების, სააქციო საზოგადოებების, სამომხმარებლო-საწარმოო** და **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბუღალტერიას, კომერციულ არითმეტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო უფლებას, საგზოთა აღმრიცხველობას** და **სავაჭრო კორესპონდენციას** (მიმოწერას).

მეცადინეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა **საგნის პრაქტიკულად შესწავლას,** ხ ა ზ გ რ ა, პროგრამის გაცნობა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე წიგნის მაღაზია „**განათლება**“-ში **ლენინის** (ყოფ. ოლღას) ქ. № 6. ს. თავართქილაძესთან.

ნის. № 299. 4—4

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოება.

ბალანსი

1-ლ დეკემბრისათვის 1924 წ.

აქტივი პასივი

ანგარიშების სახელწოდება.	თანხა		თანხა
კასა და სახელდ. ანგ-ბი	90.847—20	კაპიტალები	1.711.414—33
ფასიანი ქაღალდები დ ვალიუტა	259.068—34	ანაბარები და სახელდახელო ანგარიშები	177.473—96
განაღდებითი ოპერაციები	368.326—35	სპეც. სახ. ანგ. უზრუნველყ. თამასუქებით	
სესხების ოპერაციები	758.031—48	სხვადასხვა საკრედ. დაწესებ.	523.000—
გრძ. ვადიანი სესხები	473.179—48	კორესპონდენტები	563.053—51
კორესპონდენტები	590.366—69	მოუთხოვნელი და გადაუხდელი თანხები	36—29
საკუთარი საქონელი	28.835—90	სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	65.319—96
უძრავი ქონება	7.509—45	%% კომ. და სხვა შემოსავალი	33.104—50
სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	332.326—31	სხვადასხვა პასივები	200.677—21
მიმდინარე ხარჯები	25.368—58		
პროტესტემნილი თამასუქები	4.770—23		
სხვადასხვა აქტივები	335.449—75		
	3.274.079—76		3.274.079—76

ინსპექტორი გრიგორაშვილი.

ს. ს. ს. რ. სასოფ.-სამეურ. ბანკის გამგეობა ი. მენაბდე, გ. დუმბაძე.

მთავარი ბუღალტერი ქ. ტოგონიძე.

ნ. 431 1—1

მხოლოდ

კინო-მინიონში

და

პროფსაბჭოს

დიდ-დარბაზში

ორშაბათიდან 22 დეკემბრიდან, ყოველდღე

1924 წლის საუკეთესო სურათი

სევზაპკინო-ს ახალი დიდი ისტორიული რევოლიუციონური სურათი

წითელი პარტიზანები

გმირული პოემა 10 ნაწილად კოლჩაკთან ბრძოლის ეპოქიდან

სცენარი—ბ. ლეონიდოვის | რეჟისორი—ვ. ქ. ვისკოვსკი | ოპერატორი—ფ. ქ. ვერიგო-დოროვსკი

დიდ მასიურ და ომის სცენებში მონაწილეობას იღებს 20.000-დე კაცი:

არტილერია, ცხენოსანი და ქვეითა ჯარი, საჰაერო ფლოტი, ჯავშნიანი მატარებლები, მუშები

წითელი პარტიზანები-ს ჩვენების დროს ლენინგრადში, მოსკოვში, როსტოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში კინო-თეატრები გაჭედილი იყო ხალხით

სურათის ჩვენების დროს უკრავს სიმებიანი ორკესტრი

სალარო ღია არის საღამოს ხუთ საათიდან

სეანსები იწყება 1-ლი—6 საათზე, 2—8 საათზე, 3—10 საათზე

კონტრამარკები არ გამოდგება

ნის. 429

ექიმმა

დიტრიხმა

ავადმყოფების მიღება განაახლა ავადმყოფების მიღება ფურმანელთა საავადმყოფოში

ქვ. № 2837—25—21

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—14

კერძო გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღ[illegible] 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. [illegible]

ცნობების მიღება: ექიმი შა[illegible]როვის ტელეფონით № 7—1[illegible]

ნის. 372 10[illegible]

ექიმი

ე. მ. მჭედლიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

25—10

ექიმი

გ. გ. მერაბზიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

13—9 2746

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე.

ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

3083 25—5

ექიმი

კ. რ. ვართანოვი

სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს. **მისამართი:** სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ.

25—6

კოოპერატივი „კ ო ნ კ ო რ დ ი ა“ ამით აცხადებს, რომ არაპირდაპირი გადასახადთა განყოფილებიდან გამოცემული მიმართვა თბილისის სამეურნ, განასადმი ა/წ. 10 დეკემბრიდან № 2654—1000 ვედრო ღვინის შემოტანაში გატანის შესახებ

დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა.

ჩაითვალოს გაუქმებულად

1—1 № 3135.

დაკარგე სარეგისტრაციო ბარათი № 608, ექიმ საყვარელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

313[illegible] 1—1

დაკარგე რეგისტრაციის ბარათი № 506, გიორგი ეკალაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

3134 1—1

დაკარგე პარტიული მანდატი № 4918204 მიღებული სიღნაღის მაზრის სამპარტკომიდან და ბადიაურის მთლიან კოოპერატივის მანდატი გიორგი ლევანის ძე გაგიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

უ. 3131 1—1

დაკარგე გირაოს კვიტანცია № 2947 ეკატერინე დავითის ასული წიტაიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

3132 1—1

დაკარგე სააღრიცხვო წიგნაკი, მოცემული თბილ. მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ, „კომხვედ“ გრიგოლ ზაქარიას ძე სამქუაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

3137 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა აიკანუშ სიდამონიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

3137 1—1

დაკარგე მეტრიკული მოწმობა არშაკ სერგეის ძე ბაღდასაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

3138 1—1

დაკარგე მეტრიკული ამოწერილობა როსებ მუშკრიონიძის ჰუმბურაძის სახელზე № 802. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

3140 1—1

დაკარგე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული მოწმობა № 6 და კვიტანცია იმავე უნივერსიტეტის № 18369 ჩაითვალოს გაუქმებულათ. ეკონომ. ფაკ. სტუდ. ესტატე დავითის ძე ზითაძე.

81.9 1—1

მუშათა ცხოვრება

ღამის მუშა

ღამის მუშა ვარ, მარტო დავრჩი დიდ ქარხანაში,
ცივ კედლებ-შუა ფხიზლად ვუვლი ირგვლივ მიდამოს;
ჩემ სათაყვანო მკვირცხლ მანქანას გააქვს განგაში
და დაჭრიალებს ფოლადისგან ნაკვეთ დინამოს!

ვფრთხილობ, არ დასკდეს რკინას რკინა, კბილებს კბილები,
გრგვინვა-ზუილი თითქო იწვევს ცეცხლის სიმღერებს,
ელექტრონის შუქს გაურბიან ყუჩი ჩრდილები,
ჩრაღდანი ბნელს ვერ მიილებს, ვერ შეიფერებს...

[illegible] თავეი ღრმა კუნჭულში ღრღნის და ფაჩუნობს;
[illegible] მსმენელად გავხდომივარ ლითონთა კონცერტს,
[illegible] სარკმელს, კვლავ უკუნი დაძრწის, ლაჩუნობს
და შავ მსოფლიოს შორით ვუთვლი ზიზღსა და პროტესტს.

[illegible] ბორბალი, გაქანებით მიჰყვება თასმა,
შეუსვენებლივ გულში იხვევს, ვით მტკვარი არაგვს,
[illegible] ბურღებს ხშირად უჭირს მაზუთის წასმა,
ფრთიანი ფიქრი ფანტავს დილის ჯანყიან მარაგს.

ამა, რიგრაგი წყვდიადს ესვრის რითმების ისრებს,
[illegible] ხრიგინს უერთდება სხივთა ლანდები,
ღამის ბოროტებს არ დავინდობ, დავამტვრევ კისრებს,
დღის მეგობრებთან შეუპოვრად ვეხმიანდები...

მუშა **გიგო ხეჩუაშვილი.**

დასაჯეთ შრომის კანონების დამრღვევი.

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ).

[illegible] დაიწერა გაზეთის [illegible] გაჯახირებულ ზედ[illegible] რომელიც ძალით მო[illegible] ხების „წევის" დარ[illegible] რაციამ ლიანდაგის [illegible] მოსამსახურეებს. ვინ [illegible] დენი ვაი-ვაგლახი გა[illegible] მსახურეებმა ზედ-მეტი [illegible] ჯილდოს მისაღებად! [illegible] ოდა ეს საქმე? თითქმის [illegible] ტანციები მოიარა მან ფორმალური წესით—დაწყებული საკონფლიქტო კომისიებიდან გათავებული ზ. ნ. კ. ტ. მდივნის, სადაც შემოხსენებული საქმე გაირჩა ა./კ. შრომის ინსპექტორის „დორპროფსოჟის" იურისკონსულტის დ. ბ. ნ.-ის უფროსის და ზ. ნ. კ. ტ.-ეს მთელი შემადგენლობის თანდასწრებით. საქმე გადაწყდა მთელი ა./კ. რკ. გზების მასშტაბით კანტორის მოსამსახურეების სასარგებლოდ. საქმის გამჟღავნების ინიციატორი ბრძანდება ა./კ. რკ. გზების საუბნო კომიტეტის „ოტე"-ს გამგე მოქალაქე ნ. უსტიევი. ის სულ თავიდანვე იყო ზედმეტ ნამუშევრის ჯილდოს გადახდის წინააღმდეგი. მოქ. უსტიევი დღესაც განაგრძობს ურჩობას, ის აქაც არ თანხმდება უზენეს ორგანოს დადგენილებაზე, რომელიც და[illegible] უნდა გატარდეს ცხოვრებაში. დროა მის ჯიუტობას ბოლო მოეღოს.

მუშკორი **ზიზულ.**

ქარხანა თემქაში.

[illegible] მუშაობს 80 კაცი. მათ შორის კანცელარიაში მომუშავენი ადმინისტრაციასთან ერთად 10 კაცი, სამი დარაჯი, ერთი [illegible] მუშა და ერთი ამქრების დამგ[illegible]. ამას გარდა 2 კაცი საწყობში მომუშავე არის, დანარჩენები კი არიან [illegible].

მუშების ეკონომიური მდგომარეობა კარგია.

მუშები კუთვნილ ჯამაგირებს დროზედ იღებენ: თვეში—ორჯერ, 15-ში და 1-ში. სპეც-ტანისამოსად მუშებს ეძლევათ ტილოს ფართუკები. თვეში ერთხელ ნახევარ გირვანქა საპონი, ვინც მუშაობს საზიანო საამქროებში, ისინი იღებენ დილდილობით 1 ჭიქა რძეს. ქარხანაში სისუფთავე დაცულია. შრომის დაცვის კომისიის მუშაობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. რაც შეეხება კულტურულ მუშაობას, იგიც კარგად არის დაყენებული. ყოველ შაბათობით იმართება ლექციები და წარმოდგენები.

ქარხანაში მიმდინარეობს საწარმოო თათბირი, რომელიც ორ კვირაში ერთხელ იკრიბება და შეაქვს ქარხნის მუშაობაში სხვადასხვა გეგმა გაუმჯობესებისათვის.

აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: რაც ქარხანა გაიხსნა, მას შემდეგ რამდენჯერ დაწერილა იმის შესახებ, რომ მოეწყოთ ქარხანაში ცეცხლსაცავი კრანი (**пожарн. кран**), მაგრამ ამას ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა ქარხნის ახალმა ადმინისტრაციამ გამოასწოროს ეს ნაკლი.

მუშკორი **მ. მეუნარგია.**

ბავშვის გალახვის უფლება ვინ მოგცათ?

(შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ).

სენაკის სამაზრო პროფბიუროს ქვეშ არის მეფურნე **მილორავა.** აქ მას გამართული აქვს კარგი ფურნე და რამოდენიმე შეგირდიც ჰყავს და სხვათა შორის ერთი პატარა ბავშვი —12—14 წლის. 30 ნოემბერს ამ ვაჟბატონმა ისე სცემა ამ ბავშვს, რომ მისი ღრიალი ქუჩას აყრუებდა. მიზეზი? მიზეზი გამოურკვეველია. და ეს მაშინ, როდესაც შრომის დაცვის ორგანო იქვე არის. მიაქცია ყურადღება ამას შრომის დამცველმა ორგანომ?

გამოიკვლია მიზეზი ბავშვის ასე მწარე გალახვის, თუ ეს კიდევ ხშირად ხდება?

აუწიეთ ყური მოქ. მილორავას!..

შემატკივარი.

სპეც-ტანისამოსი მიეცით

სენაკის ხაზინაში ოთხი დარაჯი მილიციელებია. ვინ არ იცის მნიშვნელობა და ვალდებულება ამ დარაჯების, რომლებიც გულწრფელად უნდა ემსახურონ თავის მოვალეობას.

ამავე დროს უკვე დაზამთრდა, დარაჯებს ღამითაც უხდებათ დარაჯობა და მათ ტანზე არაფერი აცვიათ. ერგებათ სპეც-ტანისამოსი. მიუხედავათ საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ღონისძიებისა, მათ ჯერ კიდევ ვერ მიიღეს სპეც-ტანისამოსი. საჭიროა ამას მიექცეს სერიოზული ყურადღება.

მუშკორი **უჩა.**

მუშათა ახალშენი

(კარლ მარქსის სახ. უბანში).

14 დეკემბერს ამ უბანში შესდგა საერთო კრება იმ მუშებისა, რომლებიც უნდა იქნენ დასახლებული აქვე. კრებას დაესწრო 35-მდი წევრი. კრების თავმჯდომარედ იქნა არჩეული მუშა სოტნიკოვი მდივნად—კობერიძე. ძველი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ოდიშელიძემ კრებას ჩააბარა ანგარიში წარსული მუშაობისა, რაც კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად. ამის შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა და წესდების მუხლები გააცნო კრებას ცენტრალური საამშენებლო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. რობლინმა, რომელიც კრებამ გულდასმით მოისმინა და კმაყოფილი დარჩა. რობლინმა სხვათა შორის გაგვაცნო იმ შემოსავლიან წყაროებს, რომლის მეოხებითაც მუშებს უნდა აუშენდეთ საცხოვრებელი სახლები და ის საშუალება იაფ ფასიანი მასალების შეძენისა, რომელიც იქნება რუსეთიდან გამოზიდული 60 პროცენტის დათმობით ვიდრე შეძენილ იქნება ადგილობრივ. სახლების აშენება დაიწყება 15 აპრილიდან და მოკლე ხანში იქნება აშენებული 20 შენობამდის. დანარჩენების აგება კი დამოკიდებულია საამშენებლო თანხის რაოდენობიდან. ყველა პარაგრაფის მუხლები, რაც მუშათა კოოპერატიულ სახლებს ეხებოდა, მუშებმა ერთხმად მოიწონეს. ამის შემდეგ იქნა არჩეული გამგეობა (ისევ ძველი შემადგენლობით)—3 კაცისაგან, 2 კანდიდატით, სარევიზიო კომისია—3 კაცით, საკონფლიქტო კომისია—3 კაცისაგან და მუშკორები—რუსულ, ქართულ და სომხურ გაზეთებისათვის. მომავალი ყრილობისათვის დელეგატის არჩევა მიენდო გამგეობას. კრება დაიშალა დღის 3 საათზე.

ამ უბანს ჯერ-ჯერობით ესაჭიროება მისავალი გზის გაკეთება, რაც დიდ დაბრკოლებას ჰქმნის იქ მოსწავლე მოწაფეთათვის და კიდევ უსინათლობა ღამით. კარგი იქნება, თუ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს ქალაქის აღმასკომი.

მუშკ. **ხ. ლომთათიძე.**

გამოგზავნილი წერილებიდან

მოგვეხედეთ

(სანიტ. განყოფ. საყურადღებოდ).

ვაკეში, ატენის ქ. შესახვევში, გრიგოლ ლალიშვილის სახლს მეეზოვე არ ჰყავს, რის გამოც ეზოში უსუფთაობა სუფევს. ამ უსუფთაობას ხელს უწყობენ მდგმურები, ლტოლვილი აისორები, რომლებიც თავის საშინელ უსუფთაობით და ქცევით იქ მცხოვრებ სტუდენტებს მეცადინეობის საშუალებას არ აძლევენ. აგრეთვე ეზოს კანალიზაცია სრულებით არ აქვს. **ყურადღება მიაქციეთ.**

ინჟ. **დ. პაპავა**

გვაკმარეთ ქველების უხეში მოპყრობა.

(ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში საყურადღებოდ)

ქ. ზესტაფონში ძველი დროიდან აქამდე „გადასახადთა ინსპექტორათ" არის **ვ. ჩხეიძე**, რომელიც ამ დრომდე ვერ შეთვისებია მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და ისევ ძველი თვისებები შერჩენია. მთხოვნელებს უხეშად ექცევა, ხშირად უშვერი სიტყვითაც მიმართავს ხოლმე. მიაქციეთ ყურადღება და დაგვიხსენით ასეთ პირებისგან.

მუშა **წითელი გზა.**

წითელი სასადილო ლენინის უბანში

ლენინის უბანშიც წითელმა სასადილომ ალაგმა სამიკიტნოები, მუშები ეხლა მიკიტნების საზიზღარ ბადეში აღარ გაებმებიან. „ზაკტრო"-ს მიერ გახსნილი წითელ სასადილოს გამგედ მთავარ სახელოსნოს მუშა, პატიოსანი და ენერგიული. ამ სასადილოს აქვს **ლენინის** კუთხე—და სამკითხველო.

მუშკორი **უხილავი.**

უნდა დაიკეტოს!

(რაჭის მაზრის აღმასკომის საყურადღებოდ).

ქ. ონის ტეხნიკუმი, საიდანაც გამოდიან საშუალო განათლებით აღჭურვილნი რაჭის უღარიბეს გლეხობის შვილები, ჩაითვლება ერთ სიმპატიურ და ღირსშესანიშნავ დაწესებულებათ მაზრაში.

ამ ტეხნიკუმის წინ არის გახსნილი სამიკიტნო, სადაც დიდ უწესოებას, ლოთობას, ჩხუბს, ყვირილს აქვს ადგილი, რაც ცუდ გავლენას ახდენს მოზარდ მოწაფეებზე, რომლებიც ხშირი მოწმეები არიან ამისა. ტეხნიკუმიდან ქ. ონის აღმასკომმა უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და ეს სამიკიტნო მიკეტოს, მის ნაცვლათ ტეხნიკუმის მოშორებით გახსნას „წითელი სასადილო", რაც ყველასთვის სასარგებლო იქნება.

გლეხი **ა. გ—ძე.**

იურიდიული დახმარება

(ამხ. განათლების მუშაკს).

შეკითხვა:

გთხოვთ განმარტებას გაზეთის საშუალებით შემდეგ კითხვებზე:

1. შეიძლება თუ არა წლიურმა ხელის მომწერმა, გაზეთ „კომუნისტი" მიიღოს უშუალოდ ფოსტით კონტრ-აგენტის გარეშე?

პასუხი:

შეიძლება.

2. შეიძლება თუ არა აგარაკზე გამგზავრებისას მისამართის შეცვლა და ხელისმომწერმა აგარაკზე მიიღოს გაზეთი (და სხვა პრემია) მანამ, სანამ აგარაკზე იქნება.

პასუხი:

შეიძლება. მხოლოდ მისამართის გამოცვლა ღირს 25 კაპეიკი.

წერილები პროვინციიდან

სკოლას ყურადღება მიაქციეთ

სამიქაოს თემი (სენაკის მაზრა)

სამიქაოს თემი მდებარეობს დაბა აბაშიდან 12—ვერსის დაშორებით.

აქ არსებობს შვიდ-წლედი. სკოლის შენობა მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ფანჯრები ჩალეწილია, „პარტების" საკმაო რიცხვი არ მოიპოვება, თუ მოიპოვება რამოდენიმე —ისიც უვარგისი. ამ სკოლის ერთ ოთახში სრულიად არ არის [illegible] და სამაგიეროდ ბავშვებს [illegible] ფიცრები დაუდვიათ წინ და ასე მეცადინეობენ. თვით სკოლის შენობაც მოუთავებელია. ბუხარი ან ფეჩი არ არის, ბავშვები და მასწავლებლები სიცივისაგან კვდებიან. სამასწავლებლო ოთახში არ მოიპოვება არც მაგიდა და არც სკამები

სამიქაოს თემი ითვლება რაიონში კულტურულ თემად და გასაკვირია სკოლისადმი ასეთი უყურადღებობა.

ვასკაჭ.

კულტურული მუშაობა ჭალის თემში

(შორაპნის მაზრა)

სოფ. ჭალის სათემო ცენტრი აერთებს 9 სოფელს, მცხოვრებთა რიცხვი აღწევს 800 კომლამდი. ეს თემი მეტად ჩამორჩენილია კულტურულად და სოფლები მეტად დაშორებულია ერთი-მეორისაგან. მაგალითად სოფ. [illegible] დაშორებულია სათემო ცენტრიდან 15 ვერსით, სოფ. პერევი კი 12 ვერსით.

სათემო ცენტრის ხელმძღვანელს ძალიან უძნელდება მუშაობა სოფლების სიშორის გამო.

ა/წ. 10 დეკემბერს ადგილობრივ მასწავლებელ მიშა აბაშიძის მეოხებით და სათემო ცენტრის ხელმძღვანელ ლილუაშვილის დახმარებით მოეწყო წრე ხელოვნების მოყვარე ამხანაგებისაგან. წრემ პირველი წარმოდგენა დადგა სოფ. დავათში. წრის მიზანია უფასოთ გაუშვათ წარმოდგენები ყველა სოფლებში.

ნ. ა—ძე.

ღორის ჭირი ბორჯომის რაიონში

ღორის ჭირი ძალზე გავრცელდა ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეებში. მათ შორის ვერ ასცდა ბორჯომის რაიონიც და ამჟამად სენი ღებულობდა [illegible] ხასიათს, ედებოდა სოფლებს. ამის გამო სენის მსხვერპლი ხდებოდა 80 პროც. დაავადმყოფებული ღორებისა.

ამ მდგომარეობას მიაქცია მთავრობამ სერიოზული ყურადღება და მიწათ მოქმედების კომისარიატმა ს. [illegible] (გორის მაზრაში) გახსნა ბაქტერიოლოგიური სადგური, რომელიც ამზადებს ღორების ასაცრელ შრატს.

ბორჯომის და ხაშურის რაიონებში იქნა აცრილი 1400 სულამდე; აგრეთვე იქნენ აცრილნი სენით დაავადმყოფებული ღორები. უნდა აღინიშნოს ველმუშაკთა ენერგიული მუშაობა საქონლის ჭირთან ბრძოლის დროს.

არა ნაკლებ ზარალს ბორჯომის რაიონის გლეხობას აყენებენ მტაცებელი მხეცები, მგლები, დათვები და სხვები. ამჟამათ ისე გავრცელდნენ, რომ დღე არ გავა გლეხობას არ დაუჟლიტონ მარჩენალი საქონელი. მარტო ბაკურიანის თემის ს. დიდ და პატარა მიტარში დახოცეს და შესჭამეს მგლებმა 100 სული ცხვარი და ექვსი სული საქონელი, გუჯარეთის, წაღვერის, ყვიბის, ახალდაბის და დვირის თემებში ხომ დიდ ზარალს აყენებენ გლეხობას.

ცეცხლის მსროლელი იარაღით მგლების მოსპობა ყოვლათ შეუძლებელია, მათ უწინ სპობდენ შხამის სტრიხნინის შეწამვლით, რომელიც ამჟამათ არ მოიპოვება და მიწათ-მოქმედების კომისარიატმა სწრაფეთ [illegible] შხამის მიცემით უნდა დაეხმაროს გლეხობას, რათა უკანასკნელმა მოიშოროს თავიდან ასეთი დაუპატიჟებელი სტუმრები.

ტუტუნა.

უპარტიო გლეხთა კონფერენცია

ზესტაფონის რაიონი (შორაპნის მაზრა)

1924 წ. დეკემბრის 17-ს შესდგა ზესტაფონის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია. კონფერენციაზე გამოცხადდა დელეგატების დიდი უმრავლესობა.

დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: 1. საერთაშორისო მდგომარეობა და თანამოხსენება ყოფ. მენშევიკის დ. აბაშიძე. 2. სარაიონო აღმასკომის ანგარიში, 3, გლეხთა ურთიერთ სარაიონო გლეხკომების ანგარიში, 4. ად. კოოპერაციის ანგარიში და მიმდინარე კითხვები.

სარაიონო აღმასკომის და რაიონის კომკავშირის სახელით მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ს. ცუცქირიძემ და ს. მენაბდემ.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ვაშაძემ.

თანამოხსენება გააკეთა ყოფ. მენშევიკმა დ. აბაშიძემ. ის ეხება და აცნობს კონფერენციას მუშაობას მენშევიკებისას ძველად, აგრეთვე აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს გამარჯვებას აღმშენებლობითი და კულტურულ დარგებში... ბოლოს მომხსენებელი დაასკვნის, რომ შორ. მაზრის ყოფ. მენშევიკები უერთდებიან კომპარტიის სწორ ხაზს და მათთან ერთად გასწევენ ძმურ უღელს მშრომელთა კლასის საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ...

რაიაღმასკომის მუშაობის გარშემო ილაპარაკა ამხ. ს. ცუცქირიძემ.

კოოპერაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. მღვდელიძემ და მთ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. კოლია შარიქაძემ.

რაიაღმასკომის, გლეხკომის და კოოპერაციის მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლათ სცნო.

ა. ხალაძე.

მიეცით ბაზარი ქვემო რაჭველი გლეხის ნაწარმოებს

რაჭველ გლეხს თავისი ნაწარმოებიდან ბაზარზე ყველაზე უფრო მეტად ღვინის გამოტანა შეუძლია. მაგრამ საუბედუროთ, მას თვითონ რაჭაში ბაზარი არა აქვს და თუ იშვიათათ გაჰყიდოს, ისიც მუქთათ (1 ფ. 1 მან. 50 კაპ.) რაც გოგირდის და შაბიამნის ღირებულებასაც ძლივსღა ფარავს. ხშირათ კი სულ ვერ ასაღებს ღვინოს, ეს მას გულს უცრუებს მევენახეობაზე. ბევრმა საუკეთესო ვენახები გადაკაფა და მის ნაცვლათ სიმინდი დასთესა. საჭიროა ამას მიაქციონ ყურადღება ვისაც ეს საქმე შეეხება.

მ. ქ—ძე.

მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი

სოფ. დილიკაური (შორაპნის მაზ.)

დიდ გაჭირვებას განიცდიდა დილიკაურის გლეხობა მიწების მოუწესრიგებლობის მხრით... რაიონის მასშტაბითაც თითქმის ყველა სოფლის ასეთი გაჭირვება ადგა.

სოფ. დილიკაურის გაჭირვება კი ყველაზე მეტი იყო... ამ სერიოზულ საკითხს ყურადღება მიაქცია ზესტაფონის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ს. ცუცქირიძემ. უკანასკნელის მიერ დაიგზავნა სოფ. მიწისმზომელები.. ყველა სოფელში მოუხდა თითქმის მუშაობა მიწისმზომელ ნ. ღლონტს. თითქმის მთელ ზესტაფონის რაიონში მან უმტკივნეულოთ გაატარა მიწის კანონები. დილიკაურის აწეწილ-დაწეწილი საქმე მიწის საკითხის მხრით წესიერათ დაალაგა და დიდი ხნობით აღელვებული გლეხობა დაწყნარ-დააშვიდა.

მიწის მზომელმა ღლონტმა დაიწყო მუშაობა ჩვენს თემში აგვისტოს შუა რიცხვებიდან და საბოლოოთ დაასრულა დეკემბრის შუა რიცხვებში. 13 დეკემბერს, სახალხო კრების დროს მან გააკეთა მოხსენება თავის მუშაობის ირგვლივ. მოხსენება მიწის მზომლის ნ. ღლონტის კრება აფასებს დამაკმაყოფილებლათ და ღრმა მადლობას სწირავს მისი მუყაითი, მისი ერთგული და მიუდგომელი მუშაობისთვის მიწების ჩამორთმევის და განაწილების დროს.

მ. ზ.

სიღნაღის მაზრა 1924 წელში

აგრონომიული დარგი

ცივ-გომბორის მთები, რომელთა სიმაღლე უდრის ზოგ ალაგას 3 ათას ფუტს, ჰყოფენ მაზრას ორ დიდ ნაწილად: წინამხარი და უკანამხარი. მთის მწვერვალები ტყიანია. წინამხარს შუაში ჩაუდის მდინარე ალაზანი. ეს მდინარე ძალიან განირჩევა საქართველოს სხვა მჩქეფარე მდინარეებისაგან. იგი მოდის მდორედ და ალაგ-ალაგ ძალიან ღრმაც არის. ალაზნის კიდეები მუდამ ნგრევას განიცდიან, რის გამო მდინარე ხშირად იცვლის ხოლმე თავის კალაპოტს (მიმდინარეობის ხაზს). ეს გარემოება ხელს უშლის მცხოვრებლებს ისარგებლონ ალაზნის წყლით, რადგან ძნელია მასზე რაიმე შენობის მოწყობა, ან არხების გაყვანა. თუ სიკეთე არა სჭირს ალაზანს, ზიანი კი დიდი მოაქვს, რადგან მის დაგუბებულ წყალში და ჭაობებში ადვილად ჩნდებიან და მრავლდებიან ციების და მალარიის ბაცილები.

ალაზნის მარჯვენა მხარე წარმოადგენს სახნავ მიწებს, ძალიან ღარიბია წყლით. აქ ხშირია გვალვა, რასაც შედეგათ მოსდევს ის, რომ ჭირნახული ფუჭდება და ხშირად მცხოვრებლები თესლსაც ველარ იღებენ, როგორც ეს იყო მიმდინარე 1924 წელში.

მარცხენა მხარე ალაზნისა უკანასკნელ დრომდის წარმოადგენდა ერთ გაუვალ ტყეს, მაგრამ ეს ტყე ეხლა იჩეხება და შენდება სოფლები. ნათესების სივრცე ყოველ წელს მატულობს. მოსავალს აქ ხელს უწყობენ მრავალი წყაროები, რომლებიც ჩამორბიან კავკასიონის მთებიდან და ნიადაგის სინოყიერე. წყლის სიუხვეს თან სდევს ციებ-ცხელებაც. მდინარე იორი, რომელიც ჩამოუდის უკანამხარს, ბევრათ აღემატება ალაზანს თავისი სარგებლიანობით, რადგან იძლევა საშუალებას სარწყავ არხების გაყვანისას და წისქვილების გამართვისას.

დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს შირაქისა და ელდარის ველებს, სადაც ითესება და მოდის კარგი ჯარისხის ხორბლეულობა. ელდარში არის ნავთის წყაროებიც, რომლებიც ეხლა მუშავდება.

მთავარ მეურნეობას მაზრისას შეადგენს: მევენახეობა, ხვნა-თესვა და მესაქონლეობა.

ხვნა-თესვას და მესაქონლეობას მისდევენ უმთავრესად ქიზიყში, რომელიც თავის მჭიდრო დასახლებით წარმოადგენს თითქოს ერთ დიდ სოფელს. მაზრაში მევენახეობა-მეღვინეობა იდგა პირველ დარგში, როგორც უფრო შემოსავლიანი წყარო მეურნეობისა.

1924 წელს ვენახების სივრცე მაზრაში უდრიდა 4.280 დესეტინას. მაგრამ დროთა განმავლობაში სურათი იცვლება რადიკალურად. მევენახეობა შესაჩნევად ეცემა და ხვნა-თესვა იჭერს პირველ ადგილს. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ფილოქსერა, რომელიც მოედო ვენახებს და უქადის მათ სრულ განადგურებას.

მეორე რიგში იდგა ხვნა-თესვა. 1924 წელში ნახნავების საერთო რიცხვი მაზრაში უდრიდა 48.859 დესეტინას.

ბოსტანსა და ბაღჩას

ეკავა — — —	1027 დეს.
ბრინჯს — — —	1.400 „
თამბაქოს — — —	649 „
ბამბას — — —	400 „
სათიბს — — —	9.804 „

მესაქონლეობა ძალიან ნელის ნაბიჯით ვითარდება, ისიც მხოლოდ მეცხვარეობა.

მსხვილფეხა საქონლის მოშენება უფრო ეცემა. მესაქონლეებს არა აქვთ შეძლება იშოვონ კარგი ჯიშის ბუღა და მით გააუმჯობესონ თავიანთი საქონელი, რომელიც დროთა განმავლობაში მცირდება და ჰკარგავს მუშაობის უნარს.

სახალხო მამულებს მაზრაში (მუკუზანისა, კარდანახისა და ჩუმლაყისა) დიდი სარგებლობა მოაქვთ მცხოვრებლებისთვის, როგორც სამაგალითო-საჩვენებელ მეურნეობას.

ქიზიყის მოამბე.

ცხინვალის გზა

ოსების ავტონომიურ ოლქს ცენტრთან აერთებს ორი გზა: ერთი გორისაკენ მომავალი, ხოლო მეორე სადგურ ქარელისაკენ.

გორის გზა შორია და მეტის-მეტად დიდს ხარჯებს თხოულობს მისი შეკეთება, გზა ბევრს ადგილას ჭაობათ არის ქცეული, გასავლელად ძნელია, ბოგირებიც ბევრგან გაფუჭებულია.

წრეულ ზაფხულს ამ გზას კიდევ უარესი უბედურება დაემართა, პატარა ლიახვის ხიდი, რომელიც ამ გზაზედ არის, ჩალპა და ბევრს ადგილას ჩაინგრა ისე, რომ მასზედ სიარული ყოვლად შეუძლებელია და მგზავრები იძულებულნი არიან ირგვლივ შემოუარონ ხიდსა და წყალში გავიდხენ.

ასეა ეხლა, მაგრამ წყალდიდობის დროს ხომ ყოვლად შეუძლებელი იქნება ამ გიჟ მდინარეზედ გასვლა და ამ რიგად თუ ოსეთმა მაინც მოისურვა ამ გზით სიარული, უნდა უსათუოდ შეკეთდეს ეს ხიდი, თუ არა და ერთი თვე მაინც მოწყვეტილი უნდა იყვეს ქვეყნიერებას.

ამ გზის გაკეთებას დიდი ხარჯი და შრომა უნდა. გორის აღმასკომმა გასულ გაზაფხულზედ სცადა მისი შეკეთება, კარგა მანძილიც შეაკეთა, მაგრამ სახსარი ვერ ეყო მის დასასრულებლად, რადგანაც მას მცირე კი არა, საფუძვლიანი შეკეთება სჭირია.

მეორე გზა ცხინვალიდან ცენტრისაკენ მიმავალი ქარელზედ მდებარეობს და გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე პირველი, მაგრამ ამ გზასაც თავისი ნაკლი აქვს: ცხინვალიდან სოფ. ბრეთამდის მშვენიერი გზატკეცილია, მაგრამ ბრეთიდან ქარელამდის ოთხი ვერსის მანძილი პირდაპირ ღვთის რისხვაა წვიმიან ამინდებში მაინც. ყველგან ურმებისაგან გატელებული და ჭაობად ქცეული აზელილი ტალახი იმოდენად გაუვალად ჰხდის გზას, რომ შიგ ხშირად ურმები იფლობიან და საქონელი ტიალდება და იღუპება, ამ გზას უაღრესს ყურადღებას უნდა აქცევდეს ადგილობრივი აღმასკომი რუისის თემისა, მაგრამ აინუშში არ აგდებს მას, აზრათაც არ მოსდის მისი შეკეთება. ეს გზა რომ ამ პატარა მანძილზედ შეკეთდეს, მაშინ სრულიად საჭირო აღარ იქნება ოსეთისათვის ძვირი და შორი გორის გზა. ოსეთმა რომ ცოტა ნივთიერი დახმარება გაიღოს მათთვის საჭირო ამ გზის შეკეთებისათვის, რომელსაც ალბათ ვერა სძლებს ნივთიერად ღარიბი თემი, მაშინ ოსეთს ექნებოდა იაფი და ახლო გზა. ოსეთმა არ უნდა დაიშუროს ამ წვლილის გაღება.

შირინბეი.

პროვინციის ქრონიკა

— **საქონლის შესყიდვა.** ახალქალაქის მაზრის კოოპერატივები ამ ჟამად აწარმოებენ მცხოვრებთაგან საქონლის შესყიდვას.

— **საპნის ქარხანა ქუთაისში.** ქუთაისის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა მოიწვიოს სპეციალისტები საპნის ქარხნის წარმოების გასაუმჯობესებლად. ქარხანაში ყოველთვიურათ დამზადებული იქნება 2500 ფ. საპონი.

— **მგლების და მელიების დასაჭერად.** ახალქალაქის მაზრაში (ჯავახეთში) შესდგა გლეხების ამხანაგობა, რომლებიც ნადირობენ მგლებზე და მელიებზე. აღმასკომმა მათ განუსაზღვრა რაიონი თუ სად შეიძლება მახეების დაგება და საწამლავების მოწყობა.

— **აჭარის ბუნებრივი სიმდიდრენი.** აჭარის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა აჭარის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას მოაწყოს ექსპედიცია, რომელიც გამოიკვლევს აჭარის ბუნებრივ სიმდიდრეებს.

— **სტამბის გადაცემა.** ქუთაისის აღმასკომმა დაადგინა გადასცეს თავისი კუთვნილი სტამბა გაზ. „წითელი ვარსკვლავის" რედაქციას დროებით.

— **ფშავ-ხევსურებისათვის.** დუშეთის საავადმყოფოსთან დაარსდა სადოსტაქრო განყოფილება, რითაც უფასოთ ისარგებლებენ თუშ-ფშავ-ხევსურეთის მცხოვრებნი.

ლეჩხუმის სათვისტომოს დაარსება

ვისაც შეხვედრია მგზავრობა ლეჩხუმში და ქვემო-სვანეთში, დაგვეთანხმება, რომ ეს მხარე უაღრესად ჩამორჩენილია და სასტიკ სიღარიბეში იმყოფება. უკანასკნელის მთავარი მიზეზია მაზრის გეოგრაფიული პირობები, ცენტრზე დიდი მანძილით დაშორება და უგზოობა; ამით აიხსნება მცხოვრებთა განვითარების დაბალი დონეც.

ასეთი მდგომარეობა ბუნებრივია, არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ნორმალურად იმ ამხანაგების მიერ, რომლებსაც საკმარისად აქვთ შეგნებული სადღეისო საზოგადოებრივი ცხოვრება. ლეჩხუმის მაზრის ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით ლეჩხუმის მაზრის და ქვემო-სვანეთის მკვიდრ მცხოვრებმა უნდა დაარსონ ქ. თბილისში სათვისტომო. თუმცა ამ საქმემ დაიგვიანა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. 150 შეგნებული მუშამ და მოსწავლეებმა ლეჩხუმის მაზრიდან ქ. თბილისში ეხლა მაინც ენერგიულათ უნდა მოკიდონ ხელი სათვისტომოს დაარსებას და მისი მუშაობის გაცხოველებას. ამხ. ა. ყიფიანმა, ა. ასლანიკაშვილმა და ა. გელოვანმა უკვე შექმნეს საინიციატივო ბიურო და შეუდგენ ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. 14 დეკემბერს მათ მიერ მოწვეულ იქნა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრნენ ლეჩხუმის მკვიდრნი წითელარმიელნი, მუშები, ხელოსნები, საბჭოთა მოსამსახურენი და მოსწავლე ახალგაზრდობა. კრება გაიხსნა ამხ. ყიფიანის თავმჯდომარეობით დღის 11 საათზე ქართულ მსროლელთა დივიზიის ცენტრალურ კლუბში. კრებაზე ერთხმათ არჩეულ იქნენ საპატიო თავმჯდომარეებათ: ამხ. ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ლ. დუმბაძე, ს. გეგეჭკორი და შ. ელიავა.

არჩეულ იქნა აგრეთვე ბიურო, როგორც ხელმძღვანელი ორგანო, შემდგარი ხუთი კაცისაგან.—ბიურო მტკიცეთ უკავშირდება ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სათანადო განყოფილებას. ლეჩხუმის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. თ. გორგასლიძემ და პარტკომის მდივან ამხ. გ. ქაბუკიანმა აღუთქვეს სათვისტომოს ყოველგვარი დახმარება ნორმალურ ურთიერთობის შესაქმნელათ. რაჭის მაზრას უკვე დიდი ხანია დაუარსებია სათვისტომო და მისი წარსული მუშაობის შესწავლა უდაოთ ხდის ლეჩხუმის სათვისტომოს არსებობის აუცილებლობას.

ს. ოქიანი.

ბიბლიოგრაფია

ლ. ტროცკი. ტერორიზმი და კომუნიზმი.

თარგმანი. ვ. ლეჟავასი. თბილისი 1924 წ. სახელმწიფო გამომცემლობა. გვერდი 193.

აღნიშნული წიგნი პასუხია კ. კაუცკის ასეთისავე სათაურის მქონე წიგნზე. 1919 კ. კაუცკიმ დასწერა პოლიტიკური ბროშურა Terrorismus und Kommunismus", რომელსაც ზედმეტ სათაურად მიაყოლა „ნარკვევი რევოლიუციის ბუნებრივ ისტორიიდან" Naturgeschichte), რამაც გამოიწვია ლ. ტროცკის შენიშვნები და კამათი. კაუცკის მიერ საკითხის დასმა და ის მეთოდი, რომლითაც მას სურდა რუსეთის რევოლიუციის შესწავლას მიდგომოდა, უკვე ნათელი იყო მისი თემის ფორმულიროვკიდან. ძირითადი მომენტი, რომლის ირგვლივ ტრიალებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა კაუცკის და ტროცკის წიგნებში, არის ის მკვეთრი და მწვავე თემა, რომელიც იმპერიალიზმის კრიზისიდან ამოსულმა სოციალ-პოლიტიკურმა მოძრაობამ წამოაყენა: საკითხი დიქტატურისა და დემოკრატიის შესახებ.

მაგრამ ამ ძირითად საკითხების გარჩევა დაპირისპირებით ან ერთი მათგანისათვის უპირატესობის მიკუთვნებით როდი თავდებოდა საქმე კ. კაუცკის ბროშიურაში. იქ საკითხი ამოსხლტდა პარტიულ-პოლიტიკურ კამათის ფარგლებიდან და მეშჩანურ მიეთ-მოეთობის გზაზე დაქანებული ყვითელი პრესის სტილში ჩაეფლა. ამითია, უეჭველად, გამოწვეული ლ. ტროცკის წიგნში მრავლად გაფანტული პამფლეტური გესლი.

მრავალ ისტორიულ ანალოგიებით, წარსულ რევოლიუციათა მიერ (განსაკუთრებით პარიზის კომუნის) წამოყენებულ პრობლემების განხილვით და სხვ არღვევს ლ. ტროცკი თავის წიგნში კაუცკის მიერ წამოყენებულ დებულებების შესახებ ძალა-უფლების ხელში აღების (და არა დაპყრობის) კონიუნქტურისა და მისი გამოყენების და შენარჩუნების პერსპექტივებისას.

ლ. ტროცკის წიგნს უეჭველად აზის მისი დაწერის მძიმე პირობების დაღი. წიგნი ყოველგან ერთნაირი სიმძიმით არაა დაწერილი და ლოგიკების სიმახვილეც თავიდან ბოლომდე ერთი და იმავე ტემპით ვერა სცემს ავტორს [illegible] რამდენადაც აღნიშნავს. და რამდენადაც კაუცკისა და ტროცკის [illegible] მარეობას შორის დიდი განსხვავება იყო, იმდენად გასაგებია აღნიშნული მომენტები. აქ იგივე განსხვავებაა, როგორიც გერმანელ სოციალ-დემოკრატის გამოწყობილ „სერთუკსა" და წითელარმიელის ბრძოლებში დაცვრეცილ „შინელს" შორის. ამის მიუხედავათ ტროცკის წიგნში არის ადგილები, რომლებიც დიდ პრინციპიულ-თეორიულ სიმაღლეს აღწევს. ასეთია, თუ გნებავთ, მოსაზრებანი თემაზე—„დემოკრატიის მეტაფიზიკა" (40—45) და სხვ.

თარგმანს რუსიციზმი ეტყობა. ვარწმუნებ ქართველ მთარგმნელებს, რომ ქართული ენის აგებულობა არაა ისე სუსტი, რომ მისთვის სავალდებულო იყოს სხვისი ენისი აგებულობას დაემორჩილოს. საქმე აქ ენის ბუნების უცოდინარობაშია. რას ნიშნავს მაგალითად: „ყოველი კლასობრივი საზოგადოება .. თავისით კი არ მიდის სცენიდან"... და სხვ. ეს „სცენიდან არ მიდის" არაა ქართული. ამას გარდა, ქართულს (არა გრამატიკულად, არამედ ენის ბუნებით) უსულო ან განყენებულ ქვემდებარესთან შესმენილი მხოლოობითში ურჩევნია. არ ვიტყვით ქართულად: „სკამები დგანან", არამედ „სკამები დგას". ავტორს აქვს „სისხლის გადატრიალებანი... თავდებიან, დიდხანს არა გრძელდებიან". და სხვ. ეს ამახინჯებს ენას და ართმევს მას მოქნილობას. არ ვარგა მაგალითად: ყრილობა, სადაც შეგროვილია რუსეთის მუშათა კლასის **გამაპიროვნებელი?** და სხვ." რას ნიშნავს ეს „გამაპიროვნებელი"?

საერთოდ თარგმანი არაა მბრწყინვალე. ტროცკის სტილს და ენას სხვანაირი ხერხი ესაჭიროებოდა. წიგნი გამოცემულია სუფთად. ფასი 1 მ. და 20 კ. ცოტა ძვირია.

შ. ნ.

განცხადებები

გულდამწვარი და გაუბედურებული ცოლი ტასო, დები თალიკო ოვლიანე, თავის შვილებით პავლე ჭამიაშვილი და კატო და მაშო, ნინო თავის ქმრით ბაგრატ ნათენაძეთი, ქვისლი გიორგი ცოლით—დოროთი და შვილებით შალვა, ვახტანგი ნათენაძეები, ცოლის ძმები ალექსანდრე, ვანო, გიგო პაპაშვილები თავიანთ ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სამსონ სოლომონის ძე ოთარიშვილი

პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე, (კონსტანტინოვის ქ. № 14.) დაკრძალვა მოხდება კვირას პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

3113 2-2

გულდამწვარი ჭირისუფლები: მეუღლე ვერა ბარიაბას ასული [illegible] სიძეებით და შვილი-შვილებით აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს [illegible] თავის დაუვიწყებელი მეუღლის, მამის, სიმამრის და ბაბუის

ვლადიმერ კონსტანტინეს ძის ალშიბაიას

გარდაცვალების ორმოცის დღის შესრულების წირვასა და პანაშვიდს დღეს არის დანიშნული ამა თვის 21 დეკემბერს, 12 საათზე, კვირას ვერის სასაფლაოზე.

3131 1—1

გურიის ექიმთა კორპორაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მათი ძვირფასი ამხანაგის

ექიმ დიმიტრი კონსტანტინეს ძე ერისთავის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოზურგეთში სამშაბათს, 23 დეკემბერს დღის 3 საათზე.

ნ. 421 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სონია, შვილები ალექსანდრე, შალვა და მარგარიტა, მამა ალექსანდრე, ძმები გერმანე, ლავრენტი და ვლასა, რძლები პელო და ოფელია ჯიბლაძეები, და თამარა, სიძე თედორე და დისშვილი გიზო ღოღიქეები ამით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ კვირას, 21 დეკემბერს დღის 12 საათზე ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგული

რაფიელ ალექსანდრეს ძე ჯიბლაძის

(რ. ჯიბილ)

გარდაცვალების ორმოცი დღის აღსანიშნავად.

3130 1—1

პლატონ, კონსტანტინე და ვლადიმერ გიორგის ძენი წულუკიძეები ცოლშვილით, პელაგია გიორგის ასული წულუკიძე, და მარიამ ჩიქოვანისა შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარი დედის

ეკატერინე ერისთავის ასული წულუკიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, კვირას, 21 დეკემბერს სოფელ ბუგეულში.

1—1 ქვ. № 3.140

ადგილ. გაზეთების გამყიდველთა სექცია ამით აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ, რომ 18 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი და თანამშრომელი

მიკიჩ აზატხანოვი

რომლის დაკრძალვა მოხდება 21 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე ხოჯივანქის სასაფლაოზე.

მისამართი—მე-9 ავლაბრის ფირმა 2—2 ფ.

გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშის", „ზარია ვოსტოკა"-ს, „რაბოჩაია პრავდა"-ს და „მარტკოც"-ის ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის დამტარებლები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი, პატივსაცემი, ძვირფასი ამხანაგი—მუშა, თანამშრომელი გამყიდველი ამხ.

მიკიჩ აზატხანოვი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 21 დეკემბერს დღის 2 საათზე ხოჯივანქის სასაფლაოზე. მისამართი: მე-9 ავლაბრის ფირმა

2—2 ფ.